# ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

## ა(ა)იპ - მცხეთის წმინდა ათორმეტ მოციქულთა სახელობის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზია

**ექსპერტთა ჯგუფის წევრები**

თავმჯდომარე: თამარ მიდელაშვილი

**წევრები:**

სოფიკო ანთაური (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
ირმა ქურდაძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
სოფიკო სიუკაევა (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ელენე ხუსკივაძე (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თამარი ჩიმაკაძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თინათინ მარქარაშვილი (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
მზევინარ მჟავანაძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
მაია ჩაჩხიანი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლია ნეფარიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ეკატერინე კვირკველია (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

# ნაწილი I. შესავალი

## I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| ინფორმაცია დაწესებულების შესახებ | |
|---|---|
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება | მცხეთის წმინდა ათორმეტ მოციქულთა სახელობის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზია |
| ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა | არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი |
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი | 236098209 |

## II. საკონტაქტო ინფორმაცია

| საკონტაქტო ინფორმაცია | |
|---|---|
| მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი) | მცხეთა |
| ფაქტობრივი მისამართი | ქ. მცხეთა, წერეთლის ქ. 27 |
| საფოსტო ინდექსი | 3300 |
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი | https://sites.google.com/view/rustavi21 |
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა | atormeti@gmail.com |
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი | 2 51 39 95<br>599 57 40 28<br>551 55 20 42 |

## III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

| | |
|---|---|
| ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი) | ბრძანება MES7260000445713 (17/04/2026) |
| ვიზიტის პერიოდი (თარიღი) | 2026 წლის 28-29 მაისი |

## IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

***„ზოგადი განათლების შესახებ“*** საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

| N | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა | სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით) |
|---|---|---|---|---|
| 1 | ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | დაწყებითი | ქართული ენა | ქ. მცხეთა, წერეთლის ქ. 27 |
| 2 | ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | საბაზო | ქართული ენა | ქ. მცხეთა, წერეთლის ქ. 27 |
| 3 | ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | საშუალო | ქართული ენა | ქ. მცხეთა, წერეთლის ქ. 27 |

## V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

*მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.*

## VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

*ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.*

| წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა | აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა | ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა |
|---|---|---|
| 200 | 197 | *210* |

## VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

# ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

## I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

| **სტანდარტი/კომპონენტი** | **ექსპერტთა ჯგუფის შეფასება**<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| **სტანდარტი 1**<br>სკოლის ფილოსოფია | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 1.1**<br>სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 1.2**<br>სკოლის დაგეგმვა და განვითარება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **სტანდარტი 3**<br>სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.1**<br>პერსონალის მართვა | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.2**<br>პერსონალის განვითარება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება |

| | |
|---|---|
| | ☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.3**<br>პროცესების მართვა | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.4**<br>ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.5**<br>მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.6**<br>საინფორმაციო რესურსები | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.7**<br>ფინანსური რესურსები | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **სტანდარტი 4**<br>**მოსწავლეთა მხარდაჭერა** | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 4.1** | ☒ შეესაბამება |

| | |
|---|---|
| მოსწავლეთა უფლებების დაცვა | ☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 4.2**<br>მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

## II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

| | | |
|---|---|---|
| | | *აღწერა*<br>*(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)* |
| მოსწავლეთა რაოდენობა: 210 | ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒ | |
| | ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐ | |

## III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

*გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.*

| | | |
|---|---|---|
| *სტანდარტი N1* | სკოლის ფილოსოფია | *ხარვეზი* |
| *ინდიკატორი N* | | |
| *სტანდარტი N3* | სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა | *ხარვეზი* |

| | | |
|---|---|---|
| *ინდიკატორი N* | | |

| | | |
|---|---|---|
| *სტანდარტი N2* | სასკოლო კურიკულუმი<br>*საგაზო საფეხური* | *ხარვეზი* |
| *ინდიკატორი N* | | |

## IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

*გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)*[1]

| | | |
|---|---|---|
| *სტანდარტი N1* | სკოლის ფილოსოფია | *სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია* |
| *ინდიკატორი N....* | | |
| *სტანდარტი N3* | სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა | *სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია* |
| *ინდიკატორი N...* | | |
| 3.1.2.4 | პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით. | სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (2026 წლის სექტემბერი) უზრუნველყოს პოზიციაზე შესაბამისი კვალიფიციური კადრის დასაქმება.<br>(იხ. ინდიკატორი) |
| 3.4.1.2. | სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას | სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (2026 წლის სექტემბერი) უზრუნველყოს პოზიციაზე შესაბამისი კვალიფიციური ექიმის დასაქმება.<br>(იხ. ინდიკატორი) |

**1** გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

| | | |
|---|---|---|
| | | |
| | | |
| *სტანდარტი N4* | მოსწავლეთა მხარდაჭერა | *სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია* |
| *ინდიკატორი N....* | | |

| | | |
|---|---|---|
| *სტანდარტი N2* | სასკოლო კურიკულუმი<br>საბაზო საფეხური | *სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია* |
| *ინდიკატორი N....* | | |
| N2.2.2.4 | სკოლას ჰყავს კანონმდებლობი მოთხოვნებთან შესაბამის კურიკულუმის განხორციელებისთვ საჭირო ადამიანური რესურსი | სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (2026 წლის სექტემბერი) უზრუნველყოს პოზიციებზე შესაბამისი კვალიფიციური კადრის (სპორტის მასწავლებლის) დასაქმება.<br>(იხ. ინდიკატორი) |
| *სტანდარტი N2* | სასკოლო კურიკულუმი<br>*საშუალო საფეხური* | *რეკომენდაცია* |
| N2.2.2.4 | სკოლას ჰყავს კანონმდებლობი მოთხოვნებთან შესაბამის კურიკულუმის განხორციელებისთვ საჭირო ადამიანური რესურსი | სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (2026 წლის სექტემბერი) უზრუნველყოს პოზიციებზე შესაბამისი კვალიფიციური კადრის (სპორტის მასწავლებლის) დასაქმება.<br>(იხ. ინდიკატორი) |

## V. რჩევა

*გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.*

| | | |
|---|---|---|
| *სტანდარტი N1* | სკოლის ფილოსოფია | *რჩევა* |
| *ინდიკატორი N....* | | |
| *სტანდარტი N3* | სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა | *რჩევა* |

| | | |
|---|---|---|
| *ინდიკატორი N...* | | |
| *სტანდარტი N4* | მოსწავლეთა მხარდაჭერა | *რჩევა* |
| *ინდიკატორი N....* | | |

| *სტანდარტი N2* | სასკოლო კურიკულუმი<br>*ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* | *რჩევა* |
|---|---|---|
| *ინდიკატორი N...* | | |
| *2.1.2.1* | **შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას** | ***უცხოური ენები***<br>კურიკულუმში სამიზნე ცნებების ჩამოწერა ,სასურველია, შესაბამისი საფეხურის, შესაბამი ენის (პირველი უცხო ენა, მეორე უცხო ენა) ოფიციალური ტერმინოლოგიის მიხედვით).<br>***ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური***<br>სასურველია, ყველა საგნის კურიკულუმებში მოსწავლეებისთვის უფრო მკაფიოდ და ცხადად იქნეს გაწერილი ცნებები, თემები, საკითხები/საკითხთა კლასტერი, ყველა კონტექსტ-მაგალითი, კომპლექსური დავალების იდეა, პირობა. რესურსები იყოს უფრო მრავალფეროვანი.<br>***სპორტი***<br>მოსწავლეთა ფიზიკური თვისებების უკეთ განვითარების მიზნით სასურველია საშუალო საფეხურის კურიკულუმებში თემებში დაემატოს სპორტის სახეობა მძლეოსნობა.<br>***სახელმწიფო ენა***<br>სასურველია, კურიკულუმის ჩარჩოს გრაფებში მასალა სწორად იქნეს გადანაწილებული- რესურსებში შეტანილი დამხმარე მასალის დასახელება ტექსტი/ კონტექსტის სვეტში ჩაიწეროს, |

| | | |
|---|---|---|
| | | ხოლო რესურსებში ინტერნეტმისამართი, ე.წ. ლინკი.<br><br>ასევე კარგი იქნება თუ მე-6 კლასის კურიკულუმის შემოქმედებითი დავალების იდეა დავალების კონკრეტულ პირობად ჩამოყალიბდება.<br><br>*ესთეტიკური აღზრდა*<br><br>ხელოვნებაში სამივე საფეხურის პედაგოგები კურიკულუმების შედგენისას შეთანხმდნენ ერთიან ჩარჩოზე. ყურადღება გაამახვილონ ინფორმაციის შესაბამის გრაფებში სწორად განთავსებაზე. |
| *2.1.2.2.* | **კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს** | *უცხოური ენები*<br>სასურველია თემები, საკითხები და სამიზნე ცნებები გაწერილი იყო მის შესაბამის განკუთვნილ სვეტებში.<br>*მათემატიკა*<br>მიზანშეწონილია, კურიკულუმის შემუშავებისას გაწერილ იყოს მათემატიკის საგნობრივი სტანდარტით განსაზღრული ყველა თემა იმ ფორმულირებით, როგორც სტანდარტშია წარმოდგენილი.<br>*ესთეტიკური აღზრდა*<br>ორივე საგანში დაწყებით და საბაზო საფეხურზე კურიკულუმის შედგენის დროს ყურადღება მიაქციეთ აკადემიური საათების რაოდენობას და მასთან მიმართებით განსაზღვრეთ თითოეულ კლასში თემების რაოდენობა.<br>ხელოვნების დაწყებით და საბაზო კურიკულუმებში მიუთიტეთ თემატური ბლოკები. |
| *2.1.2.3* | **კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ** | *უცხოური ენები*<br>სასურველი რესუსრსების ჩამონათვალი იქნას შეტანილი იქ, სადაც არ იყო გაწერილი.<br>*მათემატიკა* |

| | | |
|---|---|---|
| | **კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას** | მიზანშეწონილია საკითხები, რომელიც წარმდგენილია კურიკულუმში სახელმძღვანელოს შესაბამისად, მიეთითოს შესაბამისი გვერდები სახელმძღვანელოდან, ელექტრონულ რესურსებს კი, ბმულები თავისი სახელწოდებით.<br>***ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური***<br>სასურველია ყველა რესურსი,რასაც იყენებენ თემის დამუშავების პროცესში ასახონ კურიკულუმში არსებულ სვეტში „სასწავლო რესურსები“. სასურველია დამატებითი რესურსების უფრო დეტალური და კონკრეტული ჩამონათვალის შეტანა.<br>***ესთეტიკური აღზრდა***<br>სასურველია, მუსიკის კურიკულუმში მეტად აისახოს სწავლაა-სწავლების პროცესში გამოყენებული დამატებითი რესურსები.<br>***ტექნოლოგიები***<br>სასურველი, საჭიროების შემთხვევაში მასწავლებელმა სასწავლო პროცესში აქტიურად დანერგს ინტერნეტის გარეშე სწავლების მეთოდოლოგია. კონკრეტულად, მიზანშეწონილია ,,გამარჯობა რუბის“ რესურსების ინტეგრირება, რაც საშუალებას მისცემს მოსწავლეებს, დამოუკიდებლად, თამაშის გზით შეისწავლონ პროგრამირების ფუნდამენტური პრინციპები (ალგორითმები, ციკლები, პირობები). ეს მიდგომა უზრუნველყოფს სწავლების უწყვეტობას და კურიკულუმით გათვალისწინებული სამიზნე ცნებების დაძლევას ტექნიკური ბარიერების მიუხედავად. |
| *2.1.2.4* | **სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს** | ***ესთეტიკური აღზრდა***<br>სასურველია კურიკულუმებში მეტად ჩანდეს თქვენ მიერ დაგეგმილ სწავლა-სწავლების პროცესში გათვალისწინებული დიფერენცირებული დ აინკლუზიური მიდგომები.(მაგალითად დავალების პირობაში).<br>***ტექნოლოგიები*** |

| | | |
|---|---|---|
| | | საჭიროების შემთხვევაში კურიკულუმს თან ახლდეს ადაპტირებული კომპლექსური დავალების ნიმუში ან მითითება იმის შესახებ, თუ როგორ ხდება სამიზნე ცნებების სწავლება სსსმ მოსწავლეებისთვის სპეციალურ მასწავლებელთან თანამშრომლობით. |
| *2.1.2.5* | **მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს** | ***უცხოური ენები***<br>სასურველია, შეფასების რუბრიკაში ნათლად ჩანდეს რომელ კონკრეტულ სამიზნე ცნებაზე გადის მოსწავლე შესასრულებელი დავალების მიხედვით.<br>***ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური***<br>სასურველია, ყველა საგანში, შეფასების რუბრიკებში რაიმე საკითხის კომპლექსური ტიპის დავალების/თემის/სასწავლო პროექტის/შემაჯამებელი დავალების შეფასებისას გაიწეროს კონკრეტული მოლოდინები/მიღწევის შედეგები თითოეულ სამიზნე ცნებასთან მიმართებით, სამიზნე ცნებაზე ორიენტირებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკები რათა მკაფიოდ გამოიკვეთოს კავშირი შუალედურ მიზანსა და გრძელვადიან მიზანს შორის.<br>***სპორტი***<br>სასურველია, ფიზიკური აღზრდასა და სპორტში შეფასების სისტემის კომპლექსური გადახედვა სამივე საფეხურზე, რათა შეფასების ინსტრუმენტები, კრიტერიუმები და შეფასების პრაქტიკა მეტად ასახავდეს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ შეფასების პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.<br>***სახელმწიფო ენა***<br>სასურველია, სახელმწიფო ენაში კათედრამ კურიკულუმში გაწერილ კომპლექსური ბუნების დავალებებისთვის შექმნას მოსწავლეთა საჭიროებაზე მორგებული კონკრეტული დავალების განმავითარებელი შეფასების რუბრიკათა ბანკი. შეიმუშაოს |

| | | |
|---|---|---|
| | | კურიკულუმში გაწერილ დავალებებზე მორგებული  რუბრიკები, რომლებშიც მკაფიოდ გამოიკვეთება კრიტერიუმების მიმართება სამიზნე ცნებებთან და გათვალისწინებული იქნება სტანდარტით მისაღწევი შედგები.<br>*ესთეტიკური აღზრდა*<br>სასურველია, კათედრამ შეიმუშავოს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა თითოეული თემის ფარგლებში, რომელიც ნათლად აჩვენებს კრიტერიუმებთან მიმართებით რამდენად დაძლია მოსწავლემ შედეგების მიღწევის ინდიკატორები გრძელვადიანი სამიზნე ცნებების მიხედვით. შეფასების რუბრიკების შედგენისას იხელმძღვანელონ შედეგების მიღწევის ზოგადი ინდიკატორებით . |
| *2.2.1.1.* | სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად | *უცხოური ენები*<br>სასურველია,  ზოგ კურიკულუმში შესასრულებელი დავალების კონკრეტიკა, ან დავალების პირობის აღწერა.<br><br>*სახელმწიფო ენა*<br>სასურველია, ყველა კლასის კურიკულუმში გაიწეროს იმ რაოდენობი კომპლექსური/შემოქმედებითი ტიპის დავალება, რამდენის განხორციელებაც შესაძლებელია დაგროვილი  გამოცდილების გათვალისწინებით და ყველა ცნების დამუშავება მოხდეს სასწავლო წლის განმავლობაში. |
| *2.2.1.3* | შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი | *სპორტი*<br>სასურველია მოხდეს შეფასების რუბრიკების შემდგომი განვითარება განმავითარებელი შეფასების კომპონენტების გაძლიერების მიმართულებით, რათა კიდევ უფრო გამოკვეთილად გაძლიერდეს შეფასების პროცესის ვალიდურობა, სანდოობა და<br>შეფასების კრიტერიუმების ერთგვაროვნება საგნობრივ შედეგებთან |

| | | |
|---|---|---|
| | | მიმართებით.<br>*სახელმწიფო ენა*<br>სასურველია, შექმნან კონკრეტულ დავალებაზე მორგებული რუბრიკები, რომლებშიც მკაფიოდ გამოიკვეთება კრიტერიუმების მიმართება სამიზნე ცნებებთან, მკვიდრ წარმოდგენებთან და შესაბამის ინდიკატორებთან, რათა შეფასება იყო მკაფიო და ვალიდური. |
| *2.2.2.1* | **კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში** | *მათემატიკა*<br>მიზანშეწონილია, საკითხები, რომელიც წარმდგენილია კურიკულუმში სახელმძღვანელოს შესაბამისად, მიეთითოს შესაბამისი გვერდები სახელმძღვანელოდან, ელექტრონულ რესურსებს კი, ბმულები თავისი სახელწოდებით.<br>*ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური*<br>სასურველია დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში სრულად შეიტანონ ის სასწავლო რესურსები, რასაც იყენებენ, მაგალითად საჭირო მატერიალური რესურსები; ელ.ბმულები.<br>*სახელმწიფო ენა*<br>სასურველია, გამოიყენებული მრავალფეროვანი, დამხმარე, მატერიალური და ელექტრონული რესურსები და რესურსების გვერდები თუ მისამართები სწორად იქნეს გაწერილი შესაბამის სვეტში.<br>*ტექნოლოგიები*<br>სასურველია, სამიზნე ცნებაზე - „ციფრული მოქალაქეობა“ - მუშაობისას გამოყენებულ იქნას რესურსი: „ინტერნეტში უსაფრთხოების გზამკვლევი ბავშვებისათვის“. იგი მოიცავს ინტერნეტის უსაფრთხო გამოყენების წესებსა და რეკომენდაციებს, რომლებიც ადაპტირებულია კონკრეტული ასაკობრივი ჯგუფების გათვალისწინებით. |

| | | |
|---|---|---|
| *2.2.2.3* | **კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით** | **ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური**<br>სასურველია სკოლამ კიდევ უფრო მეტად ასახოს იმ მრავალფეროვან<br>რესურსთა ჩამონათვალი, რომლებსაც იყენებენ სასწავლო პროცესში (<br>რაც  დაადასტურეს ინტერვიუს დრო) |
| *სტანდარტი N2* | *სასკოლო კურიკულუმი*<br>*ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* | *რჩევა* |
| *ინდიკატორი N...* | | |
| *2.1.2.1* | **შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას** | ***უცხოური ენები***<br>კურიკულუმში სამიზნე ცნებეის ჩამოწერა სასურველია შესაბამისი საფეხურის, შესაბამი ენის (პირველი უცხო ენა, მეორე უცხო ენა) ოფიციალური ტერმინოლოგიის მიხედვით).<br>***სპორტი***<br>მოსწავლეთა ფიზიკური თვისებების უკეთ განვითარების მიზნით სასურველია საშუალო საფეხურის კურიკულუმებში თემებში დაემატოს სპორტის სახეობა მძლეოსნობა.<br>***ესთეტიკა***<br>ხელოვნებაში სამივე საფეხურის პედაგოგები კურიკულუმების შედგენისას შეთანხმდნენ ერთიან ჩარჩოზე.  ყურადღება გაამახვილო<br>ინფორმაციის შესაბამის გრაფებში სწორად განთავსებაზე. |
| *2.1.2.2* | **კურიკულუმი  მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ** | **უცხოური ენები**<br>სასურველია  თემები, საკითხები და  სამიზნე ცნებები გაწერილი იყო<br>მის შესაბამის განკუთვნილ სვეტებში. |

| | | |
|---|---|---|
| | მიზნებს | *მათემატიკა*<br>მიზანშეწონილია კურიკულუმის შემუშავებისას გაწერილ იყოს მათემატიკის საგნობრივი სტანდარტით განსაზღრული ყველა თემა იმ ფორმულირებით, როგორც სტანდარტშია წარმოდგენილი.<br>*ესთეტიკური აღზრდა*<br>ორივე საგანში დაწყებით და საბაზო საფეხურზე კურიკულუმის შედგენის დროს ყურადღება მიაქციეთ აკადემიური საათების რაოდენობას და მასთან მიმართებით განსაზღვრეთ თითოეულ კლასში თემების რაოდენობა.<br>ხელოვნების დაწყებით და საბაზო კურიკულუმებში მიუთიტეთ თემატური ბლოკები. |
| *2.1.2.3.* | კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას | *უცხოური ენები*<br>სასურველი რესუსრსების ჩამონათვალი იქნას შეტანილი იქ, სადაც არ იყო გაწერილი.<br><br>*მათემატიკა*<br>მიზანშეწონილია საკითხები, რომელიც წარმდგენილია კურიკულუმში სახელმძღვანელოს შესაბამისად, მიეთითოს შესაბამისი გვერდები სახელმძღვანელოდან, ელექტრონულ რესურსებს კი, ბმულები თავისი სახელწოდებით.<br>*ესთეტიკური აღზრდა*<br>სასურველია, მუსიკის კურიკულუმში მეტად აისახოს სწავლაა-სწავლების პროცესში გამოყენებული დამატებითი რესურსები. |
| *2.1.2.4* | სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს | *ესთეტიკური აღზრდა*<br>სასურველია კურიკულუმებში მეტად ჩანდეს თქვენ მიერ დაგეგმილ სწავლა-სწავლების პროცესში გათვალისწინებული დიფერენცირებული დ აინკლუზიური მიდგომები.(მაგალითად დავალების პირობაში). |

| | | |
|---|---|---|
| *2.1.2.5* | **მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს** | ***უცხოური ენები***<br>სასურველია შეფასების რუბრიკაში ნათლად ჩანდეს რომელ კონკრეტულ სამიზნე ცნებაზე გადის მოსწავლე შესასრულებელი დავალების მიხედვით.<br>***სპორტი***<br>სასურველია, ფიზიკური აღზრდასა და სპორტში შეფასების სისტემის კომპლექსური გადახედვა სამივე საფეხურზე, რათა შეფასების ინსტრუმენტები, კრიტერიუმები და შეფასების პრაქტიკა მეტად ასახავდეს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ შეფასების პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.<br>***სახელმწიფო ენა***<br>სასურველია, სახელმწიფო ენაში კათედრამ კურიკულუმში გაწერილ კომპლექსური ბუნების დავალებებისთვის შექმნას მოსწავლეთა საჭიროებაზე მორგებული კონკრეტული დავალების განმავითარებელი შეფასების რუბრიკათა ბანკი. შეიმუშაოს კურიკულუმში გაწერილ დავალებებზე მორგებული  რუბრიკები, რომლებშიც მკაფიოდ გამოიკვეთება კრიტერიუმების მიმართება სამიზნე ცნებებთან და გათვალისწინებული იქნება სტანდარტით მისაღწევი შედგები.<br>***ესთეტიკური აღზრდა***<br>სასურველია, კათედრამ შეიმუშავოს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა თითოეული თემის ფარგლებში, რომელიც ნათლად აჩვენებს კრიტერიუმებთან მიმართებით რამდენად დაძლია მოსწავლემ შედეგების მიღწევის ინდიკატორები გრძელვადიანი სამიზნე ცნებების მიხედვით. შეფასების რუბრიკების შედგენისას იხელმძღვანელონ შედეგების მიღწევის ზოგადი ინდიკატორებით. |
| *2.2.1.1.* | **სასწავლო პროცესი დაგეგმილია** | ***უცხოური ენები*** |

| | | |
|---|---|---|
| | **სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად** | სასურველია, ზოგ კურიკულუმში შესასრულებელი დავალების კონკრეტიკა, ან დავალების პირობის აღწერა.<br>*სახელმწიფო ენა*<br>სასურველია, ყველა კლასის კურიკულუმში გაიწეროს იმ რაოდენობი კომპლექსური/შემოქმედებითი ტიპის დავალება, რამდენის განხორციელებაც შესაძლებელია დაგროვილი გამოცდილების გათვალისწინებით და ყველა ცნების დამუშავება მოხდეს სასწავლო წლის განმავლობაში. |
| *2.2.1.3* | **შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი** | *სპორტი*<br>სასურველია მოხდეს შეფასების რუბრიკების შემდგომი განვითარება განმავითარებელი შეფასების კომპონენტების გაძლიერების მიმართულებით, რათა კიდევ უფრო გამოკვეთილად გაძლიერდეს შეფასების პროცესის ვალიდურობა, სანდოობა და შეფასების კრიტერიუმების ერთგვაროვნება საგნობრივ შედეგებთან მიმართებით.<br><br>*სახელმწიფო ენა*<br>სასურველია, შექმნან კონკრეტულ დავალებაზე მორგებული რუბრიკები, რომლებშიც მკაფიოდ გამოიკვეთება კრიტერიუმების მიმართება სამიზნე ცნებებთან, მკვიდრ წარმოდგენებთან და შესაბამის ინდიკატორებთან, რათა შეფასება იყო მკაფიო და ვალიდური. |
| *2.2.2.1* | **კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში** | *მათემატიკა*<br>მიზანშეწონილია საკითხები, რომელიც წარმდგენილია კურიკულუმში სახელმძღვანელოს შესაბამისად, მიეთითოს შესაბამისი გვერდები სახელმძღვანელოდან, ელექტრონულ რესურსებს კი, ბმულები თავისი სახელწოდებით.<br>*სახელმწიფო ენა* |

| | | |
|---|---|---|
| | | სასურველია, გამოყენებული მრავალფეროვანი, დამხმარე, მატერიალური და ელექტრონული რესურსები და რესურსების გვერდები თუ მისამართები სწორად იქნეს გაწერილი შესაბამის სვეტში. |
| *სტანდარტი N2* | **სასკოლო კურიკულუმი**<br>*ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* | *რჩევა* |
| *ინდიკატორი N...* | | |
| *2.1.2.1* | **შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას** | ***უცხოური ენები:***<br>კურიკულუმში სამიზნე ცნებეის ჩამოწერა სასურველია შესაბამისი საფეხურის, შესაბამი ენის (პირველი უცხო ენა, მეორე უცხო ენა) ოფიციალური ტერმინოლოგიის მიხედვით).<br>***სპორტი***<br>მოსწავლეთა ფიზიკური თვისებების უკეთ განვითარების მიზნით სასურველია საშუალო საფეხურის კურიკულუმებში თემებში დაემატოს სპორტის სახეობა მძლეოსნობა.<br>***ესთეტიკური აღზრდა***<br>ხელოვნებაში სამივე საფეხურის პედაგოგები კურიკულუმების შედგენისას შეთანხმდნენ ერთიან ჩარჩოზე. ყურადღება გაამახვილონ ინფორმაციის შესაბამის გრაფებში სწორად განთავსებაზე. |
| *2.1.2.2* | **კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს** | ***უცხოური ენები***<br>სასურველია თემები, საკითხები და სამიზნე ცნებები გაწერილი იყო მის შესაბამის განკუთვნილ სვეტებში.<br>***მათემატიკა***<br>მიზანშეწონილია, კურიკულუმის შემუშავებისას გაწერილ იყოს მათემატიკის საგნობრივი სტანდარტით განსაზღრული ყველა თემა იმ ფორმულირებით, როგორც სტანდარტშია წარმოდგენილი. |

| | | |
|---|---|---|
| *2.1.2.3* | **კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას** | ***უცხოური ენები***<br>სასურველია, რესუსრსების ჩამონათვალი დაკონკრეტდეს შესაბამის გრაფაში.<br>***მათემატიკა***<br>მიზანშეწონილია საკითხები, რომელიც წარმდგენილია კურიკულუმში სახელმძღვანელოს შესაბამისად, მიეთითოს შესაბამისი გვერდები სახელმძღვანელოდან, ელექტრონულ რესურსებს კი, ბმულები თავისი სახელწოდებით.<br>***ესთეტიკური აღზრდა***<br>სასურველია, მუსიკის კურიკულუმში მეტად აისახოს სწავლაა-სწავლების პროცესში გამოყენებული დამატებითი რესურსები. |
| *2.1.2.4* | **სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს** | ***ესთეტიკური აღზრდა***<br>სასურველია, კურიკულუმებში მეტად ჩანდეს თქვენ მიერ დაგეგმილი სწავლა-სწავლების პროცესში გათვალისწინებული დიფერენცირებული დ აინკლუზიური მიდგომები.(მაგალითად დავალების პირობაში). |
| *2.1.2.5* | **მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს** | ***უცხოური ენები***<br>სასურველია, შეფასების რუბრიკაში ნათლად ჩანდეს რომელ კონკრეტულ სამიზნე ცნებაზე გადის მოსწავლე შესასრულებელი დავალების მიხედვით.<br>***სპორტი***<br>სასურველია, ფიზიკური აღზრდასა და სპორტში შეფასების სისტემის კომპლექსური გადახედვა სამივე საფეხურზე, რათა შეფასების ინსტრუმენტები, კრიტერიუმები და შეფასების პრაქტიკა მეტად ასახავდეს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ შეფასების პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.<br><br>***სახელმწიფო ენა*** |

| | | |
|---|---|---|
| | | სასურველია, სახელმწიფო ენაში კათედრამ კურიკულუმში გაწერილ კომპლექსური ბუნების დავალებებისთვის შექმნას მოსწავლეთა საჭიროებაზე მორგებული კონკრეტული დავალების განმავითარებელი შეფასების რუბრიკათა ბანკი. შეიმუშაოს კურიკულუმში გაწერილ დავალებებზე მორგებული  რუბრიკები, რომლებშიც მკაფიოდ გამოიკვეთება კრიტერიუმების მიმართება სამიზნე ცნებებთან და გათვალისწინებული იქნება სტანდარტით მისაღწევი შედგები.<br>*ესთეტიკური აღზრდა*<br>სასურველია, კათედრამ შეიმუშავოს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა თითოეული თემის ფარგლებში, რომელიც ნათლად აჩვენებს კრიტერიუმებთან მიმართებით რამდენად დაძლია მოსწავლემ შედეგების მიღწევის ინდიკატორები გრძელვადიანი სამიზნე ცნებების მიხედვით. შეფასების რუბრიკების შედგენისას იხელმძღვანელონ შედეგების მიღწევის ზოგადი ინდიკატორებით . |
| *2.2.1.1.* | სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად | *უცხოური ენები*<br>სასურველია,  ზოგ კურიკულუმში შესასრულებელი დავალების კონკრეტიკა, ან დავალების პირობის აღწერა.<br>*სახელმწიფო ენა*<br>სასურველია, ყველა კლასის კურიკულუმში გაიწეროს იმ რაოდენობი კომპლექსური/შემოქმედებითი ტიპის დავალება, რამდენის განხორციელებაც შესაძლებელია დაგროვილი  გამოცდილების გათვალისწინებით და ყველა ცნების დამუშავება მოხდეს სასწავლო წლის განმავლობაში. |
| *2.2.1.3* | შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, | *სპორტი*<br>სასურველია, მოხდეს შეფასების რუბრიკების შემდგომი განვითარება განმავითარებელი შეფასების კომპონენტების გაძლიერების |

| | | |
|---|---|---|
| | **სამართლიანი** | მიმართულებით, რათა კიდევ უფრო გამოკვეთილად გაძლიერდეს შეფასების პროცესის ვალიდურობა, სანდოობა და შეფასების კრიტერიუმების ერთგვაროვნება საგნობრივ შედეგებთან მიმართებით.<br>***სახელმწიფო ენა***<br>სასურველია, შექმნან კონკრეტულ დავალებაზე მორგებული რუბრიკები, რომლებშიც მკაფიოდ გამოიკვეთება კრიტერიუმების მიმართება სამიზნე ცნებებთან, მკვიდრ წარმოდგენებთან და შესაბამის ინდიკატორებთან, რათა შეფასება იყო მკაფიო და ვალიდური. |
| *2.2.2.1* | **კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში** | ***მათემატიკა***<br>მიზანშეწონილია საკითხები, რომელიც წარმდგენილია კურიკულუმში სახელმძღვანელოს შესაბამისად, მიეთითოს შესაბამისი გვერდები სახელმძღვანელოდან, ელექტრონულ რესურსებს კი, ბმულები თავისი სახელწოდებით.<br>***სახელმწიფო ენა***<br>სასურველია, გამოიყენებული მრავალფეროვანი, დამხმარე, მატერიალური და ელექტრონული რესურსები და რესურსების გვერდები თუ მისამართები სწორად იქნეს გაწერილი შესაბამის სვეტში. |

## VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

ა(ა)იპ - მცხეთის წმინდა ათორმეტ მოციქულთა სახელობის მართლმადიდებლურ სკოლა-გიმნაზიაში 2020 წლის 15 მაისის ბრძანება MES 6 20 00 391237 საფუძველზე, 2020 წლის 25 და 26 ივნისს განხორციელებული ვიზიტის დროს **ხარვეზი არ დაფიქსირდა.**

გაცემული იყო რეკომენდაციები შემდეგ საკითხებთან მიმართებით:

ქვესტანდარტში 1.1 - სასკოლო სასწავლო გეგმის შედგენისას ყურადღება მიექცეს საათობრივ ბადეს და მის შესაბამისობას ჟურნალში მოცემულ საგნებთან. სასკოლო სასწავლო გეგმის შემადგენელ ნაწილებს და სტრუქტურას - **გამოსწორებულია.**
ქვესტანდარტი 1.2. - ყურადღება მიექცეს შემაჯამებელი დავალებების და სადამრიგებლო პროგრამების მრავალფეროვნებას - **გამოსწორებულია.**
ქვესტანდარტი 1.4. - ყურადღება მიექცეს შეფასების რუბრიკების შესაბამისობას მოსწავლეთა დონეების მიმართ ესგ-ს მოთხოვნების მიხედვით - **გამოსწორებულია.**
ქვესტანდარტი 2.1. დ. - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიისათვის გამოიყოს უფრო დიდი ფართის და დიდ ფანჯრიანი ადაპტირებული სივრცე - **გამოსწორებულია.**
ქვესტანდარტი 3.3. - გათვალისწინებულ იქნას მასწავლებლის მიღების დროს ვაკანსიის მასწავლებლის სახლის ვებ - გვერდზე განთავსების და კონკურსის გამოცხადების აუცილებლობა - **გამოსწორებულია.**
ქვესტანდარტი 3.5. - შემუშავებულ იქნას მასწავლებლის პროფესიული განვითარების მექანიზმები - **გამოსწორებულია.**
ქვესტანდარტი 2.6. დ. - წესრიგის დაცვის მექანიზმები შეთანხმებულ იქნეს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის სამინისტროს მოთხოვნების შესაბამისად - **გამოსწორებელია.**

## VII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

*გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.*

ა(ა)იპ - მცხეთის წმინდა ათორმეტ მოციქულთა სახელობის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზიის კორესპონდენციამ (ცენტრში რეგისტრაციის №841910, რომელიც ეხება დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტში მოყვანილ ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით), **წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია.**
**სკოლა სრულად დაეთანხმა დასკვნის პროექტში ასახულ ფაქტობრივ გარემოებებს და წარმოადგინა ხარვეზების გამოსწორების მტკიცებულებები და სტანდარტთან უზრუნველყოფის შესაბამისობის გეგმა.**

რიგი ინდიკატორებისა, რომლებიც სკოლის არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც - ,,არ შეესაბამება" ექსპერტების მხრიდან შეფასდა როგორც ,,შესაბამისი", ან ,,მეტწილი". კერძოდ:

**ინდიკატორი N 3.1.2.4**. საბაზო და საშუალო საფეხურებზე მოწვეული მასწავლებელი სპორტში არ იყო სერტიფიცირებული და მისი საათობრივი დატვირთვა აღემატებოდა 9 საათს.
სკოლა-გიმნაზიის დირექტორის ბრძანების საფუძველზე გამოცხადებულია ღია კონკურსი სპორტის მასწავლებლის ვაკანტური ადგილის პოზიციაზე. შესაბამისობის გეგმით კვალიფიციური კადრით სკოლის უზრუნველყოფა განსაზღვრულია 2026 წლის 1 სექტემბრამდე.
დასკვნის პროექტში ინდიკატორი ,,არ შეესაბამებოდა", ხოლო არგუმენტირებული პოზიციის შემდეგ წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი შეფასდა ,,მეტწილი შესაბამისობით". **ინდიკატორი N 3.1.2.4. მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

**ინდიკატორი N 3.4.1.1 -** დაწესებულებამ ვიზიტის პერიოდში ვერ წარმოადგინა უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული <u>განახლებული</u> საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა.
არგუმენტირებულ პოზიციაზე დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისი მტკიცებულება, კერძოდ, შსს სსდ - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან შეთანხმებული განახლებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა (29/06/2026), რის საფუძველზეც, **ინდიკატორი N 3.4.1.1. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

**ინდიკატორი N 3.4.1.2. - -** აღნიშნულ ინდიკატორთან მიმართებით დაწესებულებას ჰქონდა 2 ხარვეზი:
ა) პირველადი გადაუდებელი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მიზნით შენობის პირველ სართულზე განთავსებული სამედიცინო მომსახურების კაბინეტი განთავსებული იყო მცირე ფართში, არ იყო იზოლირებული და აღჭურვილი მაცივრით და შირმით.
ბ) სკოლას სამედიცინო მომსახურებისათვის ჰყავდა კვალიფიციური ექთანი და არ ჰყავდა ექიმი.
დაწესებულებამ წარმოადგინა სამედიცინო ოთახის იზოლირებისა და მაცივრისა და შირმის შეძენის მტკიცებულებები, რომლის საფუძველზე პირველადი გადაუდებელი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მიზნით შენობის პირველ სართულზე განთავსებული სამედიცინო მომსახურების კაბინეტი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან, ხოლო სკოლის ექიმის პოზიციაზე სკოლა-გიმნაზიის დირექტორის ბრძანების საფუძველზე გამოცხადებულია ღია კონკურსი სკოლის ექიმის პოზიციაზე. შესაბამისობის გეგმით კვალიფიციური კადრით სკოლის უზრუნველყოფა განსაზღვრულია 2026 წლის 1 სექტემბრამდე. დასკვნის პროექტში ინდიკატორი ,,არ შეესაბამებოდა", ხოლო არგუმენტირებული პოზიციის შემდეგ

წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი შეფასდა ,,მეტწილი შესაბამისობით“.
**ინდიკატორი N3.4.1.2. მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

**ინდიკატორი N.3.5.1.4.-** სკოლა - გიმნაზიის მეორე სართულზე განთავსებული ბიბლიოთეკა სრულად არ იყო ადაპტირებული. დაწესებულებამ წარმოადგინა ხარვეზის აღმოფხვრის მტკიცებულება - დამონტაჟებული პანდუსები (რომელიც ქმნის ადაპტირებულ გარემოს).
არგუმენტირებული პოზიციის შემდეგ წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი შეფასდა ,,სრული“ შესაბამისობით. **ინდიკატორი N3.5.1.4. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

**ინდიკატორი N.3.6.2.2.** სკოლა-გიმნაზიის მართვაში სრულად არ ხდებოდა დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემის გამოყენება.
დაწესებულებამ წარმოადგინა ხარვეზის აღმოფხვრის მტკიცებულება, კერძოდ, შპს ,,სქულ მენეჯმენტ სისტემსთან“ 2026 წლის 16 ივნისს გაფორმებული ხელშეკრულება შიდა სასკოლო დოკუმენტაციის ელექტრონულად წარმოებისთვის ლიცენზიის დროებით სარგებლობაში გადაცემასთან დაკავშირებით. არგუმენტირებული პოზიციის შემდეგ წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი შეფასდა ,,სრული“ შესაბამისობით. **ინდიკატორი N3.6.2.2. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

**ინდიკატორი N 2.2.2.4**. საბაზო და საშუალო საფეხურებზე მოწვეული მასწავლებელი სპორტში არ იყო სერტიფიცირებული და მისი საათობრივი დატვირთვა აღემატებოდა 9 საათს.
სკოლა-გიმნაზიის დირექტორის ბრძანების საფუძველზე გამოცხადებულია ღია კონკურსი სპორტის მასწავლებლის პოზიციაზე. შესაბამისობის გეგმით კვალიფიციური კადრით სკოლის უზრუნველყოფა განსაზღვრულია 2026 წლის 1 სექტემბრამდე. დასკვნის პროექტში ინდიკატორი ,,არ შეესაბამებოდა“, ხოლო არგუმენტირებული პოზიციის შემდეგ წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი შეფასდა ,,მეტწილი შესაბამისობით“.
**ინდიკატორი N2.2.2.4. მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

# ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

**1. სკოლის ფილოსოფია**

**1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები**

**1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**

მცხეთის წმინდა ათორმეტ მოციქულთა სახელობის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზიის **მისიაა**: ხარისხიანი ზოგადი განათლების მისაღებად მოსწავლის პოტენციალის სრულად გამოვლენაზე ორიენტირებული, სწავლისათვის მასტიმულირებელი გარემოს შექმნა, რათა აღზარდოს ფიზიკურად და ინტელექტუალურად განვითარებული, შემოქმედი, დამოუკიდებელი, ეთნიკური თუ რელიგიური მრავალფეროვნებისადმი პატივისმცემელი, დემოკრატიული ღირებულებისადმი საღი დამოკიდებულების მქონე მართლმადიდებელი ქრისტიანი, რომელიც თავის ცოდნასა და შესაძლებლობებს მოახმარს ეროვნულ მიზნებს.

**ხედვა:** სკოლა-გიმნაზია ქმნის სამართლიან, გამჭვირვალე გარემოს, მხარს უჭერს თანამედროვე უნარ-ჩვევებით მოსწავლის აღჭურვას და აძლევს მაღალი ხარისხის განათლებას, უვითარებს ქვეყნის კულტურული ღირებულებების შესწავლისა და დაცვის უნარ-ჩვევებს, ასწავლის ოჯახის, საზოგადოების, მართლმადიდებლური ტრადიციების პატივისცემასა და სამშობლოს სიყვარულს. მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლებისა და არაფორმალური განათლების გაძლიერებით, პედაგოგთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობით, უახლოეს მომავალში სკოლა ხდება რეგიონში ერთ-ერთი პოზიტიური, კონკურენტუნარიანი საგანმანათლებლო დაწესებულება.

სკოლა-გიმნაზიის **ღირებულებებია:** ღვთისა და მოყვასის სიყვარული, პროფესიონალიზმი, პასუხისმგებლობა, სამართლიანობა, თანადგომა, გუნდურობა.

სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლა - გიმნაზია ცდილობს შექმნას ჯანსაღი, ტოლერანტული, ინკლუზიური, კონკურენტუნარიანი გარემო, სადაც მოსწავლეს ექნება შესაძლებლობა გამოავლინოს საკუთარი შესაძლებლობები და უნარები. სკოლა - გიმნაზიის ფილოსოფია შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს.

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. **სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს**

წარმოდგენილი დოკუმენტაციით, სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით და სკოლის მენეჯმენტის განმარტებით, სკოლა-გიმნაზია უზრუნველყოფს მოსწავლეებისა და თანამშრომლებისათვის ფიზიკურ და ემოციურ უსაფრთხოებას და მხარდაჭერას პოზიტიური და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს შექმნით. არაფორმალური განათლების ხელშეწყობით სკოლა-გიმნაზიაში მოქმედებს ,,მდგრადი განვითარების", ,,წიგნის კითხვის", ხალხური რეწვის, ქართული ხალხური ცეკვის, გალობის, ხალხური საკრავების, სიმღერის, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების წრეები. სკოლის სპეციფიკური საგანმანათლებლო მიმათულებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებს სკოლა გიმნაზიაში მოქმედი თორმეტი მოციქულის სახელობის ეკლესია. სკოლას, მისიიდან და ხედვიდან გამომდინარე, გაცნობიერებული აქვს საკუთარი ადგილი თემში  და ქმნის სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს.

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით და სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლის ფილოსოფიის შემუშავებაში აქტიურად იყვნენ ჩართულნი სასკოლო საზოგადოების წევრები. კერძოდ, სკოლა-გიმნაზიის დირექტორის ბრძანებით N2/ს-24-02 შემნილია სამუშაო ჯგუფი, სკოლის ფილოსოფიის შემუშავებაზე პასუხისმგებელი მონიტორინგის ჯგუფი (დირექტორის მოადგილეების, საგნობრივი კათედრებიდან წევრების და 2 მშობლის შემადგენლობით). მათი ინიციატივით, სკოლის ფილოსოფიის შემუშავებაში სასკოლო საზოგადოების აქტიური ჩართულობის მიზნით, ჩატარებულია ანკეტირება როგორც მოსწავლეებთან, ისე მათ მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან და თანამშრომლებთან. ანკეტირების შედეგები შეჯამებულია და შემუშავებულია რეკომენდაციები განსახორციელებელი ცვლილებებისათვის. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ სკოლის ფილოსოფია შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით, რაც დასტურდება არამარტო წარმოდგენილი დოკუმენტაციით, არამედ სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით. ზემოთქმულიდან გამომდინარე, **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

მცხეთის წმინდა ათორმეტ მოციქულთა სახელობის მართლმადიდებლურ სკოლა-გიმნაზიას შემუშავებული აქვს სასკოლო საზოგადოებისათვის მისიის, ხედვისა და ღირებულებების გაზიარების სქემა, სადაც განსაზღვრულია თუ ვისთან და რა

ფორმით უნდა მოხდეს სკოლის ფილოსოფიის გაცნობა. სკოლის ფილოსოფია შეტანილია 2025-2026 სასწავლო წლის სასკოლო კურიკულუმში. აღნიშნული დოკუმენტი განხილილი და დამტკიცებულია პედაგოგიური საბჭოზე, სასკოლო საზოგადოებისგან უკუკავშირის მიღების მიზნით ჩატარებული და შეჯამებულია ანკეტირება. სასკოლო საზოგადოების უკუკავშირის საფუძველზე სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებულია სკოლის ფილოსოფია (მეთოდოლოგიის დოკუმენტის მოთხოვნების გათვალისწინებით). ზემოთქმულიდან გამომდინარე, **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

5. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სკოლი მისია, ხედვა და ღირებულებები განხილულია პედაგოგიურ და მშობელთა კრებებზე, გაზიარებულია სოციალური ქსელის მასწავლებელთა დახურულ ჯგუფში, გამოქვეყნებულია სკოლის ვებ გვერდზე. მატერიალური ფორმით განთავსებულია თვალსაჩინო ადგილას - საინფორმაციო დაფაზე. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

6. **სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს**

2026 წლის 28 იანვრამდე სკოლა ფუნქციონირებდა, როგორც ა(ა)იპ-მცხეთის წმინდა ათორმეტ მოციქულთა სახელობის მართლმადიდებლური საშუალო სკოლა (სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2020 წლის 26 აგვისტოს გადაწყვეტილების საფუძველზე, დაწყებითი, საბაზო, საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებით).
სკოლის დირექტორის 2026 წლის 28 იანვრის N2/ს- 02 ბრძანებით შეცვლილია დაწესებულების სახელწოდება. სკოლის ამჟამინდელი სახელწოდება -ა(ა)იპ მცხეთის წმინდა ათორმეტ მოციქულთა სახელობის მართლმადიდებლური სკოლა - გიმნაზია სრულად შეესაბამება სტატუსის კანონმდებლობით დადგენილ სახელწოდებას და სკოლის საქმიანობას.

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- ა(ა)იპ მცხეთის წმინდა ათორმეტ მოციქულთა სახელობის მართლმადიდებლური სკოლა - გიმნაზიის დირექტორის ბრძანება სტრატეგიული დაგეგმის პროცესზე პასუხისმგებელი სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ.
- ა(ა)იპ მცხეთის წმინდა ათორმეტ მოციქულთა სახელობის მართლმადიდებლური სკოლა - გიმნაზიის სტრატეგიული დაგეგმვის მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია

- ა(ა)იპ მცხეთის წმინდა ათორმეტ მოციქულთა სახელობის მართლმადიდებლური სკოლა - გიმნაზიის დირექტორის ბრძანება დაწესებულების სახელის შეცვლის თაობაზე
- ა(ა)იპ მცხეთის წმინდა ათორმეტ მოციქულთა სახელობის მართლმადიდებლური სკოლა - გიმნაზიის მისიის, ხედვისა და ღირებულებების გაზიარების სქემა
- ა(ა)იპ მცხეთის წმინდა ათორმეტ მოციქულთა სახელობის მართლმადიდებლური სკოლა - გიმნაზიის მშობელთა კრების ოქმი N3 (2025-2026 ს.წ)
- ა(ა)იპ მცხეთის წმინდა ათორმეტ მოციქულთა სახელობის მართლმადიდებლური სკოლა - გიმნაზიის 2025-2026 სასწავლო წლის სასკოლო კურიკულუმი
- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

**შეფასება:**

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება**
**1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს**

ა(ა)იპ მცხეთის წმინდა ათორმეტ მოციქულთა სახელობის მართლმადიდებლურ სკოლა - გიმნაზიას აქვს 2024 წლის 28 ივნისს დირექტორის ბრძანებით N2/ს - 24-01 დამტკიცებული სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგის და შეფასების

მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს და მოიცავს შემდეგ საკითხებს:

- ✓ სტრატეგიულ დაგეგმვასთან დაკავშირებული ძირითადი მიდგომები;
- ✓ დაგეგმვის პროცესი (ინფორმაციის შეგროვება, კვლევა, ანალიზი (SWOT );
- ✓ სამოქმედო/სტრატეგიული გეგმების მონიტორინგი და შეფასება;
- ✓ მისიის, ხედვის, ღირებულებების შესაბამისი სამოქმედო გეგმის შემუშავება და დამტკიცება;
- ✓ სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების განსაზღვრა და შესაბამისი სტრატეგიული გეგმის შემუშავება, დამტკიცება;
- ✓ სტრატეგიული გეგმის გადახედვის ფაზები;
- ✓ სტრატეგიის ფინანსური უზრუნველყოფა;
- ✓ სამოქმედო გეგმის შესრულების წლიური ანგარიში და სხვა.

  სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც მოიცავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. **სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს**

ა(ა)იპ მცხეთის წმინდა ათორმეტ მოციქულთა სახელობის მართლმადიდებლური სკოლა - გიმნაზიის 2024-2031 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა შემუშავებულია სკოლის დირექტორის ბრძანებით N2/ს - 24-02 (28/06/2024) შექმნილი სტრატეგიული დაგეგმვის პროცესზე პასუხისმგებელი დროებითი სამუშაო ჯგუფის მიერ და მოიცავს ინფორმაციას სკოლის მონაცემების, ფილოსოფიის, SWOT ანალიზის, სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესახებ.

განსაზღვრულია 7 სტრატეგიული მიმართულება, მათი განხორციელების ვადები და შესრულების გაზომვადი ინდიკატორები.

სკოლას დაგეგმილი აქვს 2024-2031 წლებში იმუშაოს შემდეგი სტრატეგიული მიმართულებებით:

- ✓ სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება;
- ✓ ადამიანური რესურსის განვითარება;
- ✓ მატერიალური-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება;
- ✓ უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს უზრუნველყოფა;
- ✓ სასკოლო საზოგადოების ჩართულობა;
- ✓ მოსწავლეთა მხარდაჭერის გაუმჯობესება;

- ✓ ორგანიზაციული განვითარება.
  სტრატეგიული გეგმა არის ციკლური და შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს.
  **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. **სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას**

დაწესებულების 2025-2026 წ.წ. ერთწლიანი სამოქმედო გეგმა გამომდინარეობს შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმიდან, ეფუზნება 2024-2025 სასწავლოწლის სამოქმედო გეგმის რეკომენდაციებს, SWOT ანალიზს, განხილულია პედაგოგიური საბჭოს N1 სხდომაზე და დამტკიცებულია 2025წლის 9 სექტემბერს სკოლის დირექტორის ბრძანებით N 2/ს - 27-01. სკოლის მენეჯმენტის განმარტებით, ერთწლიანი სამოქმედო გეგმის ყოველწლიური შეფასების შედეგების გათვალისწინებით იგეგმება მომდევნო სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა. კერძოდ, წარმოდგენილი ანგარიშებით დგინდება, რომ სკოლის სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგი ხორციელდება პასუხისმგებელი პირების მიერ სტრატეგიული დაგეგმარების დოკუმენტის შესაბამისად, გადახედვა ხდება სემესტრულად და ანგარიშები გამოიყენება სწავლების ხარისხის შემდგომი გაუმჯობესებისათვის. 2025-2026 წ.წ. ერთწლიანი სამოქმედო გეგმა ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას, სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას და არის ერთწლიანი. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. **სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია**

2025-2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმაში გაწერილია სტრატეგიული მიზნების შესაბამისი შემდეგი მიმართულებები: სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება, ადამიანური რესურსების განვითარება, მატერიალურ - ტექნიკური ბაზის განვითარება, უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს უზრუნველყოფა, სასკოლო საზოგადოების ჩართულობა, მოსწავლეთა მხარდაჭერის გაუმჯობესება და ორგანიზაციული განვითარება.
წარმოდგენილი სამოქმედო გეგმით განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- ა(ა)იპ მცხეთის წმინდა ათორმეტ მოციქულთა სახელობის მართლმადიდებლური სკოლა - გიმნაზიის სტრატეგიული დაგეგმის მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია
- ა(ა)იპ მცხეთის წმინდა ათორმეტ მოციქულთა სახელობის მართლმადიდებლური სკოლა - გიმნაზიის დირექტორის ბრძანება გიმნაზიის სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ
- ა(ა)იპ მცხეთის წმინდა ათორმეტ მოციქულთა სახელობის მართლმადიდებლური სკოლა - გიმნაზიის დირექტორის ბრძანება - სტრატეგიული დაგეგმის პროცესზე პასუხისმგებელი დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ
- ა(ა)იპ მცხეთის წმინდა ათორმეტ მოციქულთა სახელობის მართლმადიდებლური სკოლა - გიმნაზიის სტრატეგიული დაგეგმის პროცესზე პასუხისმგებელი დროებითი სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ოქმი N 2
- ა(ა)იპ მცხეთის წმინდა ათორმეტ მოციქულთა სახელობის მართლმადიდებლური სკოლა - გიმნაზიის 2024-2031 წლების სტრატეგიული გეგმა
- ა(ა)იპ მცხეთის წმინდა ათორმეტ მოციქულთა სახელობის მართლმადიდებლური სკოლა - გიმნაზიის 2025-2026 წლების სამოქმედო გეგმა
- მშობელთა კითხვარი
- ა(ა)იპ მცხეთის წმინდა ათორმეტ მოციქულთა სახელობის მართლმადიდებლური სკოლა - გიმნაზიის მშობელთა კრების ოქმი N1 (2025-2026 ს.წ, სამოქმედო გეგმის გაცნობა)

**1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა**

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**

ა(ა)იპ მცხეთის წმინდა ათორმეტ მოციქულთა სახელობის მართლმადიდებლური სკოლა - გიმნაზიის სტრატეგიული დაგეგმის მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიის დოკუმენტის (დირექტორის ბრძანება N2/ს - 24-01; 28/06/2024) მიზანია, სტრატეგიული დაგეგმვის, განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების, განხორციელების, მონიტორინგისა და შეფასების ზოგადი მიდგომების განსაზღვრა. აღნიშნული დოკუმენტის მე-5 თავი მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების ძირითად მექანიზმებს. წარმოდგებილი მასალებით დასტურდება, რომ სკოლაში მონიტორინგისა და დაკვირვების შედეგების შეჯამებისა და შეფასებისათვის გამოიყენება ანგარიშები და SWOT ანალიზები მეთოდოლოგიის დოკუმენტით განსაზღვრული პერიოდულობით. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით**

მეთოდოლოგიის დოკუმენტის მე-5 თავით განსაზღვრულია სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგისა და შეფასების პროცესი. კერძოდ, განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირები, პერიოდულობა. ანგარიშვალდებულება, არაგეგმიური მონიტორინგი და სხვა. მონიტორინგის შედეგების შეჯამებისთვის სკოლაში გამოიყენება ანგარიშების წარმოდგენის მეთოდი (დირექტორის მოადგილეების ანგარიში, სტრატეგიული დაგეგმის პროცესზე პასუხისმგებელი დროებითი სამუშაო ჯგუფის ანგარიში, კათედრის გამგეების ანგარიშები და სხვა). შესაბამისად, სასწავლო წლის ბოლოს სამოქმედო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები შესრულებულ სამუშაოების შესახებ წარმოადგენენ წერილობით ანგარიშებს. ვიზიტის პერიოდში სკოლამ წარმოადგინა 2024-2025 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში, რომელიც განთავსებული იყო საინფორმაციო დაფაზე.

მონიტორინგის შედეგების განხილვა და შეფასება ხორციელდება პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე, საჭიროების შემთხვევაში სტრატეგიული დაგეგმარების დაყრდნობით ხდება სტრატეგიულ/სამოქმედო გეგმებში ცვლილებების შეტანა. გამომდინარე აქედან, დაწესებულება ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და შეფასებას მეთოდოლოგიის დოკუმენტის შესაბამისად. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა**

ვიზიტის პერიოდში დაწესებულებამ წარმოადგინა 2025-2026 ს.წ. სამოქმედო გეგმის შესრულების პირველი სემეტრის ანგარიში. სკოლის მენეჯმენტის განმარტებით, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები სემესტრულად და/ან წლის ბოლოს წარმოადგენენ ანგარიშებს პედაგოგიური საბჭოების სხდომებზე, ხოლო 2025-2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები საჯაროობის უზრუნველყოფის მიზნით განთავსდება საინფორმაციო დაფაზე და ვებ გვერდზე. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

1. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის**

სამოქმედო გეგმების შესრულების 2025 წლის დეკემბრის ანგარიშში განხილულია სამოქმედო გეგმით პირველ სემესტრში განსაზღვრული აქტივობების განხორციელების შედეგები - მიღწევები და გამოწვევები. შემუშავებული რეკომენდაციები მოიცავს შემდეგ საკითხებს: ტექნიკური აღჭურვილობის გაუმჯობესება, შემოქმედებითი და პროექტული სწავლების

ხელშეწყობა და ამ მიმართულებით მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა. სკოლის მენეჯმენტთან გასაუბრებით და წარმოდგენილი ანგარიშებით დადგინდა, რომ დაწესებულება ითვალისწინებს სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშს შემდგომი გაუმჯობესებისათვის. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- ა(ა)იპ მცხეთის წმინდა ათორმეტ მოციქულთა სახელობის მართლმადიდებლური სკოლა - გიმნაზიის სტრატეგიული დაგეგმის მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია
- ა(ა)იპ მცხეთის წმინდა ათორმეტ მოციქულთა სახელობის მართლმადიდებლური სკოლა - გიმნაზიის დირექტორის ბრძანება - გიმნაზიის სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ
- ა(ა)იპ მცხეთის წმინდა ათორმეტ მოციქულთა სახელობის მართლმადიდებლური სკოლა - გიმნაზიის დირექტორის ბრძანება - სტრატეგიული დაგეგმის პროცესზე პასუხისმგებელი დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ
- ა(ა)იპ მცხეთის წმინდა ათორმეტ მოციქულთა სახელობის მართლმადიდებლური სკოლა - გიმნაზიის სტრატეგიული დაგეგმის პროცესზე პასუხისმგებელი დროებითი სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ოქმი N 2
- ა(ა)იპ მცხეთის წმინდა ათორმეტ მოციქულთა სახელობის მართლმადიდებლური სკოლა - გიმნაზიის 2024-2031 წლების სტრატეგიული გეგმა
- ა(ა)იპ მცხეთის წმინდა ათორმეტ მოციქულთა სახელობის მართლმადიდებლური სკოლა - გიმნაზიის 2025-2026 წლების სამოქმედო გეგმა
- ა(ა)იპ მცხეთის წმინდა ათორმეტ მოციქულთა სახელობის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზიის 2024-2025 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები/ანგარიში
- ა(ა)იპ მცხეთის წმინდა ათორმეტ მოციქულთა სახელობის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზიის 2025-2026 წლების სამოქმედო გეგმის პირველი სემეტრის შედეგების ანგარიში

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**

**3.1. პერსონალის მართვა**

**3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**

ა(ა)იპ მცხეთის წმინდა ათორმეტ მოციქულთა სახელობის მართლმადიდებლური სკოლა - გიმნაზიის ძირითადი სტრუქტურული ერთეულებია:

**პედაგოგიური საბჭო** (სკოლა-გიმნაზიის პედაგოგიური საბჭო არის სკოლის მასწავლებელთა თვითმმართველობის ორგანო, რომელშიც გაერთიანებულია ყველა საგნის მასწავლებელი, 1 სპეციალური მასწავლებელი, აღმზრდელ-პედაგოგები და კლასგარეშე წრეების მასწავლებელი. პედაგოგიურ საბჭოს აქვს დებულება და სამუშაო გეგმა, რომელსაც ამტკიცებს სკოლის დირექტორი).

**კათედრები**: ჰუმანიტარულ მეცნიერებათა, საზოგადოებრივ მეცნიერებათა, მათემატიკის, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და კომპიუტერული ტექნოლოგიების, სპორტისა და ესთეტიკური აღზრდის.

**დირექცია**: დირექტორი, 3 მოადგილე, ბუღალტერი.

**ადმინისტრაცია**: ბიბლიოთეკარი, ინფორმაციული მენეჯერი, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი, სამეურნეო ნაწილის გამგე, ექთანი.

**ტექნიკური პერსონალი:** დარაჯი, დამლაგებელი, ჭურჭლის მრეცხავი, ტრაპეზარი, მეეზოვე.

დასაქმებულთა უფლება-მოვალეობები და ვალდებულებები გაწერილია სკოლასა და დასაქმებულს შორის გაფორმებულ შრომითი ხელშეკრულებში, სკოლის შინაგანაწესში, თანამდებობრივ ინსტუქციებში, რომელიც დამტკიცებულია სკოლის დირექტორის 2023 წლის 2 დეკემბრის N 2/ს - 66 ბრძანებაით. მასწავლებლებისთვის და სპეციალური მასწავლებლებისთვის ფუნქციები განსაზღვრულია კანონმდებლობისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს N174/ნ ბრძანებით დამტკიცებული მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის მოთხოვნების შესაბამისად.

დაწესებულებას ასევე შემუშავებული აქვს სკოლა-გიმნაზიის დირექტორის 2024 წლის 28 ივნისის N 2/ს -24-19 ბრძანების საფუძველზე დამტკიცებული პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, სადაც განსაზღვრულია სტრუქტურული

ერთეულების ფუნქცია - მოვალეობები, პასუხისმგებლობები, უფლებები და ანგარიშვალდებულებები. სკოლის სტრუქტურა განთავსებულია საინფორმაციო დაფაზე, გაზიარებულია სკოლის ვებ გვერდზე და სოციალური ქსელის დახურულ ჯგუფებში. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას**

სკოლას შემუშავებული აქვს დასაქმებულ პირთა თანამდებობრივი ინსტრუქციები. დოკუმენტით განსაზღვრულია ბუღალტრის, მასწავლებლის, მოწვეული, შემცვლელი და სპეციალური მასწავლებლის, საქმისმწარმოებლის, ბიბლიოთეკარის, დამლაგებლის, დარაჯის, სკოლის ექთნის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რომლებიც შესაბამისობაშია ორგანოგრამასთან და სკოლაში მიმდინარე პროცესებთან. წარმოდგენილი დოკუმენტაციით დგინდება, რომ სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის მკაფიოდ განაწილებული ფუნქციები და პასუხისმგებლობები ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის ეფექტურად განხორციელებას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- ა(ა)იპ მცხეთის წმინდა ათორმეტ მოციქულთა სახელობის მართლმადიდებლური სკოლა - გიმნაზიის თანამდებობრივი ინსტრუქციები
- ა(ა)იპ მცხეთის წმინდა ათორმეტ მოციქულთა სახელობის მართლმადიდებლური სკოლა - გიმნაზიის შინაგანაწესი
- ა(ა)იპ მცხეთის წმინდა ათორმეტ მოციქულთა სახელობის მართლმადიდებლური სკოლა - გიმნაზიის პერსონალის მართვის პოლიტიკა
- ა(ა)იპ მცხეთის წმინდა ათორმეტ მოციქულთა სახელობის მართლმადიდებლური სკოლა - გიმნაზიის სტრუქტურა
- ა(ა)იპ მცხეთის წმინდა ათორმეტ მოციქულთა სახელობის მართლმადიდებლური სკოლა - გიმნაზიის შრომითი ხელშეკრულებები
- ა(ა)იპ მცხეთის წმინდა ათორმეტ მოციქულთა სახელობის მართლმადიდებლური სკოლა - გიმნაზიის საშტატო განრიგი

**3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად**

სკოლა - გიმნაზიას პერსონალის მართვის პროცედურები განსაზღვრული აქვს პერსონალის მართვის პოლიტიკაში, რომელიც დამტკიცებულია 2024 წლის 28 ივნისს დაწესებულების დირექტორის N 2/ს - 24-19 ბრძანებით და მოიცავს პერსონალის მართვისა და პროფესიული განვითარების საკითხებს.

გარდა ამისა, სკოლა - გიმნაზიის დირექტორის 2024 წლის 28 ივნისის N 2/ს - 24 -18 ბრძანებით დამტკიცებული დოკუმენტით - მასწავლებლის, ადმინისტრაციის, ტექნიკური/დამხმარე პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, შერჩევისა და სამსახურში მიღების ერთიანი წესით - განსაზღვრულია პერსონალის მართვის რეგულაციები - მიზნები, სტრატეგიები, ამოცანები და სხვა.

პერსონალის მართვის პროცესების მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად განხორციელებას ემსახურება სკოლასა და დასაქმებულს შორის გაფორმებული შრომითი ხელშეკრულება, რომელშიც განსაზღვრულია დასაქმებული პირის სამუშაო აღწერილობები, უფლებები, მოვალეობები და სხვა. პერსონალთან გაფორმებული ინდივიდუალური ხელშეკრულება თანხვედრაშია სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულ უფლება - მოვალეობებთან. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. **სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა**

მცხეთის წმინდა ათორმეტ მოციქულთა სახელობის მართლმადიდებლური სკოლა - გიმნაზიის შინაგანაწესით (ბრძანება N 2/ს - 27. 09/09/25) გათვალისწინებულია ადამიანური რესურსების პრევენციული და ინტერვენციული მართვის პოლიტიკა. შინაგანაწესის მე-6 თავის მე-12 მუხლით განსაზღვრულია სამსახურში დაგვიანებით გამოცხადება /გამოუცხადებლობის შეტყობინების წესი, რომლის მიხედვით სკოლა უზრუნველყოფს დასაქმებულთა სკოლაში გაცდენის, დაგვიანების შემთხვევაში მათ დროულ ჩანაცვლებას სხვა მასწავლებლით, რათა ხელი არ შეეშალოს სასწავლო პროცესს. როგორც სკოლის წარმომადგენლებთან (ადმინისტრაცია, მასწავლებლები) გასაუბრებით დადგინდა, მასწავლებლის გაცდენის შეთხვევაში, სკოლა მყისიერად ახდენს საგაკვეთილო ცხრილის მოდიფიცირებას, გაკვეთილების გადანაცვლებას და იმავე საგნის თავისუფალი მასწავლებლის/სხვა მასწავლებლის/დამრიგებლის ჩანაცვლებას გაკვეთილზე.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. **პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით**

სკოლა - გიმნაზიის დირექტორის 2024 წლის 28 ივნისის N 2/ს - 24 -18 ბრძანებით დამტკიცებული დოკუმენტით - მასწავლებლის, ადმინისტრაციის, ტექნიკური/დამხმარე პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, შერჩევისა და სამსახურში მიღების ერთიანი წესით - განსაზღვრულია კონკურსის გამოცხადების, კომისიის შექმნის, გადაწყვეტილების მიღების, გასაჩივრების წესი და ა.შ.

წარმოდგენილი მასალებით დასტურდება, რომ ახალი პერსონალის მიღება ხორციელდება კონკურსის გზით, teacherjobs.ge პლატფორმაზე ვაკანსიის გამოცხადებით. მასწავლებელთა კონკურსის გამოცხადებისას დაწესებულება ხელმძღვანელობს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს N174/ნ ბრძანებით დამტკიცებული „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის“ შესაბამისად.

სკოლა - გიმნაზიის შინაგანაწესით დარეგულირებულია სამუშაო პროცედურები (სამუშაო კვირის, სამუშაო დღის ხანგრძლივობა, დასვენების წესები, შრომის ანაზღაურების გაცემის წესი და სხვა). სკოლის ყველა თანამშრომელთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება.

პერსონალის პირადი საქმეების შესწავლით დგინდება, რომ პირადი საქმეები მოიცავს მათი განათლებისა და კვალიფიკაციის დამადასტურებელ დოკუმენტებს და ცნობებს თანამშრომელთა ნასამართლეობის შესახებ, სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებში ნასამართლეობის არარსებობის შესახებ, უფლების ჩამორთმევის შესახებ. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. **პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს**

მცხეთის წმინდა ათორმეტ მოციქულთა სახელობის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზიას ჰყავს 38 თანამშრომელი. აქედან - 22 უფროსი, 1 წამყვანი, 2 მოწვეული, 2 უსტატუსო მასწავლებელი (უსტატუსოა სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული დამატებითი სავალდებულო საგნის - საღმრთო სჯულის ორი მასწავლებელი, რომელთაც გააჩნიათ შესაბამისი კვალიფიკაცია), 2 აღმზრდელი, 2 წრის ხელმძღვანელი, 1 ექთანი, 1 ბიბლიოთეკარი.

დოკუმენტში - მასწავლებლის, ადმინისტრაციის, ტექნიკური/დამხმარე პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, შერჩევისა და სამსახურში მიღების ერთიანი წესი - შემუშავებულია პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები.

მასწავლებელთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები შესაბამისობაშია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს N174/ნ ბრძანებით დამტკიცებული მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესთან. აღნიშნულ დოკუმენტში გაწერილია სკოლაში სხვა პოზიციებზე დასაქმებული პირების საკვალიფიკაციო მოთხოვნებიც (ბიბლიოთეკარი, დამლაგებელი, მეეზოვე, დარაჯი და ა.შ.).

დასაქმებული პერსონალი (გარდა 1 მოწვეული მასწავლებლისა) არის დაკავებული პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე, რაც დასტურდება კვალიფიკაციის ამსახველი შესაბამისი დოკუმენტაცია eSchool-ის ბაზაში და მატერიალური ფორმით - მასწავლებლის პირადი საქმით.
სკოლა-გიმნაზიის მოწვეული მასწავლებელი დასაქმებულია სპორტის მასწავლებლის პოზიციაზე (საბაზო და საშუალო საფეხურებზე) და მისი საათობრივი დატვირთვა აღემატება 9 საათს. პედაგოგი არ არის სერტიფიცირებული, თუმც, როგორც სკოლის წარმომადგენლებმა აღნიშნეს (და წარმოადგინეს შესაბამისი მტკიცებულებაც) დარეგისტრირებულია სპორტის მასწავლებლის გამოცდაზე სერტიფიცირების მიზნით. გარდა ამისა, სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციაზე წარმოადგინა მტკიცებულება სპორტის მასწავლებლის პოზიციაზე გამოცხადებული ვაკანსიის თაობაზე.
<u>დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია:</u> შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (2026 წლის 1 სექტემბერი) უზრუნველყოს კვალიფიციური კადრის სკოლაში დასაქმება. **ინდიკატორი მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

**5.პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს**

სკოლის მენეჯმენტის განმარტებით, წარმოდგენილი დოკუმენტაციით და ინტერვიუირების პროცესით დასტურდება, რომ პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება თანამშრომლობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს. პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტით განსაზღვრულია სკოლის მიზნები და ამოცანები პერსონალის მართვასთან დაკავშირებით და ეფუძნება გუნდური მუშაობის პრინციპებს.
საგნობრივ კათედრებზე მასწავლებელთა და სკოლის სხვა პერსონალის ჩართულობით ერთობლივად იგეგმება და ხორციელდება სასკოლო აქტივობები (გასვლითი ღონისძიებები, ინტეგრირებული გაკვეთილები და პროექტები, წრეობრივი მუშაობები და სხვა), საგნობრივი კათედრების და პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე განიხილება მნიშვნელოვანი საკითხები და მიიღება შესაბამისი გადაწყვეტილებები. **ინდიკატორიშეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

**6.სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი**

პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტის მე-8 მუხლით განსაზღვრულია თანამშრომელთა მოტივაციის გაზრდის პოლიტიკა. სკოლის დირექტორის მოადგილის განმარტებით თანამშრომელთა წარმატებულ მიღწევებს ან აქტივობებს ყოველთვის განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა - ტარდება ერთობლივი შეხვედრები, ვებ გვერდზე ან სოციალურ ქსელში თავსდება ინფორმაცია და ა.შ. სკოლის ბიუჯეტში განსაზღვრულია თანხები ფასიანი საჩუქრებისთვის (წიგნებისთვის).

სკოლა - გიმნაზიის მენეჯმენტის განმარტებით რეგულარულად ქვეყნდება ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მასწავლებელთა მიერ განხორციელებული აქტივობების შესახებ https://www.etaloni.ge/geo/main/index-ზე. სოციალური ქსელის მასწავლებელთა და მშობელთა დახურულ ჯგუფებში. ხოლო პედაგოგების წარმატებული პრაქტიკის შესახებ ინფორმაციები განთავსებულია სკოლის ვებგვერდზეც-https://atormet-mociquli.ge/ და https://mastsavlebeli.ge/

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- ა(ა)იპ მცხეთის წმინდა ათორმეტ მოციქულთა სახელობის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზიის სამსახურში მიღების ერთიანი წესი
- ა(ა)იპ მცხეთის წმინდა ათორმეტ მოციქულთა სახელობის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზიის შინაგანაწესი
- ა(ა)იპ მცხეთის წმინდა ათორმეტ მოციქულთა სახელობის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზიის კათედრის დებულება
- ა(ა)იპ მცხეთის წმინდა ათორმეტ მოციქულთა სახელობის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზიის პერსონალის მართვის პოლიტიკა
- კონკურსის მასალები
- მასწავლებლის პირადი საქმე
- ა(ა)იპ მცხეთის წმინდა ათორმეტ მოციქულთა სახელობის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზიის პედაგოგიური საბჭოს ოქმი N1
- ა(ა)იპ მცხეთის წმინდა ათორმეტ მოციქულთა სახელობის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზიის ხელშეკრულება მოწვეული მასწავლებელთან
- ა(ა)იპ მცხეთის წმინდა ათორმეტ მოციქულთა სახელობის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზიის ხელშეკრულება სპეციალურ მასწავლებელთან

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**3.2. პერსონალის განვითარება**

**3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები**

სკოლა - გიმნაზიის მენეჯმენტის განმარტებით, მცხეთის წმინდა ათორმეტ მოციქულთა სახელობის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზიის პრიორიტეტს წარმოადგენს თანამშრომელთა პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა. პერსონალის პროფესიული განვითარება ეფუძნება მონაცემებზე დაფუძნებულ და სისტემურ მიდგომას, რომელიც აერთიანებს საჭიროებების კვლევას, მიზნობრივ დაგეგმვას, განხორციელებასა და შედეგების შეფასებას.

2025 წლის სექტემბერში სკოლის მასწავლებლებთან ჩატარებული საჭიროებების კვლევის საფუძველზე (მონაწილეობდა – 25 პედაგოგი) გამოიკვეთა კურიკულუმის ეფექტიანი დანერგვის (72%) და შეფასების რუბრიკების განვითარების (68%) საჭიროება. აღნიშნულ მონაცემებზე დაყრდნობით შემუშავდა 2025–2026 სასწავლო წლის პროფესიული განვითარების წლიური გეგმა, რომელიც მოიცავს ინფორმაციას მიმართულებების, კვლევებით გამოვლენილი საჭიროებების, დაგეგმილი აქტივობების, პასუხისმგებელი პირების, განსახორციელებელი ვადების და დადასტურებების/ მტკიცებულებების შესახებ.

წარმოდგენილი მასალებით, სასწავლო დარგში დირექტორის მოადგილის პირველი სემესტრის ანგარიშით და მასწავლებლებთან გასაუბრებით დგინდება, სკოლის მასწავლებელთა აქტიური თანამშრომლობა ჟურნალ მასწავლებელთან, კერძოდ, მიმდინარე სასწავლო წელს სხვადასხვ საგნობრივი კათედრებიდან გამოქვეყნებულია 8 სტატია (აღნიშნული პუბლიკაციები ადასტურებს ტრენინგების ეფექტიანობას). თითოეული პედაგოგის პროფესიული აქტივობა და პროგრესი აღირიცხება პროფესიული განვითარების რეესტრში.

სკოლაში მოქმედი „კრიტიკული მეგობრის" ინსტიტუტის ფარგლებში წარმოდგენილი დაკვირვების ფურცლებით დასტურდება გაკვეთილზე დასწრების შედეგად მიღებული უკუკავშირი, გასაუმჯობესებელი მხარეები და რეკომენდაციები.

სკოლა - გიმნაზიას 2025 წლის 15 სექტემბერს გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტთან განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამებში არსებული პრაქტიკის კურსის ფარგლებში (პედაგოგიური პრაქტიკის ფორმით), სახელმწიფო სტაჟირებაზე თანამშრომლობის თაობაზე, რაც ხელს უწყობს მასწავლებელთა მოტივაციისა და პროფესიული განვითარების ზრდას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

**2.პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად**

წარმოდგენილი მასალების გაცნობით და მასწავლებლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლა-გიმნაზიის პედაგოგები ესწრებიან საჭიროებების საფუძველზე გამოვლენილ შესაბამის ტრენინგ–მოდულებს, ტარდება საინფორმაციო შეხვედრები, საგნობრივი კათედრების სხდომები, სამუშაო შეხვედრები.

სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში, პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტში გაწერილია თანამშრომელთა პროფესიული განვითარების ხელშემწყობი მექანიზმები. სკოლა-გიმნაზიასა და სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტთან გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში, როგორც სერტიფიკატებით დასტურდება ჩატარებულია ტრენინგები შემდეგ თემებზე:

- ✓ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების პრაქტიკული ასპექტები;
- ✓ სასკოლო კურუკულუმის დანერგვის პრაქტიკული ასპექტები.

სკოლა - გიმნაზიის პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

**3.სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას.**

ა(ა)იპ-მცხეთის წმინდა ათორმეტ მოციქულთა სახელობის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზია ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას. კერძოდ, როგორც მასწავლებლები აღნიშნავენ, წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები. სკოლა-გიმნაზიის სამოქმედო გეგმაში გაწერილია აქტივობები, რომლებიც ითვალისწინებს მასწავლებელთა პროფესიული ზრდისათვის სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელებას. მაგალითად, მასწავლებლები ჩართულნი არიან კონკურსებსა და კონფერენციებში, მათი ნაშრომები იბეჭდება ელექტრონულ ჟურნალ მასწავლებელში. სკოლაში დიდი ყურადღება ეთმობა მასწავლებელთა თანამშრომლობას ე.წ. „კრიტიკული მეგობრის“ ფორმატით. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

**4.სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან**

მცხეთის წმინდა ათორმეტ მოციქულთა სახელობის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზიაში ხელშეწყობილია დამწყები მასწავლებლების პროფესიაში შესვლა. სასწავლო დარგში დირექტორის მოადგილის განმარტებით, სკოლა ახალ თანამშრომელს აცნობს სკოლის ორგანიზაციულ კულტურას, წეს-ჩვეულებებს, შიდა რეგულაციებს, კურიკულუმებს.

კათედრის გამგე და კოლეგები აქტიურად მონაწილეობენ და ხელს უწყობენ ახალი კადრის ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

**5.წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები**

ა(ა)იპ-მცხეთის წმინდა ათორმეტ მოციქულთა სახელობის მართლმადიდებლურ სკოლა-გიმნაზიაში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები. დასაქმებულის მიმართ წახალისების ფორმები გაწერილია შინაგანაწესის 29 -ე მუხლში და ითვალისწინებს შემდეგ ფორმებს:

- ✓ მადლობის გამოცხადება
- ✓ სიგელით დაჯილდოება
- ✓ ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება,
- ✓ ერთჯერადი პრემიის ან ფულადი ჯილდოს გადაცემა.

სკოლის ბიუჯეტი ითვალისწინებს ხარჯებს მასწავლებელთა წასახალისებლათ.

მიმდინარე სასწავლო წელს სკოლა - გიმნაზიის დირექტორის 2025 წლის 12 სექტემბრის ბრძანებით მადლობა გამოეცხადა ბიოლოგიისა და გეოგრაფიის პედაგოგებს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები, არსებობის შემთხვევაში):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ა(ა)იპ-მცხეთის წმინდა ათორმეტ მოციქულთა სახელობის მართლმადიდებლურ სკოლა-გიმნაზიის ერთწლიანი სამოქმედო-სამოქმედო-გეგმა
- ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტთან
- ა(ა)იპ-მცხეთის წმინდა ათორმეტ მოციქულთა სახელობის მართლმადიდებლურ სკოლა-გიმნაზიის შინაგანაწესი.
- ა(ა)იპ-მცხეთის წმინდა ათორმეტ მოციქულთა სახელობის მართლმადიდებლურ სკოლა-გიმნაზიის დირექტორის ბრძანება პერსონალის სოციალიზაციის პროცედურების დამტკიცების შესახებ
- ა(ა)იპ-მცხეთის წმინდა ათორმეტ მოციქულთა სახელობის მართლმადიდებლურ სკოლა-გიმნაზიის დირექტორის ბრძანება მასწავლებლისთვის მადლობის გამოცხადების შესახებ
- საჭიროებათა კვლევის ანალიზი
- ,,კრიტიკული მეგობრის“ დაკვირვების ფურცელი

- მასწავლებელთა პროფესიული განვითარების წლიური სამუშაო გეგმა.
- ა(ა)იპ-მცხეთის წმინდა ათორმეტ მოციქულთა სახელობის მართლმადიდებლურ სკოლა-გიმნაზიის თანამშრომელთა პროფესიული ზრდის რეესტრი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3.3. პროცესების მართვა**

**3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს**

ა(ა)იპ-მცხეთის წმინდა ათორმეტ მოციქულთა სახელობის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზიის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება შიდა საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად, რომელიც დამტკიცებულია 2024 წლის 28 ივნისს დაწესებულების დირექტორის N 2/ს - 24 – 16 ბრძანებით და ეფუძნება ეროვნულ და სასკოლო სასწავლო გეგმას და სკოლის შინაგანაწესს. აღნიშნული დოკუმენტი ეფუძნება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს და მოიცავს შემდეგ საკითხებს: მიმართულებები, შიდა შეფასება, პერსონალის და მატერიალური რესურსის შეფასება, მართვის პროცესებისა და სასწავლო პროცესის შეფასება, მოსწავლეთა მრადამჭერი მექანიზმების შეფასება, თვითშეფასება და სხვა. განსაზღვრულია ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირები და სტრუქტურული ერთეული, შედეგების შეფასების პროცესი (SWOT) ანალიზი და სხვა. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. **იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები**

სკოლა-გიმნაზიას საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებით განსაზღვრული აქვს მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები. სტუქტურული ერთეულების საქმიანობა რეგულირდება სასკოლო სასწავლო გეგმით, შინაგანაწესით, საგნობრივი კათედრების და სადამრიგებლო პროგრამების დებულებით. სკოლას შემუშავებული აქვს სკოლის მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე სტრუქტურული ერთეულების უფლებამოსილებისა და საქმიანობის რეგულაციების დოკუმენტი, რომელიც დამტკიცებულია 2024 წლის 28 ივნისს, N2/ს - 24-10 ბრძანებით. დოკუმენტში ნათლად არის გაწერილი კონკრეტულად ვის მიერ, რა ნაბიჯების გადადგმით, რა ეტაპების გავლით ხორციელდება საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. **სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა**

მცხეთის წმინდა ათორმეტ მოციქულთა სახელობის მართლმადიდებლურ სკოლა-გიმნაზიის შინაგანაწესი არეგულირებს სასწავლო პროცესში მონაწილეთა უფლებამოსილებებსა და ვალდებულებებს. მე-16 თავის 46 -ე მუხლით განსაზღვრულია განცხადების / საჩივრის განხილვის წესი.

თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა ვრცლად არის აღწერილი 2023 წლის 28 ივნისს სკოლის დირეექტორის N 2/ს - 24 – 09 ბრძანებით დამტკიცებული განცხადების და საჩივრის განხილვის წესშიც, რომელიც მოიცავს ინფორმაციას განცხადების წარდგენის, განხილვის ვადების, დისციპლინური წარმოების, შეფასების გასაჩივრების და ა.შ. შესახებ.

დოკუმენტი - მოსწავლის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის ძირითადი უფლებები და მოვალეობები (ბრძანება N 2/ს - 24-03; 28/06/2024) მოიცავს ინფორმაციას თავისუფლებისა და გასაჩივრების უფლების შესახებ.

სკოლასა და თანამშრომელს, მოსწავლეთა მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს შორის ურთიერთობათა პირობები ასევე ასახულია ხელშეკრულებებში და შეესაბამება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას.

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. **სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები**

მცხეთის წმინდა ათორმეტ მოციქულთა სახელობის მართლმადიდებლურ სკოლა-გიმნაზიას შემუშავებული აქვს მოსწავლის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლისა და პერსონალის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების მარეგულირებელი დოკუმენტები.

მოსწავლეებთან გასაუბრებით დგინდება, რომ კლასის დამრიგებლები კლასის საათზე მათ აცნობენ თავიანთ უფლება-მოვალეობებს.

სკოლის საინფორმაციო დაფაზე გამოკრულია 112-ის, სახალხო დამცველის და საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ცხელი ხაზის ნომრები.

სკოლის თანამშრომლებთან, მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებებში განსაზღვრულია მხარეთა უფლებები და ვალდებულებები.

ინფორმაციები პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმების შესახებ საჯაროა, განთავსებულია სკოლის საინფორმაციო დაფაზე, რაც იძლევა იმის საშუალებას, რომ სკოლის მიდგომა კონკრეტულ საკითხთან/საკითხებთან მიმართებით იყოს არადისკრიმინაციული. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- ა(ა)იპ-მცხეთის წმინდა ათორმეტ მოციქულთა სახელობის მართლმადიდებლურ სკოლა-გიმნაზიის ერთწლიანი სამოქმედო-სამოქმედო-გეგმა
- ა(ა)იპ-მცხეთის წმინდა ათორმეტ მოციქულთა სახელობის მართლმადიდებლურ სკოლა-გიმნაზიის შინაგანაწესი.
- მშობლის კითხვარი
- ა(ა)იპ-მცხეთის წმინდა ათორმეტ მოციქულთა სახელობის მართლმადიდებლურ სკოლა-გიმნაზიის განცხადების და საჩივრების განხილვის წესი
- ა(ა)იპ-მცხეთის წმინდა ათორმეტ მოციქულთა სახელობის მართლმადიდებლურ სკოლა-გიმნაზიის მოსწავლის და მშობლის ძირითადი უფლებები და მოვალეობები
- ა(ა)იპ-მცხეთის წმინდა ათორმეტ მოციქულთა სახელობის მართლმადიდებლურ სკოლა-გიმნაზიის ძირითადი და დამხმარე სტრუქტურული ერთეულების უფლებამოსილება რეგულაციები
- მშობელთა კრების ოქმი-N1

**3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები**

სკოლას პერსონალური მონაცემების დაცვის პრინციპების გათვალისწინებით, დოკუმენტურად შემუშავებული აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები. სკოლის სტრატეგიული პრიორიტეტების, მიღწევების, სიახლეების, აქტივობების და ა.შ. გაცნობა ხდება კლასის დამრიგებლების მიერ სადამრიგებლო კლასის საათზე და მშობელთა კრებებზე, ადმინისტრაციის მხრიდან პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე, სამუშაო შეხვედრებზე და სხვა. სასკოლო საზოგადოების ინფორმირების საშუალებას წარმოადგენს საინფორმაციო დაფა, სოციალური ქსელი, სკოლის ვებ- გვერდი, ელექტრონული ფოსტა, დახურული ჯგუფები, ZOOM-ის პლატფორმა და სხვა. უკუკავშირის გამოყენების მიზნით 2025 წლის სექტემბერში ჩატარებულია მასწავლებელთ, მოსწავლეთა და მშობელთა ანკეტირება, რომლის მიზანსაც წარმოადგენდა სასწავლო გარემოს, სკოლის უსაფრთხოების, მოსწავლეთა კმაყოფილებისა და საჭიროებების გამოვლენა და შეჯამება. შედეგების შესწავლის საფუძველზე, პასუხისმგებელი პირის მიერ მოხდა შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება და მათი გაცნობა სასკოლო საზოგადოების წევრებისათვის. კვლევის შედეგებთან დაკავშირებით წარმოდგენილი მასალებით დასტურდება მიღებული უკუკავშირის შემდეგ, შემუშავებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, წრეობრივ მეცადინეობებისა და მასწავლებელთა ტრენინგების მიზნობრივად დაგეგმვა. სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით სკოლა გეგმავს კითხვარების გამოყენებას მომდევნო სასწავლო წლისათვისაც. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. **უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა**

წარმოდგენილი დოკუმენტაციით და სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სასკოლო საზოგადოების წევრები ჩართულები არიან მართვის კოლეგიალურ ორგანოებსა და სასკოლო ცხოვრებაში. კერძოდ, სკოლის სამოქმედო გეგმაში გაწერილია აქტივობები სასკოლო ცხოვრებაში მშობელთა ჩართულობის გაზრდის მიზნით (განსაკუთრებით სასკოლო ღონისძიებების დაგეგმვისას). პედაგოგიური საბჭოს და სხვა სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები განსაზღვრულია კანონმდებლობით და სკოლის დირექტორის 2024 წლის 28 ივნისს ბრძანება N 2/ს -24 – 03 დამტკიცებული ძირითადი და

დამხმარე სტრუქტურული ერთეულების უფლებამოსილებისა და საქმიანობის რეგულაციის დოკუმენტით. გარდა ამისა, აღნიშნული საკითხის შესწავლა მოხდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეხვედრის ოქმების (პედაგოგიური საბჭოს ოქმი N 1, მშობელთა კრების ოქმი N1, კათედრის სხდომის ოქმი N2) გაცნობით, რაც გვაძლევს საშუალებას ვივარაუდოთ, სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაშიაქტიური ჩართულობის შესახებ (სასკოლო კურიკულუმის შემუშავება, აქტივობების დაგეგმვა, ინტეგრირებული პროექტების დაგეგმვა და სხვა). **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- ა(ა)იპ-მცხეთის წმინდა ათორმეტ მოციქულთა სახელობის მართლმადიდებლურ სკოლა-გიმნაზიის შინაგანაწესი.
- მშობლის კითხვარი
- ა(ა)იპ-მცხეთის წმინდა ათორმეტ მოციქულთა სახელობის მართლმადიდებლურ სკოლა-გიმნაზიის 2025-2026 წლების სამოქმედო გეგმა
- ა(ა)იპ-მცხეთის წმინდა ათორმეტ მოციქულთა სახელობის მართლმადიდებლურ სკოლა-გიმნაზიის მოსწავლის და მშობლის ძირითადი უფლებები და მოვალეობები
- ა(ა)იპ-მცხეთის წმინდა ათორმეტ მოციქულთა სახელობის მართლმადიდებლურ სკოლა-გიმნაზიის ძირითადი და დამხმარე სტრუქტურული ერთეულების უფლებამოსილება რეგულაციები
- მშობელთა-კრების-ოქმი-N1
- პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი N1
- კათედრის სხდომის ოქმი N2

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება**

**3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა**

მცხეთის წმინდა ათორმეტ მოციქულთა სახელობის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზიის ტერიტორია შემოსაზღვრული და დაცულია.

- ✓ შიდა და გარე პერიმეტრი სრულად კონტროლდება ვიდეოსამეთვალყურეო სისტემით (8 ვიდეო კამერით).
- ✓ სკოლას არ ჰყავს მანდატური, მაგრამ დასაქმებულთა და მოსწავლეთა ფიზიკურ დაცვას და უსაფრთხოებას უზრუნველყოფს სკოლის დარაჯი.
- ✓ დირექტორის N2/ ს-31 ბრძანებით (10/09/2025) განსაზღვრულია წესრიგის დაცვაზე უფლებამოსილი პირი და მისი მოვალეობები.
- ✓ სკოლის დირექტორის N 1/კ -11 ბრძანებით (20/08/2024) შექმნილია საგანგებო სიტუაციების შტაბი და განსაზღვრულია მისი უფლება - მოვალეობები.
- ✓ სკოლას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება შპს ,,სეიფთი ქორფ“ და ემსახურება შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი (რომელიც სკოლას უწევს შესაბამის მომსახურებას შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით). შრომის უსაფრთხოების მომსახურების ფარგლებში სკოლა-გიმნაზიის პერსონალს ჩაუტარდა ტრენინგი სახანძრო უსაფრთხოებასთან დაკავშირებით 2025 წლის ნოემბერში.
- ✓ სკოლა-გიმნაზიის ყველა ფლიგელში თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია ევაკუაციის გეგმა, რომელიც შეესაბამება შენობის აზომვით ნახაზს.
- ✓ დამონტაჟებულია სახანძრო სამისამართო სიგნალიზაცია, სახანძრო ავარიული განათება, საევაკუაციო გასასვლელის მანიშნებლები (Exit), ცეცხლმაქრები. (ანგარიშფაქტურებით დასტურდება სახანძრო უსაფრთხოების მიზნით ხის კონსტრუქციების სპეციალური ხსნარით დამუშავებაც).

- ✓ სკოლა - გიმნაზიის დირექტორის ბრძანებით N1/კ -10 (20/08/2025) განსაზღვრულია სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი
- ✓ წარმოდგენილი დოკუმენტაციით და ვიზუალური დათვალიერებით დასტურდება დაწესებულების აქტიური ზრუნვა სახანძრო უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საკითხების მოგვარებასთან დაკავშირებით. კერძოდ, შენობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის მომზადებასთან დაკავშირებით დაწესებულებამ  წარმოადგინა სკოლა - გიმნაზიის მიწერილობა შსს სსდ-საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან (წერილი N 4/14; 29/05/2026 და შსს სსდ-საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ რეგისტრირებული წერილის N 1868449, 29.05.2026 წ.)
- ✓ რაც შეეხება შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნას - დაწესებულებამ წარმოადგინა

უფლებამოსილი ორგანოს მიერ (სსიპ ,,აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრი, შპს ZNIEPI) 2026 წლის 13 იანვარს გაცემული დასკვნა შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ, სადაც შენობის მდგრადობა შეფასებულია დადებითად.

- ✓ სასკოლო საზოგადოების ინფორმაციული ხელმისაწვდომობის მიზნით, შენობაში თვალსაჩინო ადგილას გაანთავსებულია:

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ის ცხელი ხაზის ნომერი, განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ნომერი, საქართველოს სახალხო დამცველის ცხელი ხაზის ნომერი.

- ✓ დამტკიცებულია განახლებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა (ბრძანება N 2/ს - 03. 02/02/2026), რომელიც ვიზიტის პერიოდში შეთანხმებული არ იყო უფლებამოსილ ორგანოსთან. არგუმენტირებულ პოზიციაზე დაწესებულებამ წარმოადგინა შსს სსდ - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან შეთანხმებული განახლებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა (29/06/2026).

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**.

2. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე  პირველადი დახმარების აღმოჩენას**

სკოლა - გიმნაზიას 2024 წლის 28 ივნისის დირექტორის ბრძანება N 2/ს - 24 -12 დამტკიცებული აქვს სამედიცინო პერსონალის დებულება, რომელიც მოიცავს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენის მექანიზმებს. აღნიშნული დოკუმენტის მე-4 მუხლით განსაზღვრულია სკოლის ექთნის ძირითადი მოვალეობები (რომელიც შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან). პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მიზნით ხელშეკრულება გაფორმებულია

კვალიფიციურ ექთანთან, რომელმაც წარმოადგინა გაწეული სამედიცინო მომსახურების, სამედიცინო შემთხვევების, დახარჯული და ვადაგასული მედიკამენტებისა და სამედიცინო მასალების აღრიცხვის ჟურნალები.

პირველადი გადაუდებელი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მიზნით შენობის პირველ სართულზე განთავსებული სამედიცინო მომსახურების კაბინეტი კვების ბლოკთან  გამიჯნული იყო ფარდით, ოთახის სივრცე და ზომა ვერ აკმაყოფილებდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის ერთობლივი N41/ნ/01-23/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტისა და საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში/სკოლებში ფუნქციონირების წესის“შესაბამის მოთხოვნებს.
სამედიცინო კაბინეტი აღჭურვილია ძირითადი მედიკამენტებით და ინვენტარით (გარდა შირმისა და მაცივრისა).
ვიზიტის პერიოდში (დაწესებულებაში სწავლობდა  50 და მეტი მოსწავლე)  პირველადი  გადაუდებელი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მიზნით დაწესებულებას ჰყავდა მხოლოდ ექთანი და არ ჰყავდა ექიმი.
არგუმენტირებულ პოზიციაზე დაწესებულებამ წარმოადგინა სამედიცინო ოთახის იზოლირების, მოზრდილ ფართში განთავსებისა და მაცივრისა და შირმის შეძენის მტკიცებულებები. ხოლო სკოლის ექიმის პოზიციაზე გამოაცხადა ღია კონკურსი. <u>დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია</u> შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (2026 წლის 1 სექტემბერი) უზრუნველყოს აღნიშნული საკითხის მოგვარება და კვალიფიციური ექიმის აყვანა.  **ინდიკატორი მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. **სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას**

სკოლა - გიმნაზიაში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას უზრუნველყოფს სკოლის შინაგანაწესი. სკოლის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით (ბრძანება N 1/ს -31; 10/09/2025) დამტკიცებულია სასწავლო დროს უსაფრთხოებასა და წესრიგის დაცვაზე უფლებამოსილი პირის უფლება - მოვალეობები.

განსაზღვრულია უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე უფლებამოსილი პირი, რომელიც სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას და მის შემდგომ პერიოდში უზრუნველყოფს სკოლაში გარეშე პირების გადაადგილების კონტროლს.  სკოლაში არის მასწავლებელთა მორიგეობა. მშობლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ კლასის ხელმძღვანელები მოსწავლის მხრიდან წესრიგის დარღვევის შემთხვევაში დაუყოვნებლივ აწვდიან ინფორმაციას მშობელს/კანონიერ

წარმომადგენელს. სკოლაში დამონტაჟებულია უსაფრთხოების შესაბამისი ვიდეოსათვალთვალო სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს. აღნიშნულიდან გამომდინარე, **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. **სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს**

სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლეების ფსიქოლოგიური და ემოციური მხარდაჭერის მექანიზმები. კერძოდ, სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლეთა ადაპტაციის წესი (ბრძანება N 2/ს - 24 -2. 28/06/2026). ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველყოფაში აქტიურად არის ჩართული სკოლის მოძღვარი. მშობლებთან და მოსწავლეებთან გასაუბრებით დგინდება, რომ დამრიგებლები იკვლევენ მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებს, აქვთ მუდმივი კომუნიკაცია მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან და ეხმარებიან მოსწავლეებს სწავლა-სწავლების პროცესთან დაკავშირებული პრობლემების დაძლევაში.

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

5. **სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას**

მცხეთის წმინდა ათორმეტ მოციქულთა სახელობის მართლმადიდებლურ სკოლა - გიმნაზიაში საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი პირობებია. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას უზრუნველყოფს სკოლის ტექნიკური პერსონალი. სკოლაში ფუნქციონირებს კვების ბლოკი, რომელიც ძირითადად ემსახურება დღის გახანგრძლივებული (სააღმზრდელო) ჯუფების მოსწავლეებს, ერთჯერადი უფასო კვებით და აკმაყოფილებს სურსათის უვნებლობის პროცედურების საფრთხის ანალიზისა და კრიტიკული საკონტროლო წერტილების სისტემის (HACCP) მოთხოვნებს.

თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია ხელის დაბანის და ჰიგიენის წესების დაცვის ინსტრუქციები.

სკოლაში არსებობს გამიჯნული სანიტარული კვანძები გოგონების და ვაჟებისათვის (3-3 განყოფილებით, 1 შშმ, 1 პედაგოგებისათვის). გარდა ამისა, 1 სანიტარული კვანძი განთავსებულია ადმინისტრაციულ შენობაში და ერთი - სკოლის სპორტულ დარბაზში.

სკოლას შემუშავებული აქვს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები. კერძოდ, განსაზღვრულია ყოველდღიური, ყოველკვირეული, ყოველთვიური დასუფთავების სტანდარტული მოთხოვნები.

ვიზიტის პერიოდში სკოლას ემსახურებოდა 1 დამლაგებელი. დასუფთავებისათვის გამოყენებული საყოფაცხოვრებო ქიმია და სადეზინფექციო საშუალებები ინახება სპეციალურად ამ მიზნისათვის განკუთვნილ, ჩაკეტილ სივრცეში/კარადაში.

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

6. **სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას**

ვიზიტის პერიოდში სკოლა - გიმნაზიამ წარმოადგინა თანამშრომლის პერსონალურ მონაცემთა დამუშავებაზე თანხმობა. ასევე დაწესებულების დირექტორის 2024 წლის 20 აგვისტოს ბრძანება N 1/ს -09 პერსონალურ მონაცემთა დამუშავებაზე პასუხისმგებელი პირის დანიშვნის თაობაზე. სკოლისთვის პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკითხებს უზრუნველყოფს შპს ,,სეიფთი ქორფთან" მომსახურების თაობაზე დადებული ხელშეკრულების ფარგლებში აყვანილი პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა აწესრიგებს სკოლის მიერ მონაცემთა დამუშავების საკითხებს, ვრცელდება სკოლაში დასაქმებულ, სკოლის სახელით მოქმედ ნებისმიერ პირზე და სავალდებულოა შესასრულებლად. აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით სკოლას პერსონალური ოფიცრის 2024 წლის 19 სექტემბრის ანგარიშით დასტურდება სკოლის თანამშრომლებისათვის ტრენინგის ჩატარება.

სკოლის პერსონალისა და მოსწავლეთა პირადი საქმეები ინახება დაცულ, ჩაკეტილ ცეცხლგამძლე კარადაში. მშობლებმა, ექპერტთა ჯგუფთან შეხვედრისას აღნიშნეს, რომ სკოლა მათი თანხმობის გარეშე არ აზიარებს მოსწავლეთა პერონალურ მონაცემებს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

7. **სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები**

დაწესებულების საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირია საქმისმწარმოებელი, რომელიც უზრუნველყოფს ინფორმაციის შენახვა-დამუშავების და გაცემის წესის დაცვას სკოლის საქმისწარმოების და პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესების შესაბამისად. საარქივო მასალები ინახება დაცულ სივრცეში. მოსწავლეთა ჩარიცხვა და მოსწავლის სტატუსის მინიჭება ხდება კანონით განსაზღვრული წესის დაცვით. სკოლა ახდენს ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში ( Eschool.emis.ge) მოსწავლეთა შესახებ ინფორმაციის ასახვას, მოძრაობის აღრიცხვას (პირველკლასელთა რეგისტრაციას, მოსწავლეთა მობილობას, სტატუსის შეჩერება/აღდგენას) სკოლას სრულყოფილად აქვს წარმოებული Eschool– ის ბაზა. სკოლა იყენებს ელექტრონულ პლატფორმას Schoolbook-ი. სკოლა უზრუნველყოფს ინფორმაციის თანაბარ ხელმისაწვდომობას მოსწავლეებისა და მათი მშობლების/კანონიერი წარმომადგენლებისათვის, მოსწავლის პირადი საქმეები დაცულია კლასის დამრიგებლის პასუხისმგებლობით და ინახება ცეცხლგამძლე კარადაში. შემოსული განცხადება დაუყოვნებლივ რეგისტრირდება და ენიჭება შესაბამისი ნომერი. სკოლა ასევე უზრუნველყოფს მის ხელთ არსებული მონაცემების დაცვას შემთხვევითი ან უკანონო განადგურების, მოპოვების, გამჟღავნების, დაკარგვის და ნებისმიერი სხვა ფორმით უკანონო გამოყენებისგან. სკოლა - გიმნაზიის მიერ გამოყენებული ნებისმიერი პროგრამა/ვებგვერდი არის ლიცენზირებული. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

**8. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის**

პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრებით და წარმოდგენილი მტკიცებულებებით დგინდება, რომ სკოლა - გიმნაზია ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის. ამ მიზნით მცხეთის წმინდა ათორმეტ მოციქულთა სახელობის მართლმადიდებლურ სკოლა-გინაზიას შრომის უსაფრთხოების სისტემის დანერგვის და მონიტორინგის მიზნით გაფორმებული აქვს ხელშეკრულება შპს ,,სეიფთი ქორფთან.“ სკოლის შიდა სამართლებრივი აქტებით განისაზღვრება ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმები. დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია ელექტრონული ჟურნალის წარმოებაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც მონიტორინგს უწევს ელექტრონულ ჟურნალში შეტანილ მოსწავლეთა მონაცემებს, მასწავლებლის მიერ ელექტრონული ჟურნალის წარმოებას. სკოლა პერიოდულად აფასებს უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად დანერგილი მექანიზმების ფუნქციონირების ეფექტიანობას, რაც დასტურდება შრომის უსაფრთხოების საკითხებზე 2025 წლის 12 ნოემბერს ჩატარებული სწავლების მასალებით (ხელმოწერებით), პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკითხებზე ჩატარებული სწავლებისა და პერსონალურ მონაცემთა ოფიცრის ანგარიშით. სკოლაში არსებული უსაფრთხო გარემოს არსებობა დასტურდება სასკოლო საზოგადოების წევრებთან გასაუბრებითა და ვიზუალური დათვალიერებითაც. ი**ნდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**.

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- ა(ა)იპ-მცხეთის წმინდა ათორმეტ მოციქულთა სახელობის მართლმადიდებლურ სკოლა-გიმნაზიის დირექტორის ბრძანება ელექტრონული ჟურნალის მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირის დანიშვნის შესახებ
- ა(ა)იპ-მცხეთის წმინდა ათორმეტ მოციქულთა სახელობის მართლმადიდებლურ სკოლა-გიმნაზიის 2025-2026 სასწავლო წლის ხელშეკრულება SchoolBook- თან.
- ა(ა)იპ-მცხეთის წმინდა ათორმეტ მოციქულთა სახელობის მართლმადიდებლურ სკოლა-გიმნაზიის დირექტორის ბრძანება საგანგებო შტაბის შექმნის შესახებ
- ა(ა)იპ-მცხეთის წმინდა ათორმეტ მოციქულთა სახელობის მართლმადიდებლურ სკოლა-გიმნაზიის დირექტორის ბრძანება წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელი პირის დანიშვნის შესახებ

- ა(ა)იპ-მცხეთის წმინდა ათორმეტ მოციქულთა სახელობის მართლმადიდებლურ სკოლა-გიმნაზიის დირექტორის ბრძანება პერსონალის მონაცემთა დამუშავების პოლიტიკის შემუშავების თაობაზე
- ა(ა)იპ-მცხეთის წმინდა ათორმეტ მოციქულთა სახელობის მართლმადიდებლურ სკოლა-გიმნაზიის დირექტორის ბრძანება უსაფრთხოების დაცვის პოლიტიკის დამტკიცების თაობაზე
- ა(ა)იპ-მცხეთის წმინდა ათორმეტ მოციქულთა სახელობის მართლმადიდებლურ სკოლა-გიმნაზიის დირექტორის ბრძანება პერსონალურ მონაცემთა დამუშავებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ.
- ა(ა)იპ-მცხეთის წმინდა ათორმეტ მოციქულთა სახელობის მართლმადიდებლურ სკოლა-გიმნაზიის დირექტორის ბრძანება სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ
- ა(ა)იპ-მცხეთის წმინდა ათორმეტ მოციქულთა სახელობის მართლმადიდებლურ სკოლა-გიმნაზიის დირექტორის ბრძანება სამედიცინო პერსონალის საქმიანობის დებულების დამტკიცების შესახებ
- ა(ა)იპ-მცხეთის წმინდა ათორმეტ მოციქულთა სახელობის მართლმადიდებლურ სკოლა-გიმნაზიის მოსწავლეთა ადაპტაციის წესი
- ა(ა)იპ-მცხეთის წმინდა ათორმეტ მოციქულთა სახელობის მართლმადიდებლურ სკოლა-გიმნაზიის გასული დოკუმენტების რეგისტრაციის ჟურნალი
- ვიდეოსამეთვალყურეო კამერების შესყიდვის დოკუმენტაცია
- ა(ა)იპ-მცხეთის წმინდა ათორმეტ მოციქულთა სახელობის მართლმადიდებლურ სკოლა-გიმნაზიის ვიზიტორთა აღრიცხვის ფურცელი
- დასკვნა  შენობის მდგრადობის შესახებ
- ა(ა)იპ-მცხეთის წმინდა ათორმეტ მოციქულთა სახელობის მართლმადიდებლურ სკოლა-გიმნაზიის შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა
- ა(ა)იპ-მცხეთის წმინდა ათორმეტ მოციქულთა სახელობის მართლმადიდებლურ სკოლა-გიმნაზიის საკადრო ბრძანების რეგისტრაციის ჟურნალი
- ა(ა)იპ-მცხეთის წმინდა ათორმეტ მოციქულთა სახელობის მართლმადიდებლურ სკოლა-გიმნაზიის სამედიცინო შემთხვევების აღრიცხვის ჟურნალი
- სასმელი წყლის ლაბორატორიული ანალიზი
- ა(ა)იპ-მცხეთის წმინდა ათორმეტ მოციქულთა სახელობის მართლმადიდებლურ სკოლა-გიმნაზიის საქმის წარმოების დებულება
- სახანძრო, საევაკუაციო ინვენტარის შესყიდვის დოკუმენტაცია

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა**

**3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

ა(ა)იპ-მცხეთის წმინდა ათორმეტ მოციქულთა სახელობის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზიას მდებარეობს ქალაქ მცხეთაში. 06/08/2024 -ის ამონაწერით საჯარო რეესტრიდან (ს.კ.N 72.07.08.040) დაწესებულებას სარგებლობის უფლებით საპატრიარქოდან (მესაკუთრე საპატრიარქო ID ნომერი:204395537) 2019 წლიდან 25 წლის ვადით გადაცემული აქვს 3935 კვ.მ. მიწის ფართი, მასზე არსებული შენობა-ნაგებობებით (N1, N2, N3, N4), რომლის ფართობია 1017კვ.მ. სასკოლო ნაგებობა შედგება 1 ადმინიტრაციული, 3 დამოუკიდებელი ფლიგელის და 1 სპორტული დარბაზისგან.

ადმინისტრაციულ შენობაში განთავსებულია ეკლესია, დირექტორის კაბინეტი, სამასწავლებლო, კვების ბლოკი, სამედიცინო ოთახი, კომპიუტერული ლაბორატორია და ბიბლიოთეკა.

დამოუკიდებელ ფლიგელებში განთავსებული 12 კეთილმოწყობილი და ნათელი საკლასო ოთახი, საბუნებისმეტყველო ლაბორატორია შესაბამისი აღჭურვილობით, სააქტო დარბაზი, არქივისა და თვალსაჩინოების ოთახი. დამოუკიდებელი ნაგებობაა სპორტული დარბაზი.

სკოლა - გიმნაზიაში საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი ყველა გარემოა: უწყვეტი ელექტროენერგია, ცენტრალური გათბობის სისტემა. თითოეულ საკლასო ოთახს აქვს ბუნებრივი და ელექტრო განათება და აღჭურვილია მასწავლებლის მაგიდით, მოსწავლის ასაკის შესაბამისი ინდივიდუალური მერხებით, სკამებით და სასკოლო დაფით. საგნებისთვის საჭირო თვალსაჩინოებები განლაგებულია ცალკე გამოყოფილ სათავსოში.

კომპიუტერულ ლაბორატორიაში განთავსებულია 16 კომპიუტერი, 2 პროექტორი, პროექტორის 1 ეკრანი, 1 პრინტერი, ყველა კომპიუტერი დატვირთულია ინტერნეტ- ქსელით და მისი რაოდენობა შეესაბამება მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას.

სკოლას აქვს ბიბლიოთეკა, რომელიც შედგება სათანადო წიგნადი ფონდისაგან. ბიბლიოთეკაში განთავსებულია ყველა საგნის სასწავლო წიგნის თითო ეგზემპლარი, დამხმარე და მხატვრული ილუსტრირებული მასალები.

სპორტული დარბაზი აღჭურვილია აუცილებელი სპორტული ინვენტარით.

სკოლას აქვს კეთილმოწყობილი რესურსოთახი და საბუნებისმეტყველო ლაბორატორია.

სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. გამომდინარე აქედან, **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

**2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის**

ა(ა)იპ მცხეთის წმინდა ათორმეტ მოციქულთა სახელობის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზიის საერთო სივრცეებით, ინფრასტრუქტურით, მატერიალური რესურსებით სარგებლობა შეუძლია სასკოლო საზოგადოების ყველა წევრს და წარმოადგენს მოსწავლეების სწავლისა და განვითარებისათვის უსაფრთხო, აკადემიურ სივრცეს. სკოლის ბიბლიოთეკა

შედგება სათანადო წიგნადი ფონდისაგან, რომელიც ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისათვის. სკოლას აქვს 60 კვ.მ. საერთო სივრცე, რომელსაც სააქტო დარბაზის ფუნქციით იყენებს სხვადასხვა ღონისძიებებისთვის.

მოსწავლეებთან გასაუბრებით დგინდება, რომ კომპიუტერულ ოთახში, საჭიროების შემთხვევაში, ტარდება პრეზენტაციები და სხვა საგნების გაკვეთილები.

სკოლა-გიმნაზიას შემუშავებული აქვს ბიბლიოთეკაში მუშაობის დებულება და კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესი. აღნიშნული წესებით განსაზღვრული რეგულაციები ხელს უწყობს სკოლაში არსებული საზიარო სივრცეების და მატერიალური რესურსის ხელმისაწვდომობას. გარდა ამისა, სკოლის სპეციფიკიდან გამომდინარე, საერთო სივრცეს წარმოადგენს სკოლის ეკლესია და კეთილმოწყობილი ეზო (რომელიც დასვენებისა და კომუნიკაციის საშუალებას იძლევა). **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

**3. სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით**

სკოლა - გიმნაზიის ბიბლიოთეკა განთავსებულია ძირითად შენობაში. შემუშავებულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, რომლის მიხედვითაც დარეგულირებულია ბიბლიოთეკაში არსებული მატერიალური აღრიცხვა/დამუშავება და სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის საბიბლიოთეკო სერვისებით სარგებლობა. სკოლას ჰყავს ბიბლიოთეკარი და მასთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება. ვიზიტის პერიოდში სკოლაში ირიცხებოდა მხატვრული ლიტერატურა ქართულ და ინგლისურ ენაზე (სულ 2098 წიგნი და ყველა საგნის გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოს თითო ეგზემპლარით). ყველა წიგნი დამუშავებულია შესაბამისი წესით. საჭირო ინფორმაციის მოძიებისა და გამოყენების მიზნით, ბიბლიოთეკაში განთავსებულია კომპიუტერი და პრინტერი. დაწესებულებას დაწყებული აქვს ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგია შექმნა. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

**4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს**

სკოლა - გიმნაზიის ყველა ფლიგელს აქვს პანდუსი, რითაც ეტლით მოსარგებლე დაუბრკოლებლად გადაადგილდება. გარდა ამისა, კეთილმოწყობილი რესურსოთახი და ადაპტირებული საპირფარეშო.

სკოლა ქმნის ინკლუზიურ გარემოს. გამონაკლისს წარმოადგენდა მხოლოდ ბიბლიოთეკა, რომელიც განთავსებული იყო შენობის მეორე სართულზე (სკოლას ჰქონდა პანდუსი ბიბლიოთეკისათვის, მაგრამ აღმოჩნდა დაზიანებული და საჭიროებდა შეცვლას).

ვიზიტის პერიოდში სკოლის წარმომადგენლობამ დაიწყო აღნიშნული საკითხის მოგვარება, პანდუსის დამზადება და არგუმენტირებულ პოზიციაზე დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისი მტკიცებულებები (დამონტაჟებული პანდუსების ფოტო მასალა), რომელიც ქმნის სრულად ადაპტირებულ გარემოს. წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

**5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას**

სკოლა-გიმნაზიის შენობა-ნაგებობა, კეთილმოწყობილი ეზო და საერთო სარგებლობის სივრცეები შესაძლებლობას უქმნის მოსწავლეებს და მასწავლებლებს სკოლის ბაზაზე განახორციელონ სოციალური, კულტურული, სპორტული თუ შემეცნებითი აქტივობები. ამ მიზნით, სკოლაში არსებობს სპორტული დარბაზი, კომპიუტერების ოთახი, ბიბლიოთეკა, სააქტო დარბაზი, ეკლესია. მოსწავლეებს შესაძლებლობა აქვთ გაკვეთილების შემდეგ დარჩნენ და დაგეგმონ კონკრეტული აქტივობები. მშობლებთან და სკოლის დირექციასთან საუბრით დგინდება, რომ მიმდანარე სასწავლო წელს სკოლის ტერიტორიაზე მშობელთა აქტიური ჩართულობით ჩატარდა არაერთი ღონისძიება, რომელშიც მონაწილეობდნენ სხვადასხვა თაობის წარმომადგენლები. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან
- ა(ა)იპ მცხეთის წმინდა ათორმეტ მოციქულთა სახელობის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზიის აზომვითი ნახაზი
- ა(ა)იპ მცხეთის წმინდა ათორმეტ მოციქულთა სახელობის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზიის ბიბლიოთეკის დებულება
- ბიბლიოთეკარის შრომითი ხელშეკრულება
- ბიბლიოთეკის საინვენტარო წიგნი
- სპორტული ინვენტარის შესყიდვის დოკუმენტაცია
- კომპიუტერების შესყიდვის დოკუმენტაცია
- რეაქტივების შესყიდვის დოკუმენტაცია

შეფასება:
○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**3.6. საინფორმაციო რესურსები**

**3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას**

სასწავლო და ადმინისტრაციული პროცესის სრულყოფილად წარმართვისთვის სკოლას აქვს კომპიუტერული ლაბორატორია, სადაც განთავსებულია 16 გამართული კომპიუტერი (თითოეული დატვირთულია ინტერნეტ- ქსელით). დაწესებულებას აქვს 2 პროექტორი, 1 პროექტორის ეკრანი, 3 პრინტერი. სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით დგინდება, რომ კომუნიკაციისათვის აქტიუტად გამოიყენება სოციალური ქსელები, ელექტრონული ფოსტა. შექმნილია სკოლა- გიმნაზიის ვებ-გვერდი, პერიოდულად მიმდინარეობს მისი სრულყოფა განახლება. სკოლას ჰყავს ინფორმაციული მენეჯერი, რომელთანაც გაფორმებულია შესაბამისი ხელშეკრულება. კომპიუტერები გამართულია და უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად**

გამართული ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა (კომპიუტერულ ლაბორატორიაში, ბიბლიოთეკასა და სამასწავლებლოში, ადმინისტრაციაში) ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის, რაც უზრუნველყოფს ამ მიმართულებით სკოლის პერსონალის განვითარების ხელშეწყობას. სკოლას შემუშვებული აქვს კომპიუტერული ტექნიკით სარგებლობის წესი, რომელიც არეგულირებს ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობასა და ინფორმაციულ- ტექნოლოგიური ინვენტარით სარგებლობის საკითხებს. აღნიშნული დოკუმენტით განსაზღვრულია

ძირითადი პრინციპები, ლაბორატორიის სავალდებულო აღჭურვილობა, პასუხისმგებელი პირები, უსაფრთხოების საკითხები და სხვა. დაწესებულებაში არსებული ტექნიკური საშუალებები ხელმისაწვდომია თანამშრომლებისა და მოსწავლეებისათვის. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- ა(ა)იპ მცხეთის წმინდა ათორმეტ მოციქულთა სახელობის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზიის კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესი
- ა(ა)იპ მცხეთის წმინდა ათორმეტ მოციქულთა სახელობის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზიის სტრატეგიული გეგმა
- ა(ა)იპ მცხეთის წმინდა ათორმეტ მოციქულთა სახელობის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზიის სამოქმედო გეგმა
- ა(ა)იპ მცხეთის წმინდა ათორმეტ მოციქულთა სახელობის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზიის საინფორმაციო ტექნოლოგიების ფლობის დოკუმენტაცია
- ხელშეკრულება კომპიუტერული ტექნოლოგიების პედაგოგთან.

**3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი**

სკოლა-გიმნაზიას კანონმდებლობის შესაბამისად შემუშავებული აქვს საქმისწარმოების დებულება, რომელიც დამტკიცებულია N2/ს - 67 ბრძანებით 2023 წლის 2 დეკემბერს სკოლის დირექტორის მიერ. აღნიშნული დოკუმენტით განსაზღვრულია ბრძანებების, შემოსული და გასული წერილების, გამოცემული აქტების და კორესპოდენციების და ა.შ. აღრიცხვის პროცედურები. ხელშეკრულებების აღრიცხვის ჟურნალები დანომრილი, ბეჭედდასმული, აკინძული და ხელმოწერილია უფლებამოსილი პირის მიერ. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. **სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა**

ა(ა)იპ მცხეთის წმინდა ათორმეტ მოციქულთა სახელობის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზიის მართვასა და საქმის წარმოებაში გამოყენებულია კომპიუტერული ტექნოლოგიები. კერძოდ, სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში - eSchool. მისი მეშვეობით, ხდება ბაზაში მოსწავლეთა მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და ჩარიცხვა-ამორიცხვის ასახვა.
სკოლა ასევე იყენებს Schoolbook–ის სისტემას ელექტრონული ჟურნალის საწარმოებლად, რომელიც საშუალებას აძლევს მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს ჰქონდეთ ძირითადი ინფორმაცია მათი შვილების გაცდენა/დასწრების, ნიშნების და სხვა აქტივობების შესახებ. ელექრონული ფოსტის - atormeti@gmail.com საშუალებით ხდება საჭირო ინფორმაციის გაცვლა სასკოლო საზოგადოების წევრებთან.
სკოლის მართვის პროცესში ინფორმირებისა და სხვადასხვა სახის კომუნიკაციისათვის გამოიყენება სოციალური ქსელები, მართვის საინფორმაციო სისტემები, Zoom პლატფორმა, ელექტრონული ჟურნალი Schoolbook–ი. მართვის თანამედროვე ტექნოლოგიებს, როგორიცაა Google, Office 365 .
სკოლა -გიმნაზიის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მაგრამ სრულად არ ხდებოდა დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემის გამოყენება. სკოლის მენეჯმენტის განმარტებით სკოლა-გიმნაზია გეგმავს 2026 -2027 სასწავლო წლისთვის სრულად გადავიდეს შიდა დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემაზე.
დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციაზე წარმოადგინა შპს ,,სქულ მენეჯმენტ სისტემსთან“ 2026 წლის 16 ივნისს გაფორმებული ხელშეკრულება შიდა სასკოლო დოკუმენტაციის ელექტრონულად წარმოებისთვის ლიცენზიის დროებით სარგებლობაში გადაცემასთან დაკავშირებით და დაწყებული აქვს მისი გამოყენება. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. **სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში**
სკოლა შიდა და გარე კომუნიკაციისათვის იყენებს საქმისწარმოების/დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემას eSchool. საქმისწარმოების წესის 23-ე მუხლით განსაზღვრულია სკოლის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა.
ა(ა)იპ-მცხეთის წმინდა ათორმეტ მოციქულთა სახელობის მართლმადიდებლურ სკოლა-გიმნაზიას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში; eSchool- ის ბაზაში არის მონაცემები კლასების, მასწავლებელთა სტატუსების, მოსწავლეთა სოციალური სტატუსების, მობილობის, სკოლის მიერ შერჩეული გრიფირებული სახელმძღვანელოების შესახებ. მოსწავლეთა შეფასებები და გაცდენები აღირიცხება ელექტრონულ ჟურნალში, რისთვისაც იყენებს Schoolbook–ის სისტემას. დაწესებულება ასევე იყენებს მართვის თანამედროვე ტექნოლოგიებს: Google, Office 365 და სხვა. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

**4.სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან**

საქმისმწარმოებლის განმარტებით და წარმოდგენილი მასალებით დგინდება, რომ სკოლა-გიმნაზიაში პირველი სემესტრისა და წლის ბოლოს პედაგოგიური საბჭო განიხილავს და აფასებს მიღწეულ შედეგებს, ქმნის სტატისტიკას და კანონმდებლობით დადგენილი წესით დროულად აწვდის ყველა საჭირო ინფორმაციას საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს და საქართველოს საპატრიარქო და სხვა უწყებებს.

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- ა(ა)იპ მცხეთის წმინდა ათორმეტ მოციქულთა სახელობის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზიის საქმისწარმოების დებულება
- ა(ა)იპ მცხეთის წმინდა ათორმეტ მოციქულთა სახელობის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზიის ზოგადი განათლების საინფორმაციო სისტემის მონაცემები
- ა(ა)იპ მცხეთის წმინდა ათორმეტ მოციქულთა სახელობის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზიის ხელშეკრულება ელექტრონული ჟურნალთან Schoolbook

**3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით**

მცხეთის წმინდა ათორმეტ მოციქულთა სახელობის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზია მიმდინარე პროცესებზე, სასწავლო პროექტებზე, კონკურსებზე, შეხვედრებზე, ასევე არაფორმალური განათლების ფარგლებში მიმდინარე აქტივობებზე საზოგადოების ინფორმირებისა და კომუნიკაციისათვის იყენებს ვებ გვერდის, სოციალურ ქსელს, ელექტრონულ ფოსტას, საინფორმაციო დაფას. დამრიგებლები მშობლებთან ურთიერთობენ დახურული სოციალური ჯგუფებისა და

ელექტრონული ფოსტის საშუალებით, პირადი კომუნიკაციით. მშობლებისთვის ხელმისაწვდომია ელექტრონული ჟურნალი, სკოლას შემუშავებული აქვს საზოგადოებასთან ურთიერთობის წესი, რომელიც არეგულირებს ვებგვერდზე და სოციალურ ქსელში სწორი და დროული ინფორმაციის განთავსების წესებს, სკოლა-გიმნაზიის დირექტორის 2025 წლის 3 დეკემბრის N 2/ს -46 ბრძანებით განსაზღვრულია ვებ გვერდის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირი. სკოლა საზოგადოების ინფორმირებისათვის იყენებს ასევე etaloni.ge-ს, სადაც პერიოდულად თავსდება ინფორმაცია სკოლაში განხორციელებული სხვადასხვა ღონისძიებების (სასწავლო პროექტების, კონკურსების, ინტელექტუალური შეჯიბრებების, ოლიმპიადების და სხვა) შესახებ.

სკოლის ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი უნდა ასრულებდეს, როგორც საკომუნიკაციო, ასევე, საინფორმაციო ფუნქციას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას**

სკოლა - გიმნაზიის საქმიანობის შესახებ ობიექტური და სანდო ინფორმაციას გავრცელებაზე პაასუხისმგებელია სკოლის დირექტორი, ხოლო დროულად მის განთავსებაზე სკოლა-გიმნაზიის დირექტორის 2025 წლის 3 დეკემბრის N 2/ს -46 ბრძანებით ვებ გვერდის ადმინისტრირებაზე განსაზღვრული პასუხისმგებელი პირი. ვიზიტის პერიოდში მოსწავლეებთან და მშობლებთან გასაუბრებითაც დასტურდება საკომუნიკაციო არხებით სკოლიდან მიღებული ინფორმაციის სანდოობა. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად**

სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით და წარმოდგენილი ანგარიშებით დგინდება, რომ სკოლა სხვადასხვა არხით იღებს უკუკავშირს მშობლებისგან და სხვა დაინტერესებული მხარეებისგან. კომუნიკაცია ხორციელდება როგორც პირისპირ შეხვედრებისა და მშობელთა კრებების დროს, ასევე სატელეფონო საუბრების, ანკეტირებების, გამოკითხვების, სოციალური ქსელების საშუალებით რათა მოხდეს შესაბამისი საჭიროებების იდენტიფიცირებაში და შესაბამისი რეაგირება (გასვლითი ღონისძიებების დაგეგმვა, წრეობრივი მეცადინეობები, ექსკურსიების და სხვადასხვა პროექტების დაგეგმვა და სხვა). უფროსი კლასის მოსწავლეების მოსაზრებებისა და ინიციატივის გათვალისწინებით მოხდა კითხვის კლუბის ჩამოყალიბება დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებისთვის. სკოლის მენეჯმენტის განმარტებით სკოლის ფილოსოფიის რევიზიის პროცესში სასკოლო

საზოგადოების აზრის კვლევის მიზნით ჩატარდა გამოკითხვა და მათი შეხედულებებისა და პრიორიტეტების მიხედვით მოხდა სკოლის ფილოსოფიის საბოლოო ვერსიის ჩამოყალიბება.
სკოლა - გიმნაზია პასუხისმგებელი პირების დახმარებით ახდენს კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირის დოკუმენტურებას (ანგარიშების სახით), მომსახურების ხარისხის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. **სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას**

ა(ა)იპ მცხეთის წმინდა ათორმეტ მოციქულთა სახელობის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზიას აქვს ვებ გვერდი https://sites.google.com/view/rustavi21 , რომელზედაც ინფორმაცია განთავსებულია ქართულ ენაზე. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

5. **ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია**

ა(ა)იპ მცხეთის წმინდა ათორმეტ მოციქულთა სახელობის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზიას https://sites.google.com/view/rustavi21 გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია. გარდა ამისა, ინფორმაცია სასკოლო ცხოვრების ამსახველი აქტივობების შესახებ. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- ა(ა)იპ მცხეთის წმინდა ათორმეტ მოციქულთა სახელობის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზიის ხელშეკრულება SchoolBook - თან.
- ა(ა)იპ მცხეთის წმინდა ათორმეტ მოციქულთა სახელობის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზიის დირექტორის ბრძანება ვებ გვერდის ადმინისტრირებაზე
- ა(ა)იპ მცხეთის წმინდა ათორმეტ მოციქულთა სახელობის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზიის საზოგადოებასთან ურთიერთობის წესი

  შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3.7. ფინანსური რესურსები**
**3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება**

მცხეთის წმინდა ათორმეტ მოციქულთა სახელობის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზიას აქვს ვაუჩერული დაფინანსება, რომელიც ხმარდება წლიური სამოქმედო გეგმის განხორციელებას. მასწავლებელთა, ადმინისტრაციისა და სხვა პერსონალის ხელფასების გაცემა უზრუნველყოფილია საპატრიარქოს დაფინანსებითა და განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ გაცემული (წლიური) ფინანსური დახმარებით. სასწავლო წლის დაწყებისთანავე განისაზღვრება მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვა, მტკიცდება საშტატო განრიგი და განისაზღვრება სახელფასო ფონდი. ბიუჯეტში ასევე განსაზღვრულია ინფრასტრუქტურის განვითარების, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შევსება- განახლების, კომუნალური მომსახურების, სარემონტო სამუშაოების და სხვა ხარჯები. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

**2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა**

სკოლა - გიმნაზია ახორციელებს დაფინანსების დინამიკის შესწავლას, საკუთარი ფინანსური მდგრადობის ობიექტურ შეფასებას და ანგარიშგებას პასუხისმგებელ პირებთან. ბუღალტრის განმარტებით და წარმოდგენილი დოკუმენტაციის გაცნობით დასტურდება შედეგების შეფასების შედეგად მომდევნო სასწავლო წლის ბიუჯეტის დაგეგმვა სამოქმედო გეგმის პრიორიტეტების გათვალისწინებით.

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- მცხეთის წმინდა ათორმეტ მოციქულთა სახელობის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზიის ბუღალტრის 2025 წლის დახმარების ბალანსი.
- მცხეთის წმინდა ათორმეტ მოციქულთა სახელობის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზიის ბუღალტრის 2025 წლის ვაუჩერული დაფინანსების ბალანსი.
- მცხეთის წმინდა ათორმეტ მოციქულთა სახელობის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზიის ბუღალტრის 2025 წლის საპატრიარქოს დაფინანსების ბალანსი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**4. მოსწავლეთა მხარდაჭერა**

**4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა**

**4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა**

მცხეთის წმინდა ათორმეტ მოციქულთა სახელობის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზიაში შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა. კერძოდ, მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დარეგულირებულია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი შემდეგი შიდა სასკოლო დოკუმენტებით:

- ✓ სკოლის დირექტორის 2024 წლის 28 ივნისის N 2/ს-24 – 07 ბრძანებით დამტკიცებული სკოლის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი (მე-11 მუხლით განსაზღვრულია მოსწავლეთა უფლებები);
- ✓ სკოლის დირექტორის 2025 წლის 9 სექტემბრის N 2/ს - 27 ბრძანებით დამტკიცებული შინაგანაწესით (განსაზღვრულია მოსწავლის უფლებები და მოვალეობები, წახალისების ფორმები, მოსწავლის დისციპლინური გადაცდომა, პასუხისმგებლობის სახეები და სხვა).
- ✓ სკოლის დირექტორის 2024 წლის 28 ივნისს ბრძანება N 2/ს- 24-03 დამტკიცებული დოკუმენტით „მოსწავლის, მშობლის და მასწავლებლის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები" (წარმოჩენილია მოსწავლეთა უფლებები, ინტერესები და მათი გათვალისწინების მნიშვნელობა).
- ✓ 2025-2026 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმით (განსაზღვრულია მოსწავლის ტრანზიციისთვის მხარდამჭერი საშუალებები და მექანიზმები, რემედიაციის პროგრამის პოლიტიკა, დამატებითი წრეების ჩამონათვალი, დაწყებით კლასებში სააღმზრდელო მომსახურება და სხვა).
- ✓ სკოლის დირექტორის 2024 წლის 20 აგვისტოს N 1/კ -08 ბრძანებით დამტკიცებული პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პოლიტიკა (განსაზღვრულია მოსწავლის პერსონალური ინფორმაციის დამუშავების პროცესი საკანონმდებლო მოთხოვნების შესაბამისად);
- ✓ სკოლაში შემოსული განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი;
- ✓ მოსწავლეთა ადაპტაციის წესი;
- ✓ მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულება და სხვა.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

**2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან**

წარმოდგენილი დოკუმენტაციით, მოსწავლეებთან და მშობლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სასკოლო საზოგადოების წევრებისა და დაინტერესებული პირებისთვის ხელმისაწვდომია მოსწავლეთა უფლებები, მათი დაცვის მექანიზმები და რეგულაციები. ამ მიზნით, კლასის საათის ფარგლებში მოსწავლეებისთვის ტარდება შეხვედრები შინაგანაწესის და სხვა დოკუმენტების გაცნობის მიზნით. მოსწავლეთა უფლებების შესახებ ინფორმაცია ასახულია მშობელსა და სკოლას შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში. სკოლის შინაგანაწესი გამოკრულია საინფორმაციო დაფაზე და ატვირთულია სკოლის ვებ გვერდზე. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

**3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება**

მცხეთის წმინდა ათორმეტ მოციქულთა სახელობის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზიის მოსწავლის მშობელთან/ კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულებები კანონმდებლობის შესაბამისია. აღნიშნულ ხელშეკრულებებში მკაფიოდ არის გაწერილი მოსწავლის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის და სკოლის უფლება-მოვალეობები, სკოლის მიერ მოსწავლის პერსონალური მონაცემების დამუშავების წესი, ხელშეკრულების მოქმედების ვადები, შეწყვეტის პირობები და კანონდებლობით განსაზღვრული სხვა მნიშვნელოვანი საკითხები. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- ა(ა)იპ მცხეთის წმინდა ათორმეტ მოციქულთა სახელობის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზიის მოსწავლის, მშობლის და მასწავლებლის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების მარეგულირებელი დოკუმენტი
- ა(ა)იპ მცხეთის წმინდა ათორმეტ მოციქულთა სახელობის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზიის მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულება

- ა(ა)იპ მცხეთის წმინდა ათორმეტ მოციქულთა სახელობის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზიის შინაგანაწესი
- ა(ა)იპ მცხეთის წმინდა ათორმეტ მოციქულთა სახელობის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზიის 2025-2026 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა
- წრეობრივი მეცადინეობების გეგმები და ანგარიში
- წრის ხელმძღვანელებთან გაფორმებული ხელშეკრულებები

**4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**

ა(ა)იპ მცხეთის წმინდა ათორმეტ მოციქულთა სახელობის მართლმადიდებლურ სკოლა-გიმნაზიას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები. აღნიშნულის შესახებ სკოლას ჩანაწერი აქვს შინაგანაწესში, ასევე სკოლამ წარმოადგინა „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, რომელიც 2024 წლის 28 ივნისს დამტკიცებულია სკოლის დირექტორის ბრძანებით N 2/ს-24-07. დოკუმენტში დეტალურად არის გაწერილი მოსწავლის სტატუსის მოპოვების, მობილობის, სტატუსის შეჩერების და შეწყვეტის, საფეხურის დაძლევის წესი. ინფორმაცია სკოლაში მოსწავლეთა რეგისტრაციის ვადების, ჩარიცხვისათვის საჭირო დოკუმენტების ჩამონათვალის და რეგისტრაციის პროცედურების შესახებ გამოკრულია სკოლის საინფორმაციო დაფაზე და ატვირთულია სკოლის ვებ გვერდზე. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. **სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს**

მცხეთის წმინდა ათორმეტ მოციქულთა სახელობის მართლმადიდებლურ სკოლა - გიმნაზიის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესში (სკოლის დირექტორის 2024 წლის 28 ივნისის ბრძანება N /ს-24-07) გაწერილია მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის საკითხები. მოსწავლე სკოლაში ირიცხება კანონიერი წარმომადგენლის პირადი განცხადების საფუძველზე. ასევე სიიდან ამოირიცხება მშობლის/ კანონიერი წარმომადგენლის განცხადების და მიმღები სკოლის მოთხოვნის საფუძველზე. სკოლის საქმისმწარმოებლის განმარტებით, მოსწავლის სტატუსის შეჩერება/შეწყვეტა ხდება მხოლოდ კანონმდებლობის შესაბამისად. დაწესებულება იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვით. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. **სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

მცხეთის წმინდა ათორმეტ მოციქულთა სახელობის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზიის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით და სკოლის მენეჯმენტთან გასაუბრებით დგინდება, რომ დაწესებულება სასწავლო წლის დასაწყისში სასკოლო საზოგადოების წევრებს და დაინტერესებილ პირებს წარუდგენს სათანადო წესით დამოწმებულ სკოლის შინაგანაწესს და სასკოლო სასწავლო გეგმას. სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილი მომსახურეობები და პროგრამები. I -IV კლასის მოსწავლეებისთვის დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების ფარგლებში ფუნქციონირებს გახანგრძლივებული ჯგუფები. დაწყებითი კლასების მოსწავლეებს საშუალება აქვთ ისარგებლონ კვების ბლოკით (ერთჯერადი უფასო კვებით). სკოლაში წარმატებით და ეფექტურად მუშაობს შემდეგი წრეები: ხალხური რეწვის, ქართული გალობის, ხალხური საკრავებისა და სიმღერების, ქართული ხალხური ცეკვის, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების წრეები. არაფორმალური განათლების დანერგვისა და ხელშეწყობის მიზნით სკოლაში ფუნქციონირებს ,,მდგრადი განვითარებისა“ და ,,წიგნის კითხვის“ წრეები.

აღნიშნული მომსახურება უფასოა და წრეებში მოსწავლეთა მონაწილეობა ნებაყოფლობითი. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. **სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული**

ა(ა)იპ მცხეთის წმინდა ათორმეტ მოციქულთა სახელობის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზიაში კლასის დამრიგებლები მუდმივად აწვდიან ახალ ინფორმაციას თავიანთი სადამრიგებლო კლასის მშობლებს, როგორც ინდივიდუალურად, ასევე მშობელთა კრებებზე. სკოლა - გიმნაზია მშობლებთან საკომუნიკაციოდ აქტიურად იყენებს სოციალური ქსელის( facebook) დახურულ ჯგუფებს და მესენჯერის ჩატებს. გარდა ამისა, სკოლის მიერ წარმოდგენილ სასკოლო სასწავლო გეგმაში და კურიკულემებში ასახულია თუ რა საგნობრივ პროგრამებს, დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებებს, სხვადასხვა სერვისებსა და სასკოლო აქტივობებს სთავაზობს სკოლა მოსწავლეებს. სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლა -გიმნაზიის მშობლებიც და მოსწავლეებიც მუდმივად ინფორმირებულები არიან სწავლა-სწავლების პროცესში მიმდინარე სიახლეების თაობაზე. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- ა(ა)იპ მცხეთის წმინდა ათორმეტ მოციქულთა სახელობის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზიის შინაგანაწესი
- ა(ა)იპ მცხეთის წმინდა ათორმეტ მოციქულთა სახელობის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზიის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი
- ა(ა)იპ მცხეთის წმინდა ათორმეტ მოციქულთა სახელობის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზიის 2025-2026 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა
- წრების სამუშაო გეგმები

- კურიკულუმები
- მშობელთა კრების ოქმები

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები**

**4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი**

მცხეთის წმინდა ათორმეტ მოციქულთა სახელობის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზიას შემუშავებული აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის წესი „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 43-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად. მოსწავლეთა ადაპტაციის წესში (ბრძანება N 2/ს-24-21 ) გაწერილია პირველკლასელთა ადაპტაციის მექანიზმი,სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა ადაპტაციის, მობილობით გადმოსული მოსწავლის ადაპტაციის შესახებ და სხვა. მობილობით გადმოსულ მოსწავლეებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლის თითოეული მასწავლებელი, სკოლის ადმინისტრაცია აქტიურად ცდილობს ხელი შეუწყოს სკოლაში ჩარიცხული მოსწავლისთვის მხარდამჭერი, პოზიტიური გარემოს შექმნას. მენეჯმენტის განმარტებით, სკოლა მშობლებთან ინტერვიუს საფუძველზე იღებს ინფორმაციას პირველკლასელი მოსწავლის შესახებ ფსიქო-ემოციური მდგომარეობის შესახებ. კლასის

დამრიგებლები აქტიურად არიან ჩართულნი მოსწავლის ადაპტაციის ხელშეწყობაში, მოსწავლეებს აცნობენ სასკოლო კულტურას, შინაგანაწესს, ათვალიერებინებენ სკოლის გარემოს (ლაბორატორიებს, ბიბლიოთეკას, სატრაპეზოს, ტაძარს და ა.შ.). **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. **სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან**

ა(ა)იპ მცხეთის წმინდა ათორმეტ მოციქულთა სახელობის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზიაში მოსწავლეთა ადაპტაციის ხელშესაწყობად დაგეგმილია სხვადასხვა აქტივობები (რომლებიც გათვალისწინებულია სადამრიგებლო პროგრამებში). სასწავლო წლის დასაწყისში მშობელთა კრებებზე მშობლები ეცნობიან სხვადასხვა ინფორმაციას სწავლა-სწავლების პროცესებთან დაკავშირებით, მოსწავლეები მხარდაჭერას იღებენ სადამრიგებლო საათებზე და ინდივიდუალურად. პირველკლასელებისთვის ტარდება გაცნობითი ხასიათის ღონისძიებები სკოლის შენობასა და ეზოში. სკოლაში მაქსიმალურად გათვალისწინებულია ყველა მოსწავლის ფიზიკური, ფსიქიკური, ქცევითი თავისებურებები. სკოლას ჰყავს მოძღვარი, რომელიც სასკოლო საზოგადოებას ეხმარება სხვადასხვა სიტუაციებში არსებულ გამოწვევებთან გამკლავებაში. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. **მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად**

მცხეთის წმინდა ათორმეტ მოციქულთა სახელობის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზიაში აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას. კერძოდ, 2025-2026 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია რემედიაციის მექანიზმები, საჭიროების შემთხვევაში მოსწავლეებისათვის აკადემიური მოსწრების შედეგების გაუმჯობესების მიზნით ტარდება ინდივიდუალური შეხვედრები დამატებითი მეცადინეობის სახით. ასევე ინიშნება დამატებითი დრო შემაჯამებელი დავალების მომზადებისა და აღდგენისათვის. საშემოდგომო ან ექსტერნის გამოცდის შემთხვევაში, სკოლა მოსწავლეს აძლევს საშუალებას, კანონმდებლობის მიხედვით გაიარონ კონსულტაციები ორი კვირის განმავლობაში. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. **სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით**

მცხეთის წმინდა ათორმეტ მოციქულთა სახელობის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზია კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას, სკოლამ წარმოადგინა გაფორმებული ხელშეკრულებები მოსწავლის მშობლებთან, ასევე, ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 43-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად სკოლის დირექტორის N2/ს- 24-03 ბრძანებით დამტკიცებული დოკუმენტი - მოსწავლის, მშობლის და მასწავლებლის ძირითადი უფლებები და თავისუფლებების შესახებ. სკოლა რეაგირებს დოკუმენტებში და შინაგანაწესში განსაზღვრული რეგულაციებისა და წინასწარ დადგენილი ვადების შესაბამისად და მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

5. **სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას**

მცხეთის წმინდა ათორმეტ მოციქულთა სახელობის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზიაში მნიშვნელოვანი ყურადღება ექცევა არაფორმალური განათლების ხელშეწყობას შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის ჩართულობით. კერძოდ, მოსწავლეთა სურვილების გათვალისწინებით შექმნილია,,წიგნის კითხვის" და ,,მდგრადი განვითარების მიზნების"კლუბები. სკოლაში ფუნქციონირებს კლასგარეშე შემოქმედებითი წრეები - გალობის შემსწავლელი, ქართული ხალხური ცეკვის, ხალხური რეწვის, ხალხური საკრავებისა და სიმღერების, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების წრეები, რომელთა საქმიანობა მიმდინარეობს წინასწარ შემუშავებული გეგმების შესაბამისად. აღნიშნული მომსახურება ხელს უწყობს მოსწავლეებში პასუხისმგებლობის, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების განვითრებას. მოსწავლეთა და მშობელთა განმარტებით, სკოლის ადმინისტრაცია ხელს უწყობს მოსწავლეთა მონაწილეობას სხვადასხვა კონკურსებსა და ოლიმპიადებში, ქმნის მოტივაციურ, მოსწავლეზე ორიენტირებულ გარემოს, სადაც წახალისებულია ინიციატივა

(სკოლის შინაგანაწესში გაწერილია მოსწავლის წახალისების მექანიზმები). სკოლა მოსწავლეებთან შეთანხმებით ხშირად ატარებს გასვლით ღონისძიებებს, ექსკურსიებს, ახორციელებს პროექტებს და ა.შ. სკოლის ბიუჯეტი ითვალისწინებს ფულად რესურსს მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერისათვის. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

**6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას**

ა(ა)იპ მცხეთის წმინდა ათორმეტ მოციქულთა სახელობის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზია მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას. დამრიგებლები ყოველ კვირას ,,კლასის საათის"ფარგლებში აძლევენ მოსწავლეებს უკუკავშირს სკოლის მიერ განხორციელებული მომსახურების შესახებ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე. მოსწავლეთა და მშობელთა ინფორმირებას/უკუკავშირს ემსახურება სოციალური ქსელის დახურული ჯგუფები. სკოლაში ტარდება მოსწავლეთა და მშობელთა გამოკითხვები და მათგან მიღებული უკუკავშირი აისახება სწავლა-სწავლების პროცესში (ღონისძიებების და პროექტების დაგეგმვაში).

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- ა(ა)იპ მცხეთის წმინდა ათორმეტ მოციქულთა სახელობის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზიის 2025-2026 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა
- ა(ა)იპ მცხეთის წმინდა ათორმეტ მოციქულთა სახელობის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზიის შინაგანაწესი
- ა(ა)იპ მცხეთის წმინდა ათორმეტ მოციქულთა სახელობის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზიის მოსწავლეთა ადაპტაციის წესი
- ა(ა)იპ მცხეთის წმინდა ათორმეტ მოციქულთა სახელობის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზიის დამრიგებლის პორტფოლიო
- ანკეტირების შედეგები

**4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის**

მცხეთის წმინდა ათორმეტ მოციქულთა სახელობის მართლმადიდებლურ სკოლა-გიმნაზიაში პროფესიული ორიენტაციისა და კარიერული დაგეგმვის ხელშეწყობის მიზნით ტარდება სხვადასხვა აქტივობები. სკოლას გაფორმებული აქვს მემორანდუმი სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტთან. მოსწავლეებთან გასაუბრებისას დგინდება, რომ ისინი სკოლის ხელშეწყობით ხშირად სტუმრობენ სხვადასხვა დაწესებულებს პროფესიების გაცნობის მიზნით, მაგალითად, IX-X კლასის მოსწავლეები იმყოფებოდნენ კასპის რაიონის სოფელ აღაიანის მინის საწარმოში, სამხედრო სასწავლებელში, სადაც გაეცვნენ სამხედრო მოსამსახურის პრივილეგიებსა და კარიერული განვითარების პერსპექტივებს, იმყოფებოდნენ ადგილობრივ სასამართლოში და მონაწილეობა მიიღეს ,,იმიტირებულ სასამართლო პროცესში". წარმატებულ აქტივობას წარმოადგენდა მოსწავლეების ჩართულობა სასწავლო-შემეცნებით სემინარში -,,ქართული ღვინის გზა". გარდა ამისა, როგორც წარმოდგენილი სადამრიგებლო პროგრამებითა და პორტფოლიოებით დასტურდება საბაზო და საშუალო საფეხურზე დამრიგებლის საათზე განიხილავენ პროფორიენტაციისა და კარიერული დაგეგმვის საკითხებს, ინფორმაციებს სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლების მხრიდან ღია კარის დღის დისტანციურად ჩატარების შემოთავაზების თაობაზე და სხვა. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. **სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით**

მცხეთის წმინდა ათორმეტ მოციქულთა სახელობის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზიაში სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლებთან ინტერვიუს საფუძველზე გამოვლინდა, რომ სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით. სკოლას დოკუმენტურად შემუშავებული აქვს დირქტორის N 2/-24-11ბრძანებით დამტკიცებული - პროფესიული ორიენტაციის დაგეგმვისა და კონსულტირების გაწევის წესი, რომელშიც წარმოდგენილია საკონსულტაციო მომსახურების გაწევის, დამატებითი აქტივობების განხორციელების და კარიერული განვითარების მხარდაჭერის ღონისძიებები. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. **სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს**

მცხეთის წმინდა ათორმეტ მოციქულთა სახელობის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზიის მენეჯმენტის წარმომადგენლების განმარტებით, მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით დაგეგმვის პროცესში სკოლა აქტიურად ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს. დაწესებულებამ წარმოადგინა მოსწავლეთა საჭიროებების დადგენის მიზნით მიმდინარე სასწავლო წელს ჩატარებული მოსწავლეთა და მშობელთა ანკეტირების შედეგები. მშობელთა კრებებსა თუ ინდივიდუალურ შეხვედრებზე ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან ხდება სხვა მნიშვნელოვანი საკითხებისა და მათი მოსაზრებების შესწავლა და განხილვა. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- ა(ა)იპ მცხეთის წმინდა ათორმეტ მოციქულთა სახელობის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზიის პროფესიული ორიენტაციის დაგეგმვისა და კონსულტირების გაწევის წესი
- ა(ა)იპ მცხეთის წმინდა ათორმეტ მოციქულთა სახელობის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზიის მშობელთა კრების ოქმები

- დამრიგებლის პორტფოლიო

**4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი**

სკოლა-გიმნაზიაში ამჟამად ირიცხება ერთი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე.

სკოლას შემუშავებული აქვს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი. 2025-2026 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია სსსმ მოსწავლესთან მუშაობის პრინციპები, შეფასების მექანიზმები, ინდივიდუალური სასწავლო გეგმასთან დაკავშირებული საკითხები, ინდივიდუალურ სასწავლო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები და შინ სწავლების საკითხები, ასევე სსსმ მოსწავლეთა უფლებები.

სკოლა - გიმნაზიის დირექტორის N 2/ს-44 ბრძანებით შექმნილია ისგ ჯგუფი. „მოსწავლეთა ადაპტაციის წესში“ გაწერილია სსსმ მოსწავლეებისათვის სერვისების მიწოდების რეგულაციები.

სკოლას ასევე ცალკე დოკუმენტად აქვს წარმოდგენილი სკოლა - გიმნაზიის N 2/ს-24-13 ბრანებით დამტკიცებული “სსსმ მოსწავლის განათლების უზრუნველყოფის დებულება”.

სკოლაში სსსმ მოსწავლეებისათვის განსაზღვრულია რესურსოთახი, რომელიც ადაპტირებულია, მდებარეობს პირველ სართულზე, აქვს პანდუსი და აღჭურვილია დამხმარე სასწავლო, თუ მოსასვენებელი რესურსით.

სკოლას ჰყავს 1 უფროსი სპეციალური მასწავლებელი, რომელთანაც გაფორმებულია შესაბამისი ხელშეკრულება.

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. **სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს**

ა(ა)იპ მცხეთის წმინდა ათორმეტ მოციქულთა სახელობის მართლმადიდებლურ სკოლა-გიმნაზიაში სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს. სკოლას ჰყავს 1 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე, რომელსაც ჰყავს სპეციალური მასწავლებელი. სასკოლო საზოგადოების წევრებთან გასაუბრებით, ვიზუალური დათვალიერებით და წარმოდგენილი მასალებით დგინდება, რომ სკოლაში არსებობს ხელშემწყობი და ურთიერთთანამშრომლობითი გარემო თითოეული მოსწავლისათვის. სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია სსსმ მოსწავლესთან მუშაობის პრინციპები, შეფასების მექანიზმები, ინდივიდუალური სასწავლო გეგმასთან დაკავშირებული საკითხები, ინდივიდუალურ სასწავლო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები და სხვა.

სკოლა - გიმნაზიამ წარმოადგინა საგნების მიხედვით ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, სპეციალური მასწავლებლის მიერ გაწერილი ინტერვენციის გეგმები, ასევე ისგ ჯგუფის შეხვედრების ამსახველი ოქმები და სხვა. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- ა(ა)იპ მცხეთის წმინდა ათორმეტ მოციქულთა სახელობის მართლმადიდებლურ სკოლა-გიმნაზიის 2025-2026 ს.წ. სასკოლო სასწავლო გეგმა
- ა(ა)იპ მცხეთის წმინდა ათორმეტ მოციქულთა სახელობის მართლმადიდებლურ სკოლა-გიმნაზიის შინაგანაწესი
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმები
- ა(ა)იპ მცხეთის წმინდა ათორმეტ მოციქულთა სახელობის მართლმადიდებლურ სკოლა-გიმნაზიის დირექტორის ბრძანება ისგ ჯგუფის შექმნის შესახებ
- ისგ ჯგუფის  შეხვედრის ოქმები

- ა(ა)იპ მცხეთის წმინდა ათორმეტ მოციქულთა სახელობის მართლმადიდებლურ სკოლა-გიმნაზიის სსსმ მოსწავლის განათლების უზრუნველყოფის დებულება.

**4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.** ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

მცხეთის წმინდა ათორმეტ მოციქულთა სახელობის მართლმადიდებლური სკოლა- გიმნაზიის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვება, ტრანსპორტირების სერვისი და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების საფუძველზე.

სკოლა - გიმნაზია მოსწავლეებს გარდა გახანგრძლივებული სწავლებისა (დაწყებითი საფეხურზე), ასევე სთავაზობს უფასო წრეებით მომსახურებას, მათ შორის ხალხური რეწვის, ქართული ხალხური გალობის, ხალხური საკრავებისა და სიმღერების, ქართული ცეკვის, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების შესწავლის მიმართულებით.

გახანგრძლივებული სწავლებისა და წრის მასწავლებლებთან სკოლას გაფორმებული აქვს კანონთან შესაბამისი ხელშეკრულება.

სკოლაში ასევე ფუქნციონირებს კვების ბლოკი, რომელიც ექვემდებარება HACCP სტანდარტებს და მოთხოვნებს.

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას**

ა(ა)იპ მცხეთის წმინდა ათორმეტ მოციქულთა სახელობის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზიის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას.

I-IV კლასის მოსწავლეები სარგებლობენ გახანგრძლივებული სწავლების რეჟიმით და კვებით (დღის გახანგრძლივებული ჯგუფების ფუნქციონირება განსაზღვრულია სკოლის შინაგანაწესით).

მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით სამივე საფეხურისთვის სკოლაში ფუნქციონირებს სხვადასხვა უფასო წრე. კერძოდ, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების, გალობის შემსწავლელი, ქართული ცეკვის, რეწვის, ხალხური საკრავების და სიმღერების წრე. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. **შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს**

ა(ა)იპ მცხეთის წმინდა ათორმეტ მოციქულთა სახელობის მართლმადიდებლური სკოლა -გიმნაზიაში შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს. სკოლის ტერიტორიაზე უსაფრთხოების დაცვის წესები რეგულირდება სკოლის შინაგანაწესით, დებულებით, სასკოლო საზოგადოების წევრებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით.**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- ა(ა)იპ მცხეთის წმინდა ათორმეტ მოციქულთა სახელობის მართლმადიდებლურ სკოლა-გიმნაზიის 2025-2026 ს.წ. სასკოლო სასწავლო გეგმა
- ა(ა)იპ მცხეთის წმინდა ათორმეტ მოციქულთა სახელობის მართლმადიდებლურ სკოლა-გიმნაზიის სადამრიგებლო პროგრამები
- ა(ა)იპ მცხეთის წმინდა ათორმეტ მოციქულთა სახელობის მართლმადიდებლურ სკოლა-გიმნაზიის შინაგანაწესი
- შრომითი ხელშეკრულებები

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

## ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

### I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

**ცხრილი ივსება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე**

| **სტანდარტი 2** | **ექსპერტთა ჯგუფის შეფასება**<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| **დაწყებითი საფეხურის სასკოლო კურიკულუმი** | ■ **შეესაბამება**<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება |

| | |
|---|---|
| | ☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.1**<br>კურიკულუმის შემუშავება | ■ **შეესაბამება**<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.2**<br>კურიკულუმის განხორციელება | ■ **შეესაბამება**<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.3**<br>კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება | ■ **შეესაბამება**<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.4**<br>კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია | ■ **შეესაბამება**<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **სტანდარტი 2** | **ექსპერტთა ჯგუფის შეფასება**<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
| **საბაზო საფეხურის სასკოლო კურიკულუმი** | ☐ **შეესაბამება**<br>■ **მეტწილად შეესაბამება**<br>☐ **ნაწილობრივ შეესაბამება**<br>☐ **არ შეესაბამება** |
| **კომპონენტი 2.1**<br>კურიკულუმის შემუშავება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.2**<br>კურიკულუმის განხორციელება | ☐ შეესაბამება<br>■ მეტწილად შეესაბამება |

| | |
|---|---|
| | ☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.3**<br>კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.4**<br>კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **სტანდარტი 2** | **ექსპერტთა ჯგუფის შეფასება**<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
| **საშუალო საფეხურის სასკოლო კურიკულუმი** | **☐ შეესაბამება**<br>**■ მეტწილად შეესაბამება**<br>**☐ ნაწილობრივ შეესაბამება**<br>**☐ არ შეესაბამება** |
| **კომპონენტი 2.1**<br>კურიკულუმის შემუშავება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.2**<br>კურიკულუმის განხორციელება | ☐ შეესაბამება<br>■ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.3**<br>კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.4** | ■ შეესაბამება |

| | |
|---|---|
| კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია | ☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

## II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

*ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის იწერება გაერთიანებული სახით. ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის იდენტიფიცირება ხდება, მაშინ როდესაც იწერება ხარვეზი/რეკომენდაცია/რჩევა.*

**2. სასკოლო კურიკულუმი**

**2.1. კურიკულუმის შემუშავება**

**2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას**

სკოლის მიერ წარმოდგენილი  კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას

**ა(ა)იპ მცხეთის წმინდა ათორმეტ მოციქულთა სახელობის მართლმადიდებლურ სკოლა-გიმნაზიას** წარმოდგენილი აქვს კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, სადაც გაწერილი აქვს თუ როგორ ხდება სკოლაში კურიკულუმის განვითარების პროცესი, სკოლაში კურიკულიმის განვითარება ხდება სასკოლო საზოგადოების წევრთა აქტიური ჩართულობით, მათ შორის როგორც მოსწავლეთა, ასევე მშობლების, და მასწავლებელთა დონეზე. დოკუმენტის მიხედვით, მნიშვნელოვანია, მასწავლებელმა  აღწეროს და კოლეგებს გაუზიაროს ინფორმაცია თითოეული მოსწავლის მიღწევებთან დაკავშირებით ,ასევე, მონაწილეობა  მიიღოს კათედრის წევრებთან ერთად სასწავლო პროცესის ძლიერი და სუსტი მხარეების გაანალიზებაში და სამუშაო პროცესში  გაითვალისწინოს კათედრისგან და დირექციისგან შემუშავებული  რეკომენდაციები. სასკოლო საზოგადოებასთან ინტერვიუს დროს (მშობლები, მასწავლებლები, მოსწავლეები) გამოიკვეთა ,რომ ისინი აქტიურად არიან ჩართულნი კურიკულუმის შემუშავების პროცესში, გამოიკვეთა რომ სკოლა მუდმივად ინტერესდება და იკვლევს სასკოლო საზოგადოების საჭიროებას, შესაძლებელობას, ინტერესებს  და იყენებს მიღებულ ინფორმაციას სკოლის კურიკულუმის განვითარებისთვის. სასკოლო საზოგადოების თითოეული რგოლის როლი მნიშვნელოვნად არის მიჩნეული

კურიკულუმის შემუშავების პროცესში.მასწავლებლები მშობლებს მშობელთა კრებებზე, სოციალური ქსელის დახურულ ჯგუფებში,ჩატებში უზიარებენ სასკოლო აქტივობების შესახებ ინფორმაციას, იღებენ მათგან უკუკავშირს .ასევე, მასწავლებლები იზიარებენ მოსწავლეთა შეხედულებებს, რომლებსაც ისმენენ „კლასის საათზე“,ინდივიდუალურად და ა.შ. თავის მხრივ, სკოლის ადმინისტრაცია ცდილობს ამ ყოველივეს გათვალისწინებას სწავლა-სწავლების პროცესში.

**ინდიკატორი შესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

**2.კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები**

**ა(ა)იპ მცხეთის წმინდა ათორმეტ მოციქულთა სახელობის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზიის** კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები. სკოლას წარმოდგენილი აქვს კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია,რომლის მიხედვითაც კურიკულუმი ვითარდება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და იგი ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის ინტერესებს ;დოკუმენტის მიხედვით, მნიშვნელოვანია იმის გარკვევა, თუ რამდენად გაითავისეს (გაიაზრეს, გაიზიარეს) მშობლებმა სკოლის ფილოსოფია (მისია-ხედვა-ღირებულებები) და სასკოლო კურიკულუმთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხი. სკოლა მუდიმვად ცდილობს გამოიკვლიოს სასკოლო საზოგადოების ინტერესები თითოულ დონეზე (ბავშვი, მშობელი, მასწავლებელი) ატარებს გამოკითხვებს, მშობელთა კრებებს, ინდივიდუალურ შეხვედრებს საჭიროებისამებრ, იმავდროულად, სკოლაში ყოველკვირეულად ტარდება “კლასის საათი”. მოსწავლეებთან და მშობლებთან ინტერვიუს პერიოდში გამოიკვეთა, რომ სკოლა მუდმივად ცდილობს გაითვალისწინოს მათი შეხედულება და ინტერესებები და სასკოლო ცხოვრება, სასწავლო კურიკულუმი განავითაროს ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით. **ინდიკატორი შესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

**3.კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

**ა(ა)იპ მცხეთის წმინდა ათორმეტ მოციქულთა სახელობის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზიის** კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. სკოლას წარმოდგენილი აქვს კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, სადაც აღწერილია, თუ რა როლი აქვს სასკოლო საზოგადოების თითოეულ წევრს კურიკულუმის შემუშავების პროცესში. მასწავლებელმა, მნიშვნელოვანია, რომ აღწეროს და კოლეგებს გაუზიაროს ინფორმაცია თითოეული მოსწავლის მიღწევებთან დაკავშირებით,ასევე მონაწილეობა უნდა მიიღოს კათედრის წევრებთან ერთად სასწავლო პროცესის ძლიერი და სუსტი მხარეების გაანალიზებაში და შესაბამისად, გაითვალისწინოს ის რეკომენდაციები, რომლებსაც კათედრისა და სკოლის დირექციისგან მიიღებს . ასევე, მნიშვნელოვანია იმის განსაზღვრა, თუ რა ფორმით უნდა გამოხატოს მოსწავლემ ცოდნა შესასწავლ საკითხთან დაკავშირებით მისი ინდივიდუალური საჭიროებებიდან გამომდინარე, ასევე მნიშვნელოვანია,

მშობელმა რამდენად გაიზიარა კურიკულუმთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხი, აქტივობა. სასკოლო საზოგადოებასთან ინტერვიუს პროცესში გამოვლინდა, რომ სასკოლო საზოგადოების წევრები (მშობლები, მოსწავლეები) აქტიურად არიან ჩართულნი კურიკულუმის შემუშავებაში, წინასწარ ეცნობიან დაგეგმილ აქტივობებს, შესასწავლ თემებსა თუ საკითხებს, მასწავლებელბი იღებენ მშობელთა თუ მოსწავლეთა უკუკავშირს და ითვალისწინებენ მათ კურიკულუმის განვითარების პროცესში. **ინდიკატორი შესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

4. **კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

ა(ა)იპ მცხეთის წმინდა ათორმეტ მოციქულთა სახელობის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზიაში სასკოლო კურიკულუმი ხელმისაწვდომია და საჯაროა სასკოლო საზოგადოების ყველა წარმომადგენლისათვის: სასკოლო სასწავლო გეგმას, სკოლის კურიკულუმს მშობლებს სასწავლო წლის დასაწყისშივე აცნობენ შესაბამისი კლასის დამრიგებლები, ასევე სისტემატურ უკუკავშირს აწვდის საგნის თითოეული მასწავლებელი მშობლებს,როგორც ინდივიდუალურად საჭიროებიდან გამომდინარე, ასევე მშობელთა კრებებზე,მასწავლებლები უზიარებენ მშობლებს აქტივობასთან დაკავშირებულ ბარათებს, და ხშირად აძლევენ მათ საშუალებას აქტიურად ჩაერთონ მოსწავლის სწავლა -სწავლების პროცესში. სასკოლო კურიკულუმთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისთვის და მათი მხრიდან უკუკავშირის მისაღებად გამოიყენება სხვადასხვა საკომუნიკაციო საშუალება: სკოლის ვებგვერდი, ელექტრონული ფოსტა, სოციალური ქსელის დახურული ჯგუფები და ჩატები, ბეჭდვითი მასალები; მშობლებს ასევე აცნობენ სადამრიგებლო საათის პროგრამებს, სასკოლო სასწავლო გეგმის აკადემიურ კალენდარს, არაფორმალური განათლების კუთხით დაგეგმილ სხვადასხვა აქტივობებს თუ სხვა სასკოლო ღონისძიებებს.სკოლა აქტიურად იყენებს მშობლის რესურს რათა სწავლა-სწავლების პროცესი უფრო ეფექტურად წარიმართოს და სასკოლო საზოგადოების თითოეულმა წევრმა თავი სასკოლო თემის სრულფასოვან წევრად იგრძნოს. **ინდიკატორი შესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- საფეხურის კურიკულუმები

- სკოლის შინაგანაწესი
- მშობელთა კრების ოქმი N3
- მშობელთა კრების ოქმი N2
- მშობლებთან , მოსწავლეებთან და მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუები
- კათედრის სხდომის ოქმები
- განხორციელებული აქტივობების ამსახველი მასალა.
- განხორციელებული პროექტები
- მშობელთა ჩართულობის ამსახველი მასალა
- დამრიგებლის პორტფოლიო
- პედსაბჭოს სხდომის ოქმი

**2.1.2.კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრის წევრებთან გასაუბრება იკვეთება, რომ საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრაზე შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმები სკოლის სამივე საფეხურზე მოსწავლეზე ორიენტირებულია და შემუშავებულია მოსწავლეთა ასაკობრივი შესაძლებლობების გათვალისწინებით.<br>წარმოდგენილ კურიკულუმებში მოცემულია მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დანერგვა და განვითარების გზა, რაც ასევე დადასტურდა სკოლის მესვეურთა მიერ წარმოდგენილ როგორც განხორციელებულ, ასევე დაგეგმილ დავალებებში.<br>კარგად არის გააზრებული განმავითრებელი შეფასება ბლუმის ტაქსონომიის დონეების მიხედვით.<br>ასევე მათი ხედვა STEM პროექტების მიმართულებით.<br>განხორცილებული პროექტებიდან აღსანიშნავია პროექტი არდუინოს შესახებ, ასევე |

| | |
|---|---|
| | მდგრადი განვითარების მიმართულებით.<br>აღინიშნა, ლაბორატორიული სამუშაოების მნიშვნელოვანი დატვირთვა სწავლების პროცესში, ლაბორატორიული სწავლების ეფექტიანობა მოსწავლეებში ტრანსფერული უნარების ჩამოყალიბების უმნიშვნელოვანეს ფაქტორზე.<br><br>ინტერვიუს დროს პედაგოგებმა გამოკვეთეს სამომავლო ხედვა, ისაუბრეს საკუთარ გამოცდილებაზე. აქცენტები გააკეთეს გრძელვადიანი მიზნის მისაღწევად გამოსაყენებულ დავალებებზე, ასევე აქტივობებზე, რაც შუალედური მიზნის მიღწევის შესაძლებლობებს იძლევ9ა.<br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია.** |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | საზოგადოებრივი მეცნიერებების პედაგოგთა მიერ შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. კურიკულუმებში ჩანს სამიზნე ცნებებზე ორიენტირება, გარდა ამისა, გამოყენებულია მრავალფეროვანი რესურსები, წარმოდგენილია საინტერესო და მრავალფეროვანი კომპლექსური დავალებების იდეები. |
| უცხოური ენები | შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს იმ შესაძლებლობებს რაც მოითხოვს საზოგადოების ინტერესის, ხედვის, შესაძლებლობების და პრიორიტეტების გათვალისწინება. კურიკულუმში ასახული თემები, საკითხები და ცნებები წარმოადგენენ მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვის და განვითარების გზას.<br>რჩევა: კურიკულუმში სამიზნე ცნებეის ჩამოწერა სასურველია შესაბამისი საფეხურის, შესაბამი ენის (პირველი უცხო ენა, მეორე უცხო ენა) ოფიციალური ტერმინოლოგიის მიხედვით).<br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია.** |
| ესთეტიკური აღზრდა | მტკიცებულებებით წარმოდგენილი **დაწყებითი,საბაზო** და **საშუალო** საფეხურის საგნობრივი (მუსიკა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) ჩარჩო კურიკულუმებში ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე და შედეგები განისაზღვრება საფეხურის/ მთლიანად სასწავლო კურსის დონეზე. განსაკუთრებით მუსიკის კურიკულუმის ჩარჩოში |

| | |
|---|---|
| | ჩანს რომ უპირატესობა ენიჭება შემოქმედებითი ტიპის დავალებებს, რომელიც განიხილება შუალედურ სასწავლო მიზნად და თავისთავად ორიენტირებულია მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზე.<br><br>**რჩევა:** ხელოვნებაში სამივე საფეხურის პედაგოგები კურიკულუმების შედგენისას შეთანხმდნენ ერთიან ჩარჩოზე. ყურადღება გაამახვილონ ინფორმაციის შესაბამის გრაფებში სწორად განთავსებაზე.<br><br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია.** |
| სახელმწიფო ენა | სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში ასახულია თემები, საკითხები, რომლებზეც მუშაობს კათედრა, წარმოდგენილია კომპლექსური ბუნების დავალებები, რომლებიც ხელს უწყობს ცოდნის უნარებისა და დამოკიდებულებების გამთლიანებულად წარმოჩენას კონკრეტული პროდუქტის სახით. საგაკვეთილო პროცესში გამოიყენება ისეთი აქტივობები და სტრატეგიები, რომლებიც მოსწავლეს ეხმარება ცოდნის აგებაში. იყო ცალკეული ხარვეზები, თუმცა კათედრასთან შეხვედრამ აჩვენა, რომ სრულად აქვთ გააზრებული ეს ხარვეზები, და რომ იმუშავებენ მათ დახვეწაზე, რის დასტურადაც მასწავლებლებმა დამატებით გამოგზავნეს უფრო დახვეწილი კურიკულუმის ნიმუშები საბაზო და საშუალო საფეხურისთვის.<br><br>**რჩევა:** სასურველია, კურიკულუმის ჩარჩოს გრაფებში მასალა სწორად იქნეს გადანაწილებული- რესურსებში შეტანილი დამხმარე მასალის დასახელება ტექსტი/ კონტექსტის სვეტში ჩაიწეროს, ხოლო რესურსებში ინტერნეტმისამართი, ე.წ. ლინკი.<br><br>ასევე კარგი იქნება თუ მე-6 კლასის კურიკულუმის შემოქმედებითი დავალების იდეა დავალების კონკრეტულ პირობად ჩამოყალიბდება.<br><br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია.** |
| მათემატიკა | მათემატიკის საგნობრივი კურიკულუმები აკმაყოფილებენ კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტის მოთხოვნებს და მოიცავს ყველა აუცილებელ კომონენტს, მათ შორის ზოგად ინფორმაციას კურიკულუმის შესახებ, კურიკულუმის მიზანს და სტანდარტის შესაბამისად სწავლა-სწავლების მოსალოდნელ შედეგს და მიმართულია სტანდარტით მოცემული |

| | |
|---|---|
| | შედეგების მიღწევაზე. დაგეგმილია და გაწერილი თუ როგორ აღიწერება მოსწავლის განვითარების გზა, რა გრძელვადიან მიზნებს ემსახურება მათი სწავლა-სწავლება, რა აქტივობები უნდა განხორციელდეს დასახული მიზნის მისაღწევად, ამიტომაც შესაძლებელი ვთქვათ, რომ კურიკულუმები მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესიის დაგეგმვისა და განვითარების გზას წარმოადგენს. კურიკულუმებში წარმოდგენილია შემოქმედებითი დავალების იდეები, რომლებიც შუალედური მიზანზე გასვლით, ემსახურება გრძელვადიანი მიზანზე გასვლას. გასაუბრების დროს კათედრის წევრებმა გამოხატეს მზაობა, რომ შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენდეს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას.<br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია.** |
| სპორტი | კათედრის მიერ შემუშავებული ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კურიკულუმები სამივე საფეხურზე შეესაბამება მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტებს. დოკუმენტებში მკაფიოდ არის განსაზღვრული გრძელვადიანი მიზნები, სასწავლო აქტივობები და შემოქმედებითი ტიპის დავალებები, რომელთა შესრულებაც გათვალისწინებულია მოსწავლეებისთვის. არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის პირობებში შერჩეული სპორტული მიმართულებები უზრუნველყოფს ინდივიდუალურ საჭიროებებზე დაფუძნებული სასწავლო პროცესის ეფექტიან წარმართვას.<br>**რჩევა: მოსწავლეთა ფიზიკური თვისებების უკეთ განვითარების მიზნით სასურველია საშუალო საფეხურის კურიკულუმებში თემებში დაემატოს სპორტის სახეობა მძლეოსნობა.**<br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია** |
| ტექნოლოგიები | კურიკულუმი სრულად არის ორიენტირებული მოსწავლეზე, რადგან სწავლის პროცესი აგებულია არა მზა ინფორმაციის დამახსოვრებაზე, არამედ კომპლექსურ დავალებებზე დაყრდნობით ცოდნის ეტაპობრივ კონსტრუირებაზე. თითოეული თემატური ერთეული იწყება მოსწავლის არსებული გამოცდილების გააქტიურებით, რაც ეხმარება მას ახალი ტექნოლოგიური ცნებების საკუთარ კონტექსტთან დაკავშირებულად გააზრებაში. კომპლექსური დავალებების პირობები შერჩეულია მოსწავლეთა ასაკობრივი ინტერესების გათვალისწინებით, რაც ზრდის შინაგან მოტივაციას. იგი ნამდვილად წარმოადგენს |

| | |
|---|---|
| | მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და მისი ტექნოლოგიური განვითარების დინამიურ გზას. წარმოდგენილი კურიკულუმები სრულად პასუხობს ინდიკატორის მოთხოვნებს.<br><br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია.** |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | ასკოლის მიერ შემუშავებული დაწყებით საფეხურის კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. მოცემულ კურიკულუმის ჩარჩოებში არსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, გაწერილია შესაბამისი საგნის (ბუნებისმეტყველება, ქართული, მათემატიკა, მე და საზოგადოება) სტანდარტით გათვალისწინებული სავალდებულო თემები, სამიზნე ცნებები და სასწავლო რესურსები. კურიკულუმების ჩარჩოებში აგრეთვე ასახულია შუალედური სასწავლო მიზნები. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ დაგეგმვისას ითვალისწინებენ წინარე გამოცდილებასა და მოსწავლეთა საჭიროებებს. შესაბამისად კურიკულუმის მიხედვით სწავლება ეფუძნება მოსწავლის შინაგანი მოტივაციის გააქტიურებას და ცხოვრებისეული გამოცდილების გათვალისწინებას.<br><br>რჩევა- სასურველია, ყველა საგნის კურიკულუმებში მოსწავლეებისთვის უფრო მკაფიოდ და ცხადად იქნეს გაწერილი ცნებები, თემები, საკითხები/საკითხთა კლასტერი, ყველა კონტექსტ-მაგალითი, კომპლექსური დავალების იდეა, პირობა. რესურსები იყოს უფრო მრავალფეროვანი.<br><br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია.** |

## 2. კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრის წევრებთან ინტერვიუს ფარგლებში გამოიკვეთა, რომ სკოლის სამივე საფეხურზე მოქმედი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს |

| | |
|---|---|
| | კურიკულუმში მოცემულ დავალების იდეა/შემაჯამებელი დავალება ჩანს, რომ კურიკულუმი ემსახურება გრძელვადიანი სასწავლო მიზნების განხორციელებას. შემაჯამებელი დავალებები აგებულია ტესტური დავალებებით, შემომქედებითი პროდუქტის შემნის მიმართულებებით.<br>ინტერვიუს დროს პედაგოგებმა ისაუბრეს, კონკრეტულად თუ რომელ გრძელვადიან მიზნებს მიემართება მათ მიერ წარმოდგენილი დავალებები. )სკოლის სამივე საფეხურზე)<br>მაგალითად, ბიოლოგია მე-11 კლასი, წარმოდგენილია საკითხთა კლასტერი:<br>• მემკვიდრეობის მატერიალური საფუძვლები<br>• ალელური და არაალელური გენები<br>მოყვანილია სამიზნე ცნება-გენეტიკა (40საათი), შესაბამისი ქვეცნებები, კონტექსტმაგალითი, რაც უზრუნველყოფს აღნიშნული სამიზნე ცნების დაფარვას.<br><br>ასევე სკოლის კურიკულუმში არჩევით საგნად შეტანილია კონსერვაციული ბიოლოგია მე-10 კლასში, ინტერვიუებში აღინიშნა, რომ საგნის არჩევა მოხდა მოსწავლეების ინტერესებისა და სურვილების გათვალისწინებით.<br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია.** |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზანს. ჩანს სამიზნე ცნებებზე ორიენტირება, გამოყენებულია ქვეცნებები, საფეხურის ფარგლებში მუშავდება ყველა სამიზნე ცნება.<br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია.** |
| უცხოური ენები | სამივე საფეხურის, როგორც ინგლისური ენის, ასევე, რუსული ენის კურიკულუმები მიემართება სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს, რამეთუ კურიკულუმში ასახული და გაწერილი თემები, საკითხები და ცნებები იძლევა ამის საშუალებას.<br>რჩევა: სასურველია თემები, საკითხები და სამიზნე ცნებები გაწერილი იყოს მის შესაბამის განკუთვნილ სვეტებში.<br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია.** |

| | |
|---|---|
| ესთეტიკური აღზრდა | **დაწყებითი საბაზო და საშუალო** საფეხურის ორივე საგნის კურიკულუმებით დასტურდება რომ, სასწავლო პორცესში შემოქმედებითი დავალება განიხილიება, როგორც შუალედური სასწავლო მიზანი,ის ორიენტირებულია არა მხოლოდ აქტივირებაზე, არამედ წაახალისებს მათ გაცნობიერებას, გააზრებულობასა და სრულყოფას. მსჯელობას ამყარებს კათედრასთან ინტერვიუ მტკიცებულებების სახით წარმოდგენილი **დაწყებითი** საფეხურის საგნობრივი ჩარჩო კურიკულუმები ( მუსკა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება I-VI კლასები და **საბაზო** VII,VIII-IXკლასები აღნიშნული სტანდარტთან შესაბამისობა სწორად არის წარმოდგენილი და კურიკულუმის სტრუქტურული ერთეულები არის გააზრებული . დაფარულია ყველა სავალდებულო თემატური ბლოკი, თემატური ბლოკის ფარგლებში სამიზნე ცნებები, საკითხი, კომპლექსური დავალების განხორციელების დროს ქვეცნებები. კონტექსტ მაგალითები. კურიკულუმები ისეა აგებული, რომ თემის ფარგლებში მეტ-ნაკლებად იფარება ყველა ცნება. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ახორციელებენ სხვადასხვა ტიპის შემოქმედებით დავალებებს, მათ შორის პროექტებს (სამივე საფეხურზე).<br><br>(მაქვს მცირედი რჩევები სახვით და გამოყენებით ხელოვნების კურიკულუმთან დაკავშირებით).<br><br>**რჩევა: ორივე საგანში დაწყებით და საბაზო საფეხურზე კურიკულუმის შედგენის დროს ყურადღება მიაქციეთ აკადემიური საათების რაოდენობას და მასთან მიმართებით განსაზღვრეთ თითოეულ კლასში თემების რაოდენობა.**<br>**ხელოვნების დაწყებით და საბაზო კურიკულუმებში მიუთიტეთ თემატური ბლოკები.**<br><br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია.** |
| სახელმწიფო ენა | კათედრა სასწავლო პროცესის დაგეგმვისას ითვალისწინებს ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებსა და ინდიკატორებს, გრძელვადიან მიზნებს, ორიენტირებულია ცნებათა სწავლებაზე, რისი მაჩვენებელიცაა ე. წ. კომპლექსური ბუნების დავალებებითა და პროექტებით სწავლება.<br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია.** |
| მათემატიკა | წარმოდგენილ მათემატიკის საგნობრივ კურიკულუმებში გრძელვადიანი მიზნებზე ორიენტირით წარმოდგენილია სამიზნე ცნებები და შედეგები. სამიზნე ცნებები, საკითხები |

| | |
|---|---|
| | კავშირშია ერთმანთთან. საკითხი/საკითხთა კლასტერი, ამუშავებს სამიზნე ცნებებს. შემოქმედებითი დავალების იდეა, უზრუნველყოფს სტანდარტით განსაზღრულ შედეგებზე გასვლას, ხოლო მოსწავლეებში ხელს შეუწყობს მათ შემოქმედებითი, კრიტიკული, ანალიზის უნარების განვითარების ხელშეწყობას. კათედრის წევრებმა გასაუბრების დროს გამოხატეს მზაობა, რომ შემუშავებული კურიკულუმები მიმართული იყოს ესგ-ით განსაზღრული მიზნებისაკენ და სწავლა-სწავლების პროცესი წარმართონ შემუშავებული კურიკულუმების შესაბამისად.<br>**რჩევა:**<br>**მიზანშეწონილია კურიკულუმის შემუშავებისას გაწერილ იყოს მათემატიკის საგნობრივი სტანდარტით განსაზღრული ყველა თემა იმ ფორმულირებით, როგორც სტანდარტშია წარმოდგენილი.**<br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია.** |
| სპორტი | ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კურიკულუმები სამივე საფეხურზე აგებულია ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტებსა და პრიორიტეტებზე. სწავლა-სწავლების პროცესი მიმართულია სამიზნე ცნებების გააზრებასა და პრაქტიკულ გამოყენებაზე, რაც უზრუნველყოფილია სხვადასხვა ტიპის აქტივობებით, მათ შორის სპორტული ფესტივალებით, პროექტული მუშაობითა და კონფერენციებში მონაწილეობით. ასეთი ორგანიზება ხელს უწყობს მოსწავლეებში სოციალური პასუხისმგებლობის გრძნობის გაძლიერებას, გუნდური მუშაობის გამოცდილების დაგროვებასა და თანამშრომლობითი უნარების განვითარებას.<br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია.** |
| ტექნოლოგიები | კურიკულუმი ითვალისწინებს საგნობრივი სტანდარტის მოთხოვნებს და ორიენტირებულია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევაზე. კურიკულუმის ჩარჩოში გაწერილია თემები, სამიზნე ცნებები, დასამუშავებელი საკითხები და კონტექსტ- მაგალითები. დავალებები და აქტივობები იმგვარადაა შერჩეული, რომ ხელს უწყობს ინფორმაციის გააზრებას პირადი გამოცდილების საფუძველზე და ეხმარება მოსწავლეებს თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებაში. კომპლექსური ხასიათის |

| | |
|---|---|
| | დავალებები ორიენტირებულია მოსწავლეებში კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების განვითარებასა და ციფრული მოქალაქეობის პრინციპების დამკვიდრებაზე. ინტერვიურების დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებელს აქვს მზაობა განაახლოს კურიკულუმები, რათა სრულად პასუხობდეს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს.<br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია.** |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით და ინტერვიუთი დასტურდება, რომ დაწყებით საფეხურზე სასწავლო პროცესი ხორციელდება კურიკულუმის შესაბამისად. კურიკულუმების ჩარჩოები ორიენტირებულია და მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებზე, დაწყებითი საფეხურის ფარგლებში, სტანდარტებში წარმოდგენილი შედეგების და სამიზნე ცნებების სახით. გაწერილი შემოქმედებითი ბუნების დავალებები ორიენტირებულია თემის შესაბამის მიზანზე.<br>ზოგიერთი კლასის კურიკულუმში თითქმის ყველა თემის გასწვრივ წარმოდგენილია შემოქმედებითი ტიპის დავალება, ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, მიღებული გამოცდილების საფუძველზე, მომავალში გეგმავენ მხოლოდ შერჩეული შემოქმედებითი დავალებები წარმოადგინონ.<br><br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია.** |

**3. კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას**

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზი აჩვენებს, რომ სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნებების და მათი მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით; შესაბამისი რესურსებით, ონლაინ და მატერიალური რესურსების გამოყენებით, მათ შორის სასკოლო ლაბორატორიებით, სკოლას აქვს ინტეგრირებული ლაბორატორია/ფიზიკა, ბიოლოგია, ქიმია (ახალი წარმოების) სადაც ხდება ექსპერიმენტების და ცდების ჩატრება, სკოლის სამივე საფეხურზე. |

| | |
|---|---|
| | ასევე სკოლას აქვს გამწოვი კარადა, შესაბამისი სივრცე, რაც შესაბამისობაშია სკოლაში მოსწავლეების რაოდენობასთან, დაცულია უსაფრთხოების ყველა ზომა.<br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია.** |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | კურიკულუმებში უხვადაა წარმოდგენილი სასწავლო რესურსები, თითოეული მათგანი საინტერესოა, საკითხზე ორიენტირებული და, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს რესურსები ნამდვილად უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სასწავლო შედეგის მიღწევას.<br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია.** |
| უცხოური ენები | რესურსების ჩამონათვალი, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი უზრუნლლვეყოფს მოსწავლის სწავლის შედეგის მიღწევას.<br>რჩევა: სასურველი რესუსრსების ჩამონათვალი იქნას შეტანილი იქ, სადაც არ იყო გაწერილი.<br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია.** |
| ესთეტიკური აღზრდა | დაწყებითი ( I-IVკლასების )/ **საბაზო საფეხურის VII,VIII-,IX საშუალო X და XI** მუსიკა და სახვითიდა გამოყენებითი ხელოვნება, კურიკულუმში წარმოდგენილი რესურსები: გრიფირებული სახელმძღვანელოები, ინტერნეტ რესურსები მოსწავლეთა ინტერესებსა და შესაძლებლობებს შეესაბამება. შერჩეული რესურსები სასწავლო პროცეს ხდის მეტად საინტერესოსა და მოქნილს.სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების, თანდართული დოკუმენტაციის და ვიზიტის დროს გადმოგზავნილი გამოთხოვილი დოკუმენტაციის შესწავლისას დასტურდება, რომ, კურიკულუმით გათვალისწინებული სასწავლო და საგანმანათლებლო რესურსები, უზრუნველყოფენ მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. ზემოთ აღნიშნული რესურსები ძირითადად სრულადაა ასახული დაწყებითი და საბაზო საფეხურის **ხელოვნების** საგანმათლებლო პროგრამის კურიკულუმების კონცეპტუალურ ჩარჩოებში.<br><br>**რჩევა: სასურველოია მუსიკის კურიკულუმში მეტად აისახოს სწავლაა-სწავლების პროცესში გამოყენებული დამატებითი რესურსები.** |

| | |
|---|---|
| | **ინდიკატორი შესაბამისობაშია.** |
| სახელმწიფო ენა | კურიკულუმით დასახული მიზნების მისაღწევად სახელმწიფო ენაში სკოლა იყენებს სხვადასხვა საგანმანათლებლო რესურსს, მაგ. მასალას იუთუბ არხიდან, ტელესკოლის გაკვეთილების, ფილმებს, დამხმარე ლიტერატურას და ა.შ. - მრავალფეროვან რესურსებს.<br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია.** |
| მათემატიკა | კურიკულუმების ჩარჩო-დოკუმენტში წამოდგენილია მათემატიკის სწავლის და სწავლების მიზნის შესაბამისი საგანმანათლებლო როგორც ძირითადი გრიფმინიჭებული სახელმძღვანელო, ასევე დამხმარე სასწავლო ელექტრონული რესურსი. რაც დადასტურდა კათედრის წევრებტან გასაუბრების დროსაც.<br><br>**რჩევა:**<br>**მიზანშეწონილია საკითხები, რომელიც წარმდგენილია კურიკულუმში სახელმძღვანელოს შესაბამისად, მიეთითოს შესაბამისი გვერდები სახელმძღვანელოდან, ელექტრონულ რესურსებს კი, ბმულები თავისი სახელწოდებით.**<br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია.** |
| სპორტი | კურიკულუმების ფარგლებში შერჩეული სასწავლო რესურსები წარმოადგენს ეფექტურ საშუალებას მოსწავლეთა მიერ გრძელვადიანი შედეგების მისაღწევად. ძირითად და დამხმარე საგანმანათლებლო მასალებთან ერთად, გამოყენებულია პრაქტიკული და თვალსაჩინო რესურსები, რომლებიც სრულად პასუხობს მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებსა და ასაკობრივ თავისებურებებს. რესურსების მრავალფეროვნება (, სპორტული ინვენტარი,ელ. წიგნები) ქმნის საფუძველს იმისათვის, რომ თითოეულმა მოსწავლემ შეძლოს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული ინდიკატორების დაძლევა.<br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია.** |
| ტექნოლოგიები | წარმოდგენილი კურიკულუმების ანალიზი ცხადყოფს, რომ საგნის „კომპიუტერული ტექნოლოგიები“ ფარგლებში შერჩეული სასწავლო რესურსები მრავალფეროვანია და არ შემოიფარგლება მხოლოდ ერთი კონკრეტული სახელმძღვანელოთი. ყველა კლასის (II-VI) კურიკულუმში ძირითად სასწავლო რესურსად მითითებულია სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ შემუშავებული პლატფორმა school.emis.ge, რაც |

| | |
|---|---|
| | უზრუნველყოფს მასალის შესაბამისობას ეროვნულ სასწავლო გეგმასთან. დაწყებით საფეხურზე ალგორითმებისა და პროგრამირების სწავლებისთვის ინტეგრირებულია საერთაშორისო საგანმანათლებლო პლატფორმები - Code.org და Scratch. კურიკულუმში ძირითად რესურსთან ერთად გამოყენებულია ნინო ჯამასპიშვილის დამხმარე სახელმძღვანელო („ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები“) და გიორგი დათუკიშვილის ვიდეოგაკვეთილები, რაც საილუსტრაციო მასალას მოსწავლისთვის მეტად თვალსაჩინოს ხდის.<br><br>**რჩევა: სასურველია საჭიროების შემთხვევაში მასწავლებელმა სასწავლო პროცესში აქტიურად დანერგს ინტერნეტის გარეშე სწავლების მეთოდოლოგია. კონკრეტულად, მიზანშეწონილია ,,გამარჯობა რუბის“ რესურსების ინტეგრირება, რაც საშუალებას მისცემს მოსწავლეებს, დამოუკიდებლად, თამაშის გზით შეისწავლონ პროგრამირების ფუნდამენტური პრინციპები (ალგორითმები, ციკლები, პირობები). ეს მიდგომა უზრუნველყოფს სწავლების უწყვეტობას და კურიკულუმით გათვალისწინებული სამიზნე ცნებების დაძლევას ტექნიკური ბარიერების მიუხედავად.**<br><br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია.** |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | დოკუმენტაციის შესწავლისას დასტურდება რომ, კურიკულუმით გათვალისწინებული სასწავლო და საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. როგორც გამოიკვეთა დაწყებითი კათედრის წევრებთან ინტერვიუს დროს ნაწილ კურიკულუმების კონცეპტუალურ ჩარჩოებში არ არის ასახული მრავალფეროვანი საგანმანათლებლო და სასწავლო რესურსები, რასაც კათედრის მასწავლებლების უმრავლესობა იყენებს სასწავლო პროცესში.<br><br>**რჩევა:** სასურველია ყველა რესურსი,რასაც იყენებენ თემის დამუშავების პროცესში ასახონ კურიკულუმში არსებულ სვეტში „სასწავლო რესურსები“. სასურველია დამატებითი რესურსების უფრო დეტალური და კონკრეტული ჩამონათვალის შეტანა.<br><br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია.** |

4. **სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს**

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | სკოლის მესვერთა მიერ დაგეგმილი და წარმართული სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს; სამივე საფეხურზე<br>სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ჩანს, რომ სასწავლო პროცესი იგეგმება მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომებით, სადაც მოსწავლე განიხილება, როგორც კონკრეტული გამოცდილების, ინტერესებისა და ხასიათის მქონე ინდივიდად, ეს კი თავის მხრივ გულისხმობს დიფერენცირებულ სწავლის მიდგომებს,<br>სასკოლო სასწავლო გეგმით სკოლას განსაზღვრული აქვს სსსმ მოსწავლის შემთხვევაში ინდივიდუალური გეგმების შემუშავება, რაც უზრუნველყოფს ინკლუზიურ მიდგომებს სწავლა-სწავლების პროცესში.<br>ბუნებისმეტყვეების კურიკულუმი წარმოდგენილია ძირითადი საკითხების, კონტექსტ მაგალითების და კომპლექსური დავალების იდეების დონზე.(სამივე საფეხურზე)<br>მაგალითად, მესამე კლასში ბუნებისმეტყველებაში, სსსმ მოსწავლისათვის შემუშავებულია ინდივიდუალური გეგმა,(საგნის და სპეცმასწავლებლის მიერ) პროცესის ანალიზი განხორციელდება წლის ბოლოს).<br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია.** |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მათ კარგად ესმით რამდენად მნიშვნელოვანია, სასწავლო პროცესი იყოს ინკლუზიური . მათ გამოკვეთეს ყველა ის დიფერენცირებული მიდგომა, რომელსაც სასწავლო პროცესში ითვალისწინებენ. მართალია, მათ არ ჰყავთ არც ერთი სსსმ მოსწავლე, მაგრამ ზოგადად აქტიურად მიმართავენ დიფერენცირებას.<br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია.** |
| უცხოური ენები | სასწავლო პროცესი არის მოსწავლეზე ორიენტირებული, გათვალისწინებულია ინკლუზიური და დიფერეცირებული მიდგომები. გაწერილი აქტივობები ითვალისწინებს |

| | |
|---|---|
| | დიფერენცირებული სწავლის მიდგომებს.<br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია.** |
| ესთეტიკური აღზრდა | თვითშფასების დოკუმენტში წარმოდგენილი ინფორმაცია და კათედრასთან ინტერვიუს დროს მასწავლებელთა მიერ მოსწავლეებთან მუშაობის პროცესის და მოსწავლეების მიღწევების აღწერა იძლევა საფუძველს რომ კათედრა სამივე საფეხურზე ითვალისწინებს ინკლუზიურ და დიფერენცირებულ მიდგომებს, ასევე მასწავლებლებმა აღნიშნეს რომ სასწავლო პროცესში, სხვადასხვა აქტივოების დროს, ითვალისწინებენ მოსწავლეთა შესაძლებლობეს, საჭიროებებს და იმის მიხედვით ახდენენ დავალების პირობის/ აქტივობები მოდიფიცირებასა და დირენეცირებას,თუმცა კურიკულუმებში ნაწილობრივ აისახება ყოველივე.<br><br>**რჩევა: სასურველია კურიკულუმებში მეტად ჩანდეს თქვენ მიერ დაგეგმილი სწავლა-სწავლების პროცესში გათვალისწინებული დიფერენცირებული დ აინკლუზიური მიდგომები.(მაგალითად დავალების პირობაში).**<br><br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია.** |
| სახელმწიფო ენა | სასწავლო პროცესში მასწავლებლები იყენებენ დიფერენცირებულ მიდგომებს, რაც აისახება შერჩეულ სასწავლო რესურსებში, თემებში, არჩევით დავალებებში.<br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია.** |
| მათემატიკა | კათედრის წევრებმა გასაუბრებაზე აღნიშნეს, რომ სწავლა-სწავლების პროცესში იყენებენ ინკლუზიურ/დიფერენცირებულ მიდგომებს, რომელსაც უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებენ. სწავლა-სწავლების პროცესში ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებს, მათ საჭიროებებსა და ინტერესებს და სასწავლო პროცეს ამ საჭიროებებზე მორგებულად გეგმავენ და ახორციელებენ. დავალებებს მოდიფიცირებას უკეთებენ მოსწავლეთა შესაძლებლობების მიხედვით.<br><br>ახდენენ მოსწავლეთა შემოწმება, შეფასებას, აძლევენ მათ კონსტრუქციულ უკუკავშირს. კათედრის წევრებმაც გამოხატეს მზაობა მომავალშიც სასწავლო პროცესს დიფერენცირებული მიდგომების გამოყენებით წარვმართავენ და კურიკულუმის |

| | |
|---|---|
| | შემუშავების პროცესშიც კუიკულუმებშიც გაითვალისწინებენ ამ მიდგომებს.<br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია.** |
| სპორტი | წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგებიდან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური. სწავლებაში გამოყენებული დიფერენცირებული სტრატეგიები უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მრავალფეროვნებას, რაც საშუალებას აძლევს როგორც განსაკუთრებული საჭიროებების, ისე განსხვავებული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებს, თანაბრად ჩაერთონ საგაკვეთილო პროცესში.<br><br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია .** |
| ტექნოლოგიები | სასწავლო პროცესში დიფერენცირებული მიდგომებისა და ინკლუზიური გარემოს არსებობას ადასტურებს წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები, აქტივობები და რესურსები, რომლებიც მორგებულია მოსწავლეებზე და ხელს უწყობს მათ ჩართულობას. კურიკულუმის შესავალ ნაწილში გათვალისწინებულია სპეციალური გრაფა დიფერენცირებული სწავლებისთვის (სარეზერვო საათები), რაც პოზიტიური მოცემულობაა და მასალის ათვისების განსხვავებული ტემპის მქონე მოსწავლეებს აძლევს დამატებით შესაძლებლობებს.<br>კომპლექსური დავალებების შეთავაზებისას (მაგალითად, III-IV კლასებში, სამიზნე ცნებებზე: ალგორითმი და მომხმარებლის გრაფიკული ინტერფეისი მუშაობისას), შერჩეული საბოლოო პროდუქტები (ანიმაცია, ინტერაქტიული თამაში, ელექტრონული პოსტერი) იძლევა იმის საშუალებას, რომ მოსწავლეებმა საკუთარი ინტერესებისა და უნარების შესაბამისად მოახდინონ ცოდნის დემონსტრირება.<br><br>**რჩევა: საჭიროების შემთხვევაში კურიკულუმს თან ახლდეს ადაპტირებული კომპლექსური დავალების ნიმუში ან მითითება იმის შესახებ, თუ როგორ ხდება სამიზნე ცნებების სწავლება სსსმ მოსწავლეებისთვის სპეციალურ მასწავლებელთან თანამშრომლობით.**<br><br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია.** |

| | |
|---|---|
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მათ მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით ცვლილებები შეაქვთ დაგეგმილ აქტივობებში, სთავაზობენ დიფერენცირებულ მიდგომებსა და მათთვის საინტერესო, მოდიფიცირებულ და მრავალფეროვან რესურსებს. ასევე, ინტერვიუდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე ნათელი გახდა, რომ პედაგოგები ითვალისწინებენ მოსწავლეთა საჭიროებებს და მოსწავლეებს სთავაზობენ ალტერნატიულ გზებს შემოქმედებითი ბუნების დავალების პროდუქტის შესაქმნელად.<br><br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია.** |

5. **მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს**

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | სკოლის დოკუმენტაციის გაცნობისა და ჩატარებული ინტერვიუს საფუძველზე იკვეთება, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;<br><br>საბუნებისმეტყველებო მეცნიერებების(ბუნებისმეტყველება,ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია) კურიკულუმებში კათედრის მიერ განსაზღვრულია დავალებები, შეფასების რუბრიკით, რაც პასუხობს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.<br><br>აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე; მეტაკოგნიური უნარების ხელშეწყობაზე.<br><br>ინტერვიუს დროს პედაგოგების მიერ აღინიშნა, რომ .სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამივე კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);<br><br>ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა ისაუბრეს აგრეთვე მათ მიერ დაგეგმილი დავალებებით |

| | |
|---|---|
| | სწავლა-სწავლებასა და დავალების პირობის სრულყოფაზე - ყველა კრიტერიუმის გათვალისწინებით, რაც ხელს უწყობს სწავლა-სწავლების პროცესის ეფექტიან წარმართვას.<br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია.** |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებიდან ჩანს, რომ ისინი იყენებენ მრავალფეროვან შეფასებას, მაგალითად არის როგორც განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, ისე განმასზღვრელი შეფასების რუბრიკები. იყენებენ SOLO ტაქსონომიაზე დაფუძნებულ შეფასებას. რამდენიმე კლასში არის მოცემული ცნებებზე დაფუძნებული განმავითარებელი და გამსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. უმჯობესი იქნებოდა ყველა საგანსა და ყველა კლასში შექმნილიყო სწორედ სამიზნე ცნებებზე ორიენტირებული შეფასების რუბრიკები.<br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია.** |
| უცხოური ენები | წარმოდგენილი შეაფსების რუბრიკების მიხედვით, შემიძ̣ია ავღნიშნო რომ მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს.<br><br>რჩევა: სასურველია შეფასების რუბრიკაში ნათლად ჩანდეს რომელ კონკრეტულ სამიზნე ცნებაზე გადის მოსწავლე შესასრულებელი დავალების მიხედვით.<br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია.** |
| ესთეტიკური აღზრდა | კათედრამ წარმოადგინა ზოგადი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებები,რომელსაც აქტიურად იყენებენ სწავლა-სწავლების პროცესში, მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ ისინი **დაწყებით** საფეხურზე განმავითარებელი შეფასებისთვის ხშირად გამოიყენებენ ისეთ საშუალებებს, როგორიცაა დაკვირვება, სიტყვიერი უკუკავშირი, რეკომენდაციები, თვითშეფასება და ურთიერთშეფასება ასევე თითოეულ მოსწავლესთვის ელექტრონულ ჟურნალში ასახავენ განმავითარებელი შეფასების კომენტარს, რომელთანაც წვდომა მოსწავლის მშობელს ან კანონიერ წარმოადგენელს აქვს. **საბაზო** საფეხურზე მუსიკასა და ხელოვნებაში წარმოდგენილია რამდენიმე განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება რომელიც შეესაბამება |

| | |
|---|---|
| | ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს. ასევე სკოლას აქვს წარმოდგენილი ვერიფიკაციის დოკუმენტი სადაც აღნიშნულია რომ სკოლა კათედრებზე შეიმუშავებს განმსაზღვრელ და განმავითარებელ რუბრიკებს.<br>**საშუალო** საფეხურზე მუსიკასა და ხელოვნებაში კათედრას აქვს წარმოდგენილი პროექტის შეფასების რუბრიკები.<br><br>**რჩევა:** სასურველია, კათედრამ შეიმუშავოს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა თითოეული თემის ფარგლებში, რომელიც ნათლად აჩვენებს კრიტერიუმებთან მიმართებით რამდენად დაძლია მოსწავლემ შედეგების მიღწევის ინდიკატორები გრძელვადიანი სამიზნე ცნებების მიხედვით. შეფასების რუბრიკების შედგენისას იხელმძღვანელონ შედეგების მიღწევის ზოგადი ინდიკატორებით .<br><br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია.** |
| სახელმწიფო ენა | კათედრა იყენებს როგორც განმავითარებელ, ასევე განმსაზღვრელ შეფასებებს. შეხვედრისას მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სწავლების პროცესში გამოიყენება განმავითარებელი შეფასების მრავალფეროვანი ინსტრუმენტები: გასასვლელი ბარათები, სამწუთიანი პაუზა, სოლო ტაქსონომიით შეფასება და სხვ. თუმცა თავდაპირველად წარმოდგენილ დოკუმენტაციაში არსებული რუბრიკები გრძელვადიან მიზნებს ნაკლებად ითვალისწინებდა. თუმცა შეხვედრის შემდეგ გადმოგზავნილ დამატებით მოთხოვნილ დოკუმენტაციაში კათედრამ წარმოადგინა ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან შესაბამისი, გაუმჯობესებული რუბრიკები.<br>**რჩევა:** სასურველია, სახელმწიფო ენაში კათედრამ კურიკულუმში გაწერილი კომპლექსური ბუნების დავალებებისთვის შექმნას მოსწავლეთა საჭიროებაზე მორგებული კონკრეტული დავალების განმავითარებელი შეფასების რუბრიკათა ბანკი. შეიმუშაოს კურიკულუმში გაწერილ დავალებებზე მორგებული რუბრიკები, რომლებშიც მკაფიოდ გამოიკვეთება კრიტერიუმების მიმართება სამიზნე ცნებებთან და გათვალისწინებული იქნება სტანდარტით მისაღწევი შედგები.<br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია.** |

| | |
|---|---|
| მათემატიკა | როგორც პირველად წარმოდგენილ დოკუმენტებში, ასევე დამატებით მოთხოვნილ დოკუმენტებშიც წარმოდგენილია მრავალფეროვანი შეფასების რუბრიკები, რომლებიც ეყრდნობა მათემატიკის საგნობრივი სტანდარტის თემების ფარგლებში მიღწევის ინდიკატორებს და მიემართება გრძელვადიან მიზნებზე. კათედრის წევრებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებენ მოსწავლეთა შეფასებას. დაადასტურეს მზაობა, მომავალშიც შეფასების რუბრიკების შემუშავებისას დაეყრდნობიან ესგ-ის მოთხოვნებს და შეფასების სისტემა დაეფუძნება შეფასების პრინციპებს, მიზნებს და ამოცანებს, და ამავე დროს გათვალისწინებული იქნება მათემატიკის საგნობრივი სტანდარტების მიღწევის შედეგები.<br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია.** |
| სპორტი | ფიზიკური აღზრდისა და სპორტის საგანში სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლეთა შეფასების ინსტრუმენტები. წარმოდგენილი შეფასების მასალების ანალიზმა აჩვენა, რომ შეფასების კრიტერიუმები და რუბრიკები ასახავს საგნობრივი უნარების შეფასების მცდელობას, თუმცა ცალკეულ შემთხვევებში საჭიროებს დაზუსტებასა და დახვეწას ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ შეფასების პრინციპებთან, მიზნებსა და ამოცანებთან უფრო სრული შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.<br><br>**რჩევა: სასურველია ფიზიკური აღზრდასა და სპორტში შეფასების სისტემის კომპლექსური გადახედვა სამივე საფეხურზე, რათა შეფასების ინსტრუმენტები, კრიტერიუმები და შეფასების პრაქტიკა მეტად ასახავდეს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ შეფასების პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.**<br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია .** |
| ტექნოლოგიები | მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. სკოლის მიერ წარმოდგენილია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც შეესაბამება სამიზნე ცნებებს და ორიენტირებულია გრძელვადიანი შედეგების მიღწევაზე. შეფასების სისტემა ვალიდურია, ვინაიდან რუბრიკის კრიტერიუმები პირდაპირ გამომდინარეობს კომპლექსური დავალების |

| | |
|---|---|
| | პირობიდან. მოსწავლისთვის წინასწარვე ცნობილია, თუ რა პარამეტრებით შეფასდება მისი შემოქმედებითი პროდუქტი (იქნება ეს Paint-ში ხატვა, კომიქსის შექმნა თუ PowerPoint-ის პრეზენტაცია), რაც უზრუნველყოფს საგაკვეთილო პროცესის გამჭვირვალობას. წარმოდგინილი მტკიცებულებებისა და დეტალური ანალიზის საფუძველზე, სკოლის მიერ შემუშავებული მოსწავლის შეფასების სისტემა სრულად შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. აღნიშნული ინდიკატორი სრულად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.<br><br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია.** |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | სკოლას წარმოდგენილი აქვს განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, ასევე შემოქმედებითი ბუნების დავალებების მიხედვით გაწერილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. წარმოდგენილი შეფასების რუბრიკების ნაწილი ზოგადი ხასიათისაა. მიზანშეწონილია ამ რუბრიკების კონკრეტულ საკითხებთან, თემებთან ან დავალებებთან შესაბამისობაში მოყვანა. რათა შეფასების კრიტერიუმები უფრო მკაფიოდ ასახავდეს კონკრეტული სასწავლო თემის ან დავალების ფარგლებში მისაღწევ შედეგებს. **რჩევა**- სასურველია ყველა საგანში, შეფასების რუბრიკებში რაიმე საკითხის/ კომპლექსური ტიპის დავალების/თემის/სასწავლო პროექტის/შემაჯამებელი დავალების შეფასებისას გაიწეროს კონკრეტული მოლოდინები/მიღწევის შედეგები თითოეულ სამიზნე ცნებასთან მიმართებით, სამიზნე ცნებაზე ორიენტირებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკები რათა მკაფიოდ გამოიკვეთოს კავშირი შუალედურ მიზანსა და გრძელვადიან მიზანს შორის. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.** |

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- ფიზიკური აღზრდა და სპორტის და ესთეტიკური აღზრდის კათედრის ოქმი
- კათედრის სხდომის ოქმები;
- საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კრიკულუმები.
- სააღმზრდელო 2025-2026

- სასკოლო სასწავლო გეგმა 2025-2026 გიმნაზია;
- ერთწლიანი სამოქმედო-სამოქმედო-გეგმა-2025-2026;
- სასკოლო კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია;
- 8-14 მათემატიკა;
- სასკოლო კურიკულუმი - დაწყებითი/საბაზო/საშუალო;
- დაწყებითი, საშუალო საბაზო საფეხურის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კურიკულუმები
- კურიკულუმის ჩარჩო მუსიკა/ სახვითი გამოყენებითი ხელოვნება
- სტატუსის მაძიელბლის სკოლის თვითშეფასების ფორმა.
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები და ნიმუშები;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

| *დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* | *საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* | *საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* |
|---|---|---|
| ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

## 2.2. კურიკულუმის განხორციელება

### 2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | სკოლის დოკუმენტაციის ანალიზისა და ჩატარებული ინტერვიუს საფუძველზე ცხადია, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად - სკოლის სამივე საფეხურზე.<br>სასკოლო კურიკულუმში STEM-ის მიმართულებით დისციპლინებში უზრუნველყოფილია სამიზნე ცნებების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისება<br><br>საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით თემებში მუშავდება სამიზნე ცნებები, კარგად ჩანს სამიზნე ცნებისა და საკითხის ფორმულირება, კურიკულუმის ჩარჩოების მიხედვით კათედრას აქვს მზაობა სასწავლო პროცესი წარმართოს სამიზნე ცნებისა და მკვიდრი წარმოდგენების გათავისების ხელშესაწყობად.<br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია.** |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | პედაგოგებთან დიალოგისას გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესში ისინი ითვალისწინებენ კურიკულუმით განსაზღვრულ საკითხებს.<br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია.** |
| უცხოური ენები | სასწავლო თუ საგაკვეთილო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმების შესაბამისად. რჩევა: სასურველია ზოგ კურიკულუმში შესასრულებელი დავალების კონკრეტიკა, ან დავალების პირობის აღწერა.<br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია.** |
| ესთეტიკური აღზრდა | სკოლის მიერ წარმოდგენილ **დაწყებითი** საფეხურის ხელოვნება I-VI) და **საბაზო** საფეხურის საგნობრივ ( მუსიკა/სახვითი და გამოყენებითი ჩარჩო კურიკულუმებში სასწავლო პროცესი მიემართება სტანდარტით განსაზღვრულ ორიენტირებს. სწავლა-სწავლების პროცესში მკაფიოდ ჩანს კავშირი სამიზნე ცნებას, თემატურ ბლოკებს, თემებს, შორის. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების და მუსიკის ჩარჩო კურიკულუმში სადაც შემოქმეებითი დავალება ხორციელდება, სწორად არის წარმოდგენილი შუალედური სასწავლო მიზნები, |

| | |
|---|---|
| | რომელიც აზუსტებს სამიზნე ცნენების ქვეცნებებს და მიემართება საგნობრივი საკითხის მრავალმხრივ გააზრებისკენ, უზრუნველყოფს მკვიდრი წარმოდგენების განზოგადებას. **საშუალო** საფეხურის კურიკულუმში ნათლად იკითხება,რომ პროექტული სწავლების ფარგლებში სასწავლო პროცესი შეესაბამება სასკოლო კურიკულუმის მოთხოვნებსა და მიზნებს. ინტერვიუზე კათედრის წევრებმა ისაუბრეს პროექტულ სწავლებაზე, განხორციელებულ პროექტებზე.<br>აღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით და ინდიკარტოთან შესაბამისობაშია,შესაბამისად სასწავლო პროცესი ხორციელდება დაგეგმილი სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად.<br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია.** |
| სახელმწიფო ენა | კომპლექსური დავალება, რომელიც ახლავს კურიკულუმის ჩარჩოს, შეესაბამება კურიკულუმში გაწერილ საკითხებს. ამასთან, დავალების პირობა კავშირშია მოსწავლის როლთან და სასწავლო შედეგებთან. კომპლექსური დავალება ან ნებისმიერი ტიპის შემ ოქმედებითი პროდუქტი შერჩეულია კურიკულუმში გაწერილი თემის შესაბამისად. დავალების იდეა ნათლადაა აღწერილი, რათა მოსწავლისთვის იყოს გასაგები. თუმცა კურიკულუმში სამიზნე ცნებები არ იყო დავალებების შესაბამისად დახარისხებული და ნაკლებად ჩანდა, რომელი ცნება მუშავდებოდა კონკრეტული დავალებით.<br>**რჩევა:** სასურველია, ყველა კლასის კურიკულუმში გაიწეროს იმ რაოდენობის კომპლექსური/შემოქმედებითი ტიპის დავალება, რამდენის განხორციელებაც შესაძლებელია დაგროვილი გამოცდილების გათვალისწინებით და ყველა ცნების დამუშავება მოხდეს სასწავლო წლის განმავლობაში.<br><br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია.** |
| მათემატიკა | წარმოდგენილი დოკუმენტების განხილვის შედეგად და კათედრის წევრებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია და ხორციელდება ერვნული სასწავლო გეგმის საგნობრივ სტანდარტებზე დაფუძნებით გრძელვადიან მიზნობრივ ორიენტირით შემუშავებულ და დამტკიცებული მათემატიკის კურიკულუმების შესაბამისად, სამიზნე ცნებებისა და თემის ფარგლებში შედეგის მიღწევის ინდიკატორების |

| | |
|---|---|
| | ორიენტირით. კათედრის წევრებმა საუბრისას გამოხატეს კიდეც მზაობა მომავალში სასწავლო პროცესი წარმართავენ შემუსავებული კურიკულუმების შესამაბისად.<br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია.** |
| სპორტი | კათედრის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მასწავლებლებთან ჩატარებული გასაუბრებების საფუძველზე იკვეთება, რომ სასწავლო პროცესი ხორციელდება შემუშავებული კურიკულუმის შესაბამისად, სადაც გაწერილი ფიზიკური აქტივობების განხორციელება უზრუნველყოფილია სკოლის სპორტული ინფრასტრუქტურისა და არსებული რესურსების გამოყენებით. გამოყენებული სწავლა-სწავლების პროცესში გამოყენებული აქტივობები მიმართულია სწავლის შედეგების გაუმჯობესებისკენ. აღნიშნული მიდგომა ხელს უწყობს მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას სასწავლო პროცესში, რაც მოიცავს როგორც თეორიული ცოდნის დაუფლებას, ისე პრაქტიკული სპორტული უნარების განვითარებას.<br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია .** |
| ტექნოლოგიები | სასკოლო კურიკულუმში და საგაკვეთილო პრაქტიკაში იდენტიფიცირებულია საგნის შვიდივე სავალდებულო ცნება. წარმოდგენილი დოკუმენტაცია და კომპლექსური დავალებების აღწერილობები ადასტურებს, რომ სკოლა მიჰყვება ესგ-სტრუქტურას. დავალებები აჩვენებს, რომ სწავლება ორიენტირებულია არა მხოლოდ თეორიულ ცოდნაზე, არამედ პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე, რაც ეროვნული სასწავლო გეგმის მთავარი პრიორიტეტია.<br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია.** |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებიდან დგინდება,რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის მიხედვით: საგნობრივ კურიკულუმებში გაწერილი თემატური ერთეულები და საკითხები შეესაბამება საგნობრივ სტანდარტებსა და მისაღწევ შედეგებს; აქტივობები და რესურსები შერჩეულია მოსწავლეთა ასაკის შესაბამისად;<br><br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია.** |

2. **სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე**

ა(ა)იპ მცხეთის წმინდა ათორმეტ მოციქულთა სახელობის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზია მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე. სკოლის ადმიანისტრაციასთან და მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე. მაგ.: საგაკვეთილო პროცესის უწყვეტობისთვის, შესაძლოა, ერთი მასწავლებელი არ ყოფნის შემთხვევაში ჩაანაცვლოს სხვა მასწავლებელმა.მაგალითად, როგორ შეიძლება იმართოს სასკოლო კალენდარი იმ შემთხვევაში თუ კალენდრის განსაზღვრული სასწავლო დღეები დაირღვევა. აღნიშნულის შესახებ სკოლას ჩანაწერი აქვს შინაგანაწესში.

3. **შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი**

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით ჩანს, რომ სკოლაში (სამივე საფეხურზე) ჩამოყალიბებულია ობიექტური და გამჭვირვალე შეფასების სისტემა, როგორც საკლასო, ისე სასკოლო დონეზე, რომელიც შესაბამისობაშია ეროვნულ სასწავლო გეგმასთან და ორიენტირებულია მოსწავლის ინდივიდუალურ წინსვლასა და განვითარებაზე.<br><br>განსაკუთრებით მნიშვნელოვანია განმავითარებელი შეფასება, რომელიც საშუალებას აძლევს მასწავლებელს ქონდეს ინფორმაცია მოსწავლის პროგრესის შესახებ სწავლის პროცესში, ასევე მოსწავლეს აძლევს საშუალებას დაფიქრდეს თავის სწავლის-სწავლაზე და გააუმჯობესოს მიღწეევები.<br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია.** |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | სკოლის მიერ წარმოდგენილია მრავალფეროვანი შეფასების რუბრიკები. ისინი ნამდვილადაა ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი.<br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია.** |
| უცხოური ენები | შეფასების სისტება არის ვალიდული, გამჭვირვალე, სანდო და ობიექტური, სამართლიანი. წარმოდგენილი შეფასების რუბრიკების მიხედვით, შემაჯამებელი შეფასების ვერიფიკაციის |

| | |
|---|---|
| | ანგარიშების მიხედვით.<br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია.** |
| ესთეტიკური აღზრდა | სკოლის მიერ გადმოგზავნი დოკუმენტაციაში, სადაც არის წარმოდგენილი ორივე საგნის **დაწყებითი** და **საბაზო** საფეხურის ზოგადი განმავითარებელი შეფასების და განმსაზღვრელი რუბრიკები, თვითშფასების დოკუმენტი და ვერიფიკაციის დოკუმენტი,ასევე მასწავლებლებთან საუბრის დროს ნათალად ჩანს რომ შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, ობიექტური, სამართლიანი, მოსწავლეები წინასწარ ეცნობიან შეფასების რებურიკებს, ასევე მათ ინდივიდუალურად ეძლევათ განმავითარებელი შეფასების დროს კომენტარები რომლებიც ორიენტირებულია მოსწავლის პროგრესზე. **საშუალო** საფეხურზე კათედრის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკების საფუძველზე შეიძლება ითქვას,რომ შეფასების სისტემა არის ვალიდური,გამჭირვალე,სანდო და ობიექტური.<br><br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია.** |
| სახელმწიფო ენა | იყენებენ განმსაზღვრელ და განმავითარებელ შეფასებებს, რომლებიც მოსწავლეთა შედეგების გაუმჯობესებას ემსახურება. შემუშავებული აქვთ სხვადასხვა აქტივობის შესაფასებელი რუბრიკები, შემაჯამებელი დავალების რუბრიკები.<br>**რჩევა:** სასურველია, შექმნან კონკრეტულ დავალებაზე მორგებული რუბრიკები, რომლებშიც მკაფიოდ გამოიკვეთება კრიტერიუმების მიმართება სამიზნე ცნებებთან, მკვიდრ წარმოდგენებთან და შესაბამის ინდიკატორებთან, რათა შეფასება იყო მკაფიო და ვალიდური.<br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია.** |
| მათემატიკა | როგორც პირველად წარმოდგენილ ასევე დამატებით მოთხოვნილ დოკუმენტებში გიმნაზიამ წარმოადგინა მრავალფეროვანი შეფასების რუბრიკები, რომლის შემუშავება დაფუძნებულია მათემატიკის საგნობრივ სტანდარტებში მიღწევის ინდიკატორებზე, რაც ადასტურებს მის ვალიდურობას. სანდოა, რადგან გასაზომი კრიტერიუმებია წარმოდგენილი, სამართლიანია, რადგან შეფასება დამოკიდებულია ობიექტურ შეფასების სისტემაზე. გამჭირვალეა, რადგან მოსწავლეებისათვის წინასწარ ცნობილია |

| | |
|---|---|
| | კრიტერიუმები, რაც დადასტურდა კათედრის წევრებთან გასაუბრების დროს და განმტკიცებულია წარმოდგენილი რუბრიკებით.<br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია.** |
| სპორტი | კათედრის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკებისა და გასაუბრების საფუძველზე იკვეთება, რომ სკოლაში შეფასების სისტემა ეფუძნება წინასწარ განსაზღვრულ კრიტერიუმებს, რომლებიც დაკავშირებულია მოსწავლის პრაქტიკულ უნარებსა და სასწავლო შედეგებთან. შეფასების პროცესი არის ორგანიზებული და მოსწავლეები წინასწარ ფლობენ ინფორმაციას შეფასების მოთხოვნების შესახებ, რაც ხელს უწყობს შეფასების პროცესის გამჭვირვალობას. გამოყენებული მიდგომები ხელს უწყობს მოსწავლეთა მიღწევების ობიექტურად დაფიქსირებას და შეფასების პროცესის თანმიმდევრულ წარმართვას.<br><br>**რჩევა: სასურველია მოხდეს შეფასების რუბრიკების შემდგომი განვითარება განმავითარებელი შეფასების კომპონენტების გაძლიერების მიმართულებით, რათა კიდევ უფრო გამოკვეთილად გაძლიერდეს შეფასების პროცესის ვალიდურობა, სანდოობა და შეფასების კრიტერიუმების ერთგვაროვნება საგნობრივ შედეგებთან მიმართებით.**<br><br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია .** |
| ტექნოლოგიები | შეფასების პროცესის გამჭვირვალობა უზრუნველყოფილია მოსწავლეთათვის შეფასების კრიტერიუმების, მიზნებისა და მოსალოდნელი შედეგების წინასწარი გაცნობით. აღნიშნული პრაქტიკა ხელს უწყობს მოსწავლეთა ჩართულობის ზრდას და სამართლიანი საგანმანათლებლო გარემოს ჩამოყალიბებას. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია ადასტურებს შეფასების მექანიზმების რეალიზაციასა და შეფასების რუბრიკების პრაქტიკაში გამოყენების ეფექტიანობას. გარდა ამისა, მოქმედებს შეფასების სისტემის მონიტორინგის მექანიზმი, რაც უზრუნველყოფს სისტემის სანდოობასა და ვალიდურობას. მკაფიოდ ჩამოყალიბებული კრიტერიუმები კი ეხმარება სასწავლო პროცესის მონაწილეებს შეფასების პროცესისა და მიღებული შედეგების ობიექტურ აღქმაში. წარმოდგენილი დოკუმენტები წარმოადგენს მყარ მტკიცებულებას იმისა, რომ სკოლა პასუხისმგებლობით ეკიდება მოსწავლეთა შეფასების პროცესს. |

| | |
|---|---|
| | **ინდიკატორი შესაბამისობაშია.** |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | მასწავლებლებთან ინტერვიუსას გამოიკვეთა, რომ გაკვეთილზე განხორციელებული ცალკეული აქტივობები შესაბამისი კრიტერიუმით ფასდება, რომელებზეც მოსწავლეები წინასწარ არიან ინფორმირებულნი. აქედან გამომდინარე დგინდება, რომ შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო და ობიექტური. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.** |

4. **სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი**

ა(ა)იპ -მცხეთის წმინდა ათორმეტ მოციქულთა სახელობის მართლმადიდებლურ სკოლა -გიმნაზიაში სკოლის დირექტორის 2024 წლის 28 ივნისის ბრძანება N 2/ს -24-15 დამტკიცებულია შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს შეფასების პროცესის ვალიდურობას, გამჭვირვალობას, სანდოობას, ობიექტურობას და სამართლიანობას. ამ დოკუმენტის მიხედვით, სკოლაში ვერიფიკაცია მიმდინარეობს სამი მიმართულებით : ა) შეფასების ინსტრუმენტების ვერიფიკაცია, ბ) შეფასების პროცესის ვერიფიკაცია, გ) შეფასების მტკიცებულებების ვერიფიკაცია. სკოლას ასევე წარმოდგენილი აქვს ბრძანებით (№ი 2/ს-33-01) დამტკიცებული ა(ა)იპ მცხეთის წმიწდა ათორმეტ მოციქულთა სახელობის მართლმადიდებლური საშუალო სკოლის შეფასების სისტემის ვერიფიკაციის ჯგუფი. სკოლას ჩატარებული აქვს ვერიფიკაცია უცხო ენებში და წარმოდგენილი აქვს შემაჯამებელი შეფასების ვერიფიკაციის ანგარიშები.
**ინდიკატორი შესაბამისობაშია**

5. **სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით**

ა(ა)იპ მცხეთის წმინდა ათორმეტ მოციქულთა სახელობის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზიაში მოსწავლეთა შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების აღრიცხვა და შენახვა ხდება 3 წლის განმავლობაში. მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების შედეგები ასახულია მათ პირად საქმეებში, ასევე, მათი ნამუშევრები ინახება საკლასო ოთახებშიც, აკადემიური მიღწევები აისახება მოსწავლის პირად საქმეში, რომელიც ინახება სკოლაში კანონმდებლობით დადგენილი ვადით.
**ინდიკატორი შესაბამისობაშია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კრიკულუმები
- სააღმზრდელო 2025-2026
- სასკოლო კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია
- 8-14 მათემატიკა
- სასკოლო კურიკულუმი - დაწყებითი/საბაზო/საშუალო
- დაწყებითი, საშუალო საბაზო საფეხურის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კურიკულუმები
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები
- ფიზიკური აღზრდა და სპორტის და ესთეტიკური აღზრდის კათედრის ოქმი
- შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი
- ვერიფიკაციის სამოქმედო გეგმა
- განხორციელებული ვერიფიკაციის ამსახველი მასალები/ანგარიშები
- ბრძანება ვერიფიკატორთა ჯგუფის შესახებ
- მოსწავლეთა შეფასებების ამსახველი მასალა
- მოსწავლეთა ნამუშევრები
- განხორციელებული პროექტები
- კათედრის სხდომის ოქმები.

**2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში - სკოლის სამივე საფეხურზე, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ეფექტიანობას, გამოიყენება გრიფირებული სახელმძღვანელოები, სხვადასხვა ტიპის თვალსაჩინეობა, ონლაინ რესურსი. ტელესკოლის გაკვეთილები. |

| | |
|---|---|
| | **ინდიკატორი შესაბამისობაშია.** |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | პედაგოგებთან საუბრისას გამოიკვეთა, რომ ისინი საგაკვეთილო პროცესი იყენებენ კურიკულუმით განსაზღვრულ ძირითად და დამხმარე სასწავლო რესურსებს. მათ აღნიშნეს, რომ სკოლაში ნამდვილადაა ამის შესაძლებლობა, ყველანაირი პირობა აქვთ ამისთვის შექმნილი.<br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია.** |
| უცხოური ენები | სკოლაში საგაკვეთილო პროცესებშ გამოიყენება ის ძირითადი და დმახმარე რესურსი რაც კურიკულუმის მიხედვით არის გაწერილი.<br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია.** |
| ესთეტიკური აღზრდა | მუსიკასა და ხელოვნებაში სკოლის მიერ გამოყენებული სამივე საფეხურზე ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსები შეესაბამება და ხელს შეუწყობს მოსწავლეებს მასალის გააზრებაში. კურიკულუმებში ასახულია როგორც ძირითადი, აგრეთვე დამხმარე საგანმანათლებლო რესურსები, რაც უზრუნველყოფს საფეხურების ფარგლებში სტანდარტებით განსაზღვრული მიზნების და შედეგების მიღწევას. სასკოლო კურიკულუმებში ასახულია სასწავლო რესურსების გამოყენება. ეს რესურსები ყველა კლასისთვის ძირიდათად გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოებია. სკოლა ასევე იყენებს დამხმარე სასწავლო რესურსს, ხელოვნების კურიკულუმში ჩაშენებულია ელექტრონული რესურსებიც, ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ აქვთ საკუთარი ხელით შექმნილი რესურსებიც.<br><br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია.** |
| სახელმწიფო ენა | სასწავლო პროცესში კათედრა იყენებს გრიფირებულ სახელმძღვანელოებს, ასევე ელექტრონულ რესურსებს ფილმებს, იუთუბს, დამხმარე ლიტერატურას.<br>**რჩევა:** სასურველია, გამოიყენებული მრავალფეროვანი, დამხმარე, მატერიალური და ელექტრონული რესურსები და რესურსების გვერდები თუ მისამართები სწორად იქნეს გაწერილი შესაბამის სვეტში. |

| | |
|---|---|
| | **ინდიკატორი შესაბამისობაშია.** |
| მათემატიკა | მათემატიკის საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილია თითოეული თემის დამუშავების ფარგლებში სწავლის და სწავლების მიზნის შესაბამისი საგანმანათლებლო როგორც გრიფმინიჭებული სახელმძღვნელოები, ასევე სხვადასხვა საგანმანათლებლო რესურსი, სწავლების დროს იყენებენ იყენებენ სხვადასხვას საგანმანთლებლო პლათფორმებსაც რაც დაადასტურა კათედრის წევრებმა გასაუბრების დროს.<br>**რჩევა:**<br>**მიზანშეწონილია საკითხები, რომელიც წარმდგენილია კურიკულუმში სახელმძღვანელოს შესაბამისად, მიეთითოს შესაბამისი გვერდები სახელმძღვანელოდან, ელექტრონულ რესურსებს კი, ბმულები თავისი სახელწოდებით.**<br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია.** |
| სპორტი | სასწავლო პროცესი ეყრდნობა კურიკულუმში გაწერილ რესურსებს, რომელიც შერჩეულია კონკრეტული თემებისა და შემოქმედებითი ტიპის დავალებების სპეციფიკის გათვალისწინებით. ძირითადი და დამხმარე რესურსების ერთობლიობა ხელს უწყობს სწავლების ხარისხის ამაღლებას და მოსწავლეებისთვის საგნის მიმართ ინტერესის გაღვივებას.<br><br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია .** |
| ტექნოლოგიები | დაწყებით საფეხურზე, საგნის „კომპიუტერული ტექნოლოგიები“- კურიკულუმის ჩარჩო (II-VI კლასები) მრავალფეროვან სასწავლო რესურსებს მოიცავს. აღნიშნული რესურსები უზრუნველყოფს მოსწავლეთა მიერ კურიკულუმით განსაზღვრული შედეგების ეფექტიან მიღწევას. ჩარჩოში მითითებული სხვადასხვა ელექტრონული სასწავლო პლატფორმის ბმული ხაზს უსვამს სასწავლო პროცესის მრავალფეროვნებას.<br><br>**რჩევა: სასურველია, სამიზნე ცნებაზე - „ციფრული მოქალაქეობა“ - მუშაობისას გამოყენებულ იქნას რესურსი: „ინტერნეტში უსაფრთხოების გზამკვლევი ბავშვებისათვის“. იგი მოიცავს** |

| | |
|---|---|
| | **ინტერნეტის უსაფრთხო გამოყენების წესებსა და რეკომენდაციებს, რომლებიც ადაპტირებულია კონკრეტული ასაკობრივი ჯგუფების გათვალისწინებით.**<br><br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია.** |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | სკოლას ძირითად სასწავლო რესურსად განსაზღვრული აქვს გრიფირებული სახელმძღვანელოები. სასწავლო პროცესში კათედრა ასევე იყენებს დამატებით სახელმძღვანელოებს, ინტერვიუსას გამოიკვეთა რომ იყენებენ სხვადასხვა რესურსებს.<br>**რჩევა** - სასურველია დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში სრულად შეიტანონ ის სასწავლო რესურსები, რასაც იყენებენ, მაგალითად საჭირო მატერიალური რესურსები; ელ.ბმულები.<br><br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია.** |

2. **სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას**

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლა აჩვენებს, რომ სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე რესურსების გამოყენებას.<br><br>მაგალითად: ტელესკოლის გაკვეთილებს, ვირტუალურ ლაბორატორიებს, ანიმაციებს (სკოლის სამივე საფეხურზე), სკოლაში ფუნქციონირებს მდგრადი განვითრების წრე, რაც უზრუნველყოფს არაფორმალური მიმართულებით სხვადასხვა ტიპის აქტივობებს.<br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია.** |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაციას, კათედრის მიერ შეირჩევა სასწავლო რესურსები. მასწავლებლები ითვალისწინებენ მოსწავლეთა საჭიროებებს, იმას, თუ სასწავლო რესურსები რამდენად შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს და ამის შემდეგ ირჩევენ მათ. |

| | |
|---|---|
| | **ინდიკატორი შესაბამისობაშია.** |
| უცხოური ენები | სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე რესურსის ვალიდაციას. მასწავლებლები იყენებენ შესაბამის რესურსებს.<br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია.** |
| ესთეტიკური აღზრდა | **დაწყებითი** I-IVკლასების, **საბაზო და საშუალო** საფეხურის (მუსიკა და ხელოვნება), საგნობრივ კათედრებზე შერჩეულ დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაციას სკოლა თავად უზრუნველყოფს მაწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ კათედრაზე რესურსების შერჩევა და გამოყენება ხდება ეროვნული სასწავლო გეგმისა და სასკოლო კურიკულუმის მიზნებთან შესაბამისობის პრინციპით.<br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია.** |
| სახელმწიფო ენა | კათედრა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში რესურსების გამოყენებას ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით, ეს სასწავლო რესურსები კათედრის სხდომაზე განიხილება და მტკიცდება. იგულისხმება ძირითად გრიფირებული სახელმძღვანელოები, სხვა ვიდეო და ელექტრორესურსებიც. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სასწავლო წლის დასასრულს, კათედრაზე აანალიზებენ და ერთმანეთთან შეთანხმებით არჩევენ ისეთ სასწავლო რესურსებს, რომლებიც არის სანდო და ვალიდური.<br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია.** |
| მათემატიკა | კათედრის წევრებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ ძირითადად სარგებლობენ გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოებით, მაგრამ სასწავლო პროცესში აქტიურად გამოიყენებენ სხვადასხვა დამხმარე რესურსებს, რომლის ვალიდაციას განახორციელებენ კათედრაზე, რამდენადაა ეს თუ ის რესურსი ესგ-ით მათემატიკის საგნობრივი სტანდარტით განსაზღრულ მოთხოვნების შესაბამისი, დაეხმარება თუ არა მოსწავლეს სტანდარტში წარმოდგენილი მიზნების მიღწევაში და დააკმაყოფილებს თუ არა მოთხოვნებს. ზემოთქმული კი დასტურდება სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებითაც.<br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია.** |

| | |
|---|---|
| სპორტი | დამხმარე სასწავლო რესურსების გადამოწმება და ვალიდაცია ხდება საგნობრივ კათედრაზე, სკოლაში არსებული შიდა რეგულაციების მიხედვით. კათედრის წევრები ერთობლივად აფასებენ შერჩეული მასალების ვარგისიანობას, რაც გარანტიაა იმისა, რომ სასწავლო პროცესში მხოლოდ ხარისხიანი და სათანადო რესურსები იქნება გამოყენებული<br><br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია.** |
| ტექნოლოგიები | დამხმარე სასწავლო რესურსების შერჩევა ხდება სასწავლო მიზნებიდან გამომდინარე, კურიკულუმით განსაზღვრული პროცესის შესაბამისად. დაწყებით საფეხურზე, საგნისთვის „კომპიუტერული ტექნოლოგიები“ - შერჩეული რესურსი (school.emis.ge) ვალიდურია და სრულად შეესაბამება დასახულ მიზნებსა და საგნობრივ სტანდარტს. აღნიშნული პლატფორმა რეკომენდებულია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ და ხელს უწყობს მოსწავლეებს კურიკულუმით განსაზღვრული შედეგების მიღწევაში. მასწავლებლის მიერ შერჩეული დამხმარე რესურსები განიხილა საგნობრივმა კათედრამ, შეამოწმა მათი შესაბამისობა ესგ-სთან და ოქმით დაადასტურა მათი გამოყენება სასწავლო პროცესში.<br><br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია.** |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | მასწავლებლებთან ინტერვიუსას გამოიკვეთა, რომ დამხმარე სასწავლო რესურსების შერჩევის საკითხის განხილვა ხორციელდება კათედრის შეხვედრებზე. გამოიყენება ის მასალები, რომლებიც შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტებს, ასაკობრივ თავისებურებებსა და სწავლების მიზნებს.<br><br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია.** |

3. **კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა.

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | სკოლას გააჩნია საბუნებისმეტყველო მიმართულებით ახალი ლაბორატორიული აღჭურვილობა, ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის მიმართულებით, აქვთ საჭირო პრეპარატები. ლაბორატორია პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს და აღჭურვილია ყველა სახის პრეპარატით.<br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია.** |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | როგორც პედაგოგებთან გასაუბრებისას გაირკვა, სკოლაში ნამდვილადაა შესაძლებელი კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა შესაბამისი მატერიალური რესურსით, ყველა მოსწავლეს აქვს წვდომა საჭირო რესურსზე.<br><br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია.** |
| უცხოური ენები | სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ზღვრული რაოდენნობის გათვალისწინებით კურუკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით.<br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია.** |
| ესთეტიკური აღზრდა | სასკოლო დოკუმენტაციის შესწავლის და მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსებით, შესაბამისი სასკოლო სივრცით, ოთახები სასკოლო აქტივობებისათვის აუცილებელი რესურსებით არის აღჭურვილი. მოსწავლეებს შეუძლიათ საკუთარი ინტერესების შესაბამისად გამოიყენონ რესურსები. პედაგოგებთან საუბრისას გამოიკვეთა, რომ სკოლაში შესაძლებელია პრაქტიკული აქტივობების ჩატარება მუსიკასა და ხელოვნებაში, მასწავლებლები სამივე საფეხურის გაკვეთილებზე იყენებენ ვიდეო რესურსებს, მუსიკალურ ინსტრუმენტებს, რაც უზრუნველყოფს კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. |

| | |
|---|---|
| | **ინდიკატორი შესაბამისობაშია.** |
| სახელმწიფო ენა | კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად სკოლას აქვს შესაბამისი ინფრასტრუქტურა და ზრუნავს მის კიდევ უფრო მეტად დახვეწაზე.<br><br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია.** |
| მათემატიკა | სკოლა აქვს მატერიალური რესურსი, მოსწავლეთა ადგილების ზღრული რაოდენობის გათვალისწინებით და უზრუნველყოფს თითოეული მოსწავლის საჭირო რესურსებზე წდომას. სკოლაში არის საკმარისი რაოდენობის მაგიდები, სკამები, დაფები, კომპიუტერები, თვალსაჩინოებები  და ა შ, რომელთა გამოყენებითაც უზრუნველყოფილია კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა, რაც წარმოდგენილია სკოლის მიერ შესაბამისი დოკუმენტებით და დასტურდება  კათედრის წევრებმა გასაუბრების დროსაც.<br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია.** |
| სპორტი | კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით. სკოლის სპორტული ინფრასტრუქტურა დამაკმაყოფილებელია და პასუხობს საგნობრივი სტანდარტების მოთხოვნებს. სასწავლო გარემო მოწყობილია მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით, რაც ხელს უწყობს მოსწავლის ფიზიკურ განვითარებასა და პიროვნულ ზრდას.<br>**ინდიკატორი  შესაბამისობაშია.** |
| ტექნოლოგიები | სკოლას გააჩნია საკმარისი მატერიალური რესურსი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით. სკოლაში ფუნქციონირებს კომპიუტერული ლაბორატორია. არსებული კომპიუტერული მოწყობილობების რაოდენობა სრულ შესაბამისობაშია კლასებში მოსწავლეთა რაოდენობასთან. სკოლა უზრუნველყოფილია სტაბილური ინტერნეტით. |

| | |
|---|---|
| | **ინდიკატორი შესაბამისობაშია.** |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | სწავლის შედეგების მიღწევისთვის მნიშვნელოვანია მატერიალური რესურსები, კურიკულუმებში ჩანს, რომ აქტიურად იყენებენ ელ.რესურსებს, პედაგოგებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესის ეფექტიანად წარმართვა და კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსებითა და მოსწავლეთა რაოდენობის შესაბამისი კლასის ინფრასტრუქტურით.<br>**რჩევა**: სასურველია სკოლამ კიდევ უფრო მეტად ასახოს იმ მრავალფეროვან რესურსთა ჩამონათვალი, რომლებსაც იყენებენ სასწავლო პროცესში ( რაც  დაადასტურეს ინტერვიუს დრო)<br><br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია.** |

4. **სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი**

მცხეთის წმინდა ათორმეტ მოციქულთა სახელობის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზიას ჰყავს 38 თანამშრომელი. აქედან - 22 უფროსი, 1 წამყვანი, 2 მოწვეული მასწავლებელი (ფიზიკა (6 სთ) , სპორტი)
დოკუმენტში - მასწავლებლის, ადმინისტრაციის, ტექნიკური/დამხმარე პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, შერჩევისა დასაქმებული პერსონალი (გარდა 1 მოწვეული მასწავლებლისა) არის დაკავებული პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე, რაც დასტურდება კვალიფიკაციის ამსახველი შესაბამისი დოკუმენტაცია eSchool-ის ბაზაში და მატერიალური ფორმით მასწავლებლის პირადი საქმით.
სკოლა-გიმნაზიის მოწვეული მასწავლებელი დასაქმებულია სპორტის მასწავლებლის პოზიციაზე საბაზო და საშუალო საფეხურებზე და მისი საათობრივი დატვირთვა აღემატება 9 საათს. პედაგოგი არ არის სერტიფიცირებული, თუმც, როგორც სკოლის წარმომადგენლებმა აღნიშნეს (და წარმოადგინეს შესაბამისი მტკიცებულებაც) დარეგისტრირებულია სპორტის მასწავლებლის გამოცდაზე სერტიფიცირების მიზნით. სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციაზე წარმოადგინა მტკიცებულება სპორტის მასწავლებლის პოზიციაზე გამოცხადებული ვაკანსიის თაობაზე. <u>დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია:</u>

შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (2026 წლის 1 სექტემბერი) უზრუნველყოს სკოლის საბაზო და საშუალო საფეხურები სპორტში კვალიფიციური კადრით. **ინდიკატორი მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- საბუნებისმეტყველო  მეცნიერებების კურიკულუმები
- საბუნებისმეტყველო მიმართულებით ლაბორატორიული აღჭურვილობა
- სასკოლო სასწავლო გეგმა 2025-2026 გიმნაზია
- ერთწლიანი სამოქმედო-სამოქმედო-გეგმა-2025-2026
- სასკოლო კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია
- 8-14  მათემატიკა
- სასკოლო კურიკულუმი - დაწყებითი/საბაზო/საშუალო
- მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა
- დაწყებითი, საშუალო საბაზო საფეხურის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კურიკულუმები

- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები
- ფიზიკური აღზრდა და სპორტის და ესთეტიკური აღზრდის კათედრის ოქმი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

| *დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* | *საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* | *საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* |
|---|---|---|
| ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

**2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება**

**2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად**
   **ა(ა)იპ მცხეთის წმინდა ათორმეტ მოციქულთა სახელობის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზიაში** კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად.

სკოლას შემუშავებული აქვს კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, რომელშიც გაწერილია კურიკულუმის კურიკულუმის განხორციელების მონიტორინგის და შეფასების პროცესი. კვლევა და შეფასება სკოლაში რამდენიმე მიმართულებით ტარდება, მათ შორის, მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება ეროვნულ სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით , ასევე  სკოლის ბაზაზე მასწავლებლის პროფესიული განვითარების კუთხით. სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის მეთიდოლოგიის მიხედვით და სასკოლო საზოგადოებასთან ინტერვიუს პროცესში გამოვლინდა, რომ  სკოლა მონიტორინგის საშუალებად  იყენებს მასწავლებელთა ურთიერთდასწრებას, შესაბამის ანგარიშებს, ასევე, მასწავლებელთა რეფლექსიებს, სკოლაში ხდება მოსწავლეთა შედეგების დიაგნოსტირება, ასევე, სკოლა იკვლევს და დგამს ქმედით ნაბიჯებს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების საჭიროებათა მიმართულებით.სკოლაში კეთდება შემაჯამებლების ანალიზი , კათედრის სხდომებზე ხდება კურიკულუმების განხილვა. აღნიშნული პროცესის შესაბამისად, სკოლამ მტკიცებულებად წარმოადგინა ოქმები, მონიტორინგის ანგარიში და  სხვა შესაბამისი დოკუმენტაცია. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. **მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას**

ა(ა)იპ მცხეთის წმინდა ათორმეტ მოციქულთა სახელობის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზიაში კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას. სასკოლო საზოგადოებასთან ინტერვიუს

პროცესში, ასევე, სკოლის მიერ გაზიარებული დოკუმენტაციის შესწავლისას,გამოიკვეთა, რომ სკოლაში მიმდინარეობს სასწავლო პროცესზე დაკვირვება, წინა სასწავლო წლის შედეგების გაანალიზება, მასწავლებელთა ანგარიშების ანალიზი, მოსწავლეთა შეფასებების ანალიზი, კათედრის სხდომებზე ხდება კურიკულუმების განხილვა. სკოლას წესად აქვს სასკოლო საზოგადების წევრთაგან უკუკავშირის მიღება და საჭიროებების დადგენა, ამის შემდეგ კი უკვე გამოვლენილი შედეგების გათვალისწინებით შემდგომი ნაბიჯების გადადგმა სწავლა-სწავლების პროცესის ეფექტიანად წარმართვისთვის. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. **მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას**

**ა(ა)იპ მცხეთის წმინდა ათორმეტ მოციქულთა სახელობის მართლმადიდებლურ სკოლა-გიმნაზიაში** კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას. მოსწავლეებთან, მშობლებთან და მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუს საფუძველზე ,ასევე,სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისას, გამოვლინდა ,რომ სკოლა მუდმივად ცდილობს გამოიკვლიოს საკუთარი გამოწვევები , იკვლევს თუ რამდენად მიმდინარეობს პროცესები დაგეგმილის შესაბამისად და მიღებული შედეგებიდან გამომდინარე იღებს შესაბამის ზომებს.მასწავლებლები მუდმივად ესწრებიან ერთმანეთს გაკვეთილზე, შემდეგ განიხილავენ უკუკავშირს, ტარდება კათედრის სხდომები, სადაც ასევე მსგავს აქტუალურ საკითხებს განიხილავენ. სკოლაში არსებობს ე.წ."კრიტიკული მეგობრის" ინსტიტუტი, რაც მათ კიდევ უფრო ეხმარებათ გაუზიარონ ერთმანეთს არსებული გამოწვევების შესახებ ინფორმაცია და მიიღონ მხარდაჭერა კოლეგებისგან.
**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- შიდა სასკოლო მონიტორინგის გეგმა
- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია
- კათედრის სხდომის ოქმები
- შეფასების რუბრიკები
- მონიტორინგის ანგარიში
- პედსაბჭოს ოქმი
- „კრიტიკული მეგობრის“ დაკვირვების ფურცელი
- მასწავლებლის პორტფოლიო

- მასწავლებლის თვითშეფასება
- დამრიგებლის პორტფოლიო

**2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
**1.შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს**

**ა(ა)იპ მცხეთის წმინდა ათორმეტ მოციქულთა სახელობის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზიაში** სასწავლო პროცესის შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს. კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით, სკოლაში სასწავლო პროცესის შეფასებისას აქცენტი კეთდება იმაზე თუ რამდენად მიმდინარეობს პროცესები დაგეგმილის შესაბამისად, და რამდენად იძლევა განხორციელებული აქტივობები სასურველ შედეგს. იმისთვის, რომ აღნიშნული პროცესები განხორციელედეს სკოლაში, მასწავლებლები იყენებენ სხვადასხვა მეთოდს.მასწავლებლებთან,მშობლებთან და მოსწავლეებთან ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა,რომ სკოლაში ხშირად განიხილავენ მოსწავლეთა სწავლა- სწავლების პროცესთან დაკავშირებულ საკითხებს, თუნდაც, მაგალითად რამდენად მიდის პროცესი დაგეგმილის შესაბამისად,ან რაც დაიგეგმა, რამდენად ეფექტური აღმოჩნდა.რამდენად გაართვეს მოსწავლეებმა თავი კონკრეტულ აქტივობებს,რა ინტერესები აქვთ, რა გამოწვევებს აწყდებიან და როგორ გაუმკლავდნენ მათ. და ა.შ. აღსანიშნავია, რომ სკოლას ჰყავს მოძღვარი, რომელიც სასკოლო საზოგადოების თითოეულ წარმომადგენელთან ერთად განიხილავს არსებულ გამოწვევებს და ეხმარება მათთან გამკლავებაში. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
**2.შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით**

ა(ა)იპ მცხეთის წმინდა ათორმეტ მოციქულთა სახელობის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზიაში შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით. სასკოლო საზოგადოებასთან ინტერვიუს პროცესში, გამოიკვეთა რომ სკოლა ინტერესდება მოსწავლეთა ფსიქო-ემოციური მდგომარეობით, ხშირად ხდება მშობლებთან,მოსწავლეებთან შეხვედრა,საჭიროებების კვლევა,სკოლას ჰყავს მოძღვარი,რომელიც მოსწავლეებს,მშობლებს,მასწავლებლებს ეხმარება სხვადასხვა გამოწვევებთან გამკლავებაში. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

**3.შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები**

ა(ა)იპ მცხეთის წმინდა ათორმეტ მოციქულთა სახელობის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზიაში სკოლაში სასწავლო პროცესის შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები. მასწავლებლებთან,მშობლებთან და მოსწავლეებთან ინტერვიუს პროცესში და სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტის მიხედვით, გამოიკვეთა,რომ სკოლაში ხშირად ხდება მასწავლებელთა ურთერთდასწრება, კათედრის სხდომებზე მოსწავლეთა მიღწევების შედეგების ანალიზი,მოსწავლეთა უკუკავშირის მიღება სადამრიგებლო საათებზე,რომლებიც ყოველკვირეულად იმართება, და მშობლებთან შეხვედრა საჭიროებისამებრ. სკოლა ახორციელებს სასკოლო საზოგადოების წევრთა გამოკითხვას ,იღებს მათგან უკუკავშირს სხვადასხვა ფორმით,და ახდენს მოცემული მდგომარეობის ანალიზს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

**4.შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით**

ა(ა)იპ მცხეთის წმინდა ათორმეტ მოციქულთა სახელობის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზიაში სასწავლო პროცესის შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით. მასწავლებლებთან ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა რომ სკოლაში ხშირად აკეთებენ თვითრეფლექსიებს, ხდება ურთიერთდასწრება და ერთმანეთში განიხილავენ უკუკავშირს,ასევე, მშობლებთან და მოსწავლეებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა რომ, სკოლაში ითვალისწინებენ მოსწავლეთა საჭიროებებს, იკვლევენ სწავლა -სწავლების პროცესში გამოკვეთილ პრობლემებს. სკოლაში აქტიური კომუნიკაცია და მჭიდრო თანამშრომლობაა სასკოლო საზოგადოების თითოეულ რგოლს შორის. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სასკოლო კურუკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
- კათედრის სხდომის ოქმები
- მშობელთა კრების ოქმები
- მასწავლებელთა თვითშეფასება

- ინტერვიუები სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლებთან (მშობელი, მოსწავლე, მასწავლებელი,ადმინისტრაცია)
- პედსაბჭოს ოქმი
- განხორციელებული აქტივობების ამსახველი მასალები
- სკოლის ინფრასტრუქტურა
- დამრიგებლის პორტფოლიო.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

| *დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* | *საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* | *საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* |
|---|---|---|
| ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

**2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია**

**2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

**1.იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი**

ა(ა)იპ მცხეთის წმინდა ათორმეტ მოციქულთა სახელობის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზიში იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი . სკოლამ წარმოადგინა კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, რომლის მიხედვითაც  ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის

დამტკიცებას წინ უძღვის წინა წლის სასკოლო კურიკულუმის დაწერგვის პროცესის გაანალიზება სხვადასხვა მიმართულებების მიხედვით: მოსწავლეთა ჩართულობა სასწავლო პროცესში (რა ფაქტორები და სასწავლო პრაქტიკა აფერხებდა/უწყობდა ხელს საგაკვეთილო პროცესებში მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას,რამდენად მონაწილეობდნენ მოსწავლეები სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, რა ფაქტორები უწყობდა/უშლიდა ხელს მათ ჩართულობას ,ასევე მოსწავლეთა შედეგების კუთხით, რამდენად გაუმჯობესდა წინა სასწავლო წელთან შედარებით მოსწავლეთა შედეგები, რა ფაქტორები უწყობდა/უშლიდა ხელს მოსწავლეთა მოსწრების გაუმჯობესებას,მშობელთა ჩართულობის კუთხით,რა ფაქტორები უწყობდა/უშლიდა ხელს მშობელთა სასწავლო პროცესში მათ ჩართვას, სასწავლო პროცესთან მიმართებით მათი შეხედულებების გამოკვეთას. როგორ მიმდინარეობდა კათედრის მუშაობა, მასწავლებლებს შორის თანამშრომლობა (რა იყო ხელშემლელი/ხელშემწყობი ფაქტორები), პროფესიული საჭიროებების იდენტიფიცირების კუთხით რა გამოვლინდა, ასევე, როგორი იყო სკოლის დირექციის ჩართულობა ყველა ამ მიმართულებით. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით( კათედრის სხდომის ოქმები, ანგარიშებით,მშობელთა კრების ოქმები,განხორციელებული აქტივობები,მოსწავლეთა შეფასებები) , ასევე, მასწავლებლეთან და ადმინისტრაციასთან ინტერვიუს პორცესიდან ჩანს რომ სკოლა შეიმუშავებს კურიკულუმის განვითარების და მხარდაჭეროს სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტს , ინტერვიუს პროცესში გამოვლინდა, რომ მასწავლებლები კათედრის სხდომაზე განიხილავენ კურიკულუმთან დაკავშირებულ საკითხებს,იმ გამოწვევებს რომლებიც მიმდინარე სასწავლო წელს გამოიკვეთა საგნობრივ კურიკულუმებთან დაკავშირებით და შემდეგ ახორციელებენ ცვლილებას მომდევნო წლის კურიკულუმებში,იმავდროულად, ამ პროცესებში აქტიურ მხარდაჭერას იღებენ ასევე ადმინისტრაციისგანაც. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

**2.კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს**

ა(ა)იპ მცხეთის წმინდა ათორმეტ მოციქულთა სახელობის მართლმადიდებლურ სკოლა-გიმნაზიაში კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს . ა(ა)იპ მცხეთის წმინდა ათორმეტ მოციქულთა სახელობის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზიამ წარმოადგინა კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, რომლის მიხედვითაც ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღვის წინა წლის სასკოლო კურიკულუმის დაწერგვის პროცესის გაანალიზება სხვადასხვა მიმართულებების მიხედვით: მოსწავლეთა ჩართულობა სასწავლო პროცესში , რა ფაქტორები აფერხებდა/უწყობდა ხელს საგაკვეთილო პროცესებში მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას, რამდენად მონაწილეობდნენ სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მოსწავლეები, რამდენად გაუმჯობესდა მათი შედეგები წინა სასწავლო წელთან შედარებით,რამ შეუწყო ან/და შეუშალა ხელი , როგორია მშობელთა ჩართულობა, რა ფაქტორები უწყობდა ან და უშლიდა ხელს მათ სასწავლო პროცესში ჩართულობას, რა ინტერესები გამოიკვეთა მათი მხრიდან სასწავლო პროცესთან დაკავშირებით, როგორ მიმდინარეობდა კათედრის მუშაობა ,მასწავლებელთა პროფესიული განვითარება, ურთიერთთანამშრომლობა. მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს ,რომ ისინი კათედრაზე განიხილავენ კურიკულუმთან დკაავშირებულ სხვადასხვა საკითხებს, მაგ.: მოსწავლეთათვის შეთავაზებულ დავალებებს, შეფასების ინსტრუმენტებს, გასახორციელებელ პროექტებს,სასწავლო რესურსებს,თემებს თუ საკითხებს, და იმას ,თუ რამდენად მიჰყავს ყოველივე აღნიშნულს სასურველ შედეგამდე/მიზნამდე მოსწავლე და შემდეგ მიღებული შედეგების გათვალისწინებით მუშაობენ კურიკულუმის შემდგომ განვითარებაზე. სკოლამ აღნიშნულის შესახებ წარმოადგინა შესაბამისი მტკიცებულება ოქმების, ანგარიშების ,ანალიზების სახით, თვითშეფასების,ურთიერთდასწრების დოკუმენტაციის,განხორციელებული შეფასებების ამსახველი მასალის სახითაც. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სასკოლო კურუკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
- პედსაბჭოს ოქმი
- მშობელთა კრების ოქმები
- კათედრის სხდომის ოქმები
- მასწავლებლის თვითშეფასება
- პედსაბჭოს ოქმი
- სასკოლო საზოგადების წევრებთან( მშობელი, მოსწავლე, მასწავლებელი, ადმინისტრაცია) ინტერვიუ.
- მოსწავლეთა შეფასებები
- შემაჯამებელი დავალებების ანალიზები
- განხორციელებული აქტივობების ამსახველი მასალა.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

| *დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* | *საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* | *საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* |
|---|---|---|
| ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

# ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....

თარიღი 10/07/2026

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:  თამარ მიდელაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:  სოფიკო ანთაური